# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

№ 104 (12783) 6 მაისი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი




## ნაიუვანს ვან გაალი შოთას ბაიერნში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

» 4

# ვის ელოდება მენიუ?



## მანჩესტერმა რომის გზა იოლად იპოვნა

„მანჩესტერ იუნაიტედი" ჩემპიონთა ლიგის პირველი ფინალისტია. მეტოქის ვინაობის გასაგებად, ლიგის მოქმედი ჩემპიონი დღეს „ჩელსისა" და „ბარსელონას" შეხვედრას დაელოდება, მანამდე კი სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა რომში გასამგზავრებელი ბილეთი ზედმეტი ნერვიულობის გარეშე მოიპოვა.

**არსენ ვენგერი** გუშინდელ მატჩზე დიდ იმედებს ამყარებდა - ხშირად იმეორებდა, რომ მისი გუნდი საკუთარ მოედანზე ხუთი წელია არ დამარცხებულა; რომ ქომაგებისაც ეიმედებოდა; რომ ძირითადში **რობინ ვან პერსი** ბრუნდებოდა...

„არსენალს" ვერაფერმა უშველა. „მეთოფეებმა" პირველი 5 წუთი იაქტიურეს და მეტოქე საკუთარ ნახევარზე არ გადაუშვეს, თუმცა მასპინძლებს **ვან დერ სარის** კართან რაიმე ლირებული არ შეუქმნიათ.

სამაგიეროდ, ლონდონელებმა ორჯერ საკუთარ საჯარიმოში „გამოიჩინეს" თავი. „მანჩესტერის" პირველივე კონტრშეტევისას **კრისტიანო რონალდომ** კარის გასწვრივ დაბალი ბურთი გაუშვა, დაზღვევაზე მოთამაშე **გიბსს** მოგერიებისას ფეხი დაუცდა, რითიც **ჯი-სუნ პარკმა** ისარგებლა და **ალმუნიას** მოტყუება აღარ გასჭირვებია.

ზუსტად სამ წუთში კი წინა მატჩის გმირმა ალმუნიამ რონალდოს მიერ 30 მეტრიდან დარტყმული იოლი საჯარიმო გაუშვა.

მატჩი აქ დასრულდა. „არსენალი" ოთხი გოლის გამტანი არ ჩანდა. უფრო მეტიც, მეორე ტაიმში რონალდომ დუბლი შეასრულა და რომ არა ვან პერსის პენალტი, ლონდონელებს სირცხვილი არ ასცდებოდათ.

მაშ ასე, შეიძლება ითქვას, „მანჩესტერი" უკვე რომშია და 27 მაისს შარშანდელი შედეგის გამეორებას შეეცდება. „იუნაიტედს" შანსი აქვს, გახდეს პირველი გუნდი განახლებული ჩემპიონთა თასის ისტორიაში, რომელსაც ეს ტურნირი ზედიზედ ორჯერ ექნება მოგებული.

**გია თვალაბეიშვილი**

ტექნიკური შედეგები » 16

UEFA CHAMPIONS LEAGUE



## ლონდონში კბილებს ილესავენ

ბარსას დაცვაში უმწვავესი პრობლემა აქვს

წინათქმა » 5

# მძიმე ბავშვობის შედეგი



## ფეხბურთის ანბანი ნაკრების წევრებისთვის

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

საგურამოს სამშაბათობა » 2

ეროვნული ნაკრები



ექტორ კუპერი ფეხბურთელებს დავალებებს თავად უხსნიდა

# მძიმე ბავშვობის შედეგი

## ანუ, რატომ დასჭირდა კუპერს სამშაბათობა?

**ექტორ კუპერმა** საგურამოში მორიგი „სამშაბათობა" გამართა. ტაქტიკურ ვარჯიშზე მან საქართველოს ნაკრების ის წევრები და კანდიდატები მიიწვია, რომლებიც ჩვენს პირველობაზე თამაშობენ...

ტრადიციულ მოთელვასა და გახურებას აქამდეც კარგად ნაცნობი ვარჯიშები დაემატა. ეს გახლავთ „შვიდი რვის წინააღმდეგ". ანუ, შეტევითი და დაცვითი ფაზების დახვეწა. ამის შემდეგ ექტორ კუპერმა ფეხბურთელებს ისეთი ელემენტარული ტაქტიკური დავალება მისცა, როგორიცაა „ორი ერთის", „სამი ორისა" და „ექვსი სამის წინააღმდეგ".

ამ ვარჯიშების მიზანია, შემტევმაც და მცველმაც პოზიციური თამაში სრულყოს: „ბევრი საინტერესო ვარჯიში მინახავს და, მათ შორის, ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ჩემთვის „ლივერპულის" წვრთნა იყო. რაფა ბენიტესის ერთკვირიანი ვარჯიშების ციკლი ვნახე და ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ვარჯიშების ძირითადი ნაწილი სწორედ მსგავს თეორიულ და ტაქტიკურ დავალებებზე მუშაობას ეთმობოდა. ბუნებრივია, ვარჯიშზე კომბინაციებსაც ამუშავებენ, ორკარასაც თამაშობენ, მაგრამ „ორი ერთის წინააღმდეგ" ან „სამი ორის წინააღმდეგ" და ასე შემდეგ... ეს ბენიტესის საყვარელი ვარჯიშებია. ფეხბურთელები ამას თამაშის დროს ძალზე ეფექტურად იყენებენ. აქ ლაპარაკია იმაზე, როგორ უნდა გაიხსნას თავდამსხმელი, პოზიციურად როგორ უნდა დაიცვას თავი მცველმა და რაღაც ამდაგვარი", - გვითხრა საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტმა **ასლან ბალაძემ**, რომელიც ცხინვალის „სპარტაკშიც" მუშაობს.

საკუთარი მოსაზრება გაგვიზიარა **კობა ჟორჟიკაშვილმაც**: „ძალიან კარგია, რომ ექტორ კუპერი ჩვენი მოთამაშეების ამ მნიშვნელოვანი ნაკლის გამოსწორებაზე მუშაობს. თუმცა სამწუხარო სწორედ ისაა, რომ ეროვნული ნაკრების წევრებს ასეთი თეორიულ-ტაქტიკური დავალებების მიცემა სჭირდებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ გაზრდაში სერიოზული შეცდომებია დაშვებული. მსგავსი სახის ტაქტიკური ვარჯიშები ევროპის ყველა აკადემიურ საფეხბურთო სკოლაში 12-13 წლის ასაკში იწყება და როცა მოთამაშე სრულწლოვანებას აღწევს, ეს ყოველივე ავტომატიზმამდე აქვს დაყვანილი. დღეს ვაკვირდებოდი და საკმაოდ ბევრი, თანაც თვალსაჩინო ნაკლი შევნიშნე მოთამაშეებს. მაგალითად, მცველები პოზიციურ თამაშში ცდებიან, თავდამსხმელები - გახსნაში, ძალიან იშვიათია კარგი ჩაწოდება, არადა, ლაპარაკი არის ეროვნული ნაკრების კანდიდატებსა და წევრებზე... კუპერს მათთან ამ კომპონენტებზე მუშაობა არ უნდა სჭირდებოდეს".

ფეხბურთელებმა დავალება რამდენჯერმე არასწორად რომ შეასრულეს, კუპერმა უკვე შენელებული მოძრაობით ახსნა, თუ რას ითხოვდა. ძნელი სათქმელია, არგენტინელის მართლაც მონდომებული მუშაობა გამოიღებს თუ არა საბოლოო შედეგს, მაგრამ მართლაც გასაოცარია, რომ საფეხბურთო სკოლებში მოთამაშეთა თეორიულ და ტაქტიკურ განათლებაზე თითქმის არავინ ზრუნავს. კომუნისტურ საქართველოში საფეხბურთო ცხოვრება მოწესრიგებული და სისტემატიზებული იყო, დღეს კი, 21-ე საუკუნეში, ნაკრების მოთამაშეებს ფეხბურთის ანბანს ასწავლიან. ადრე, თითოეულ მწვრთნელს მუშაობის გრაფიკი ჰქონდა, რომელზეც რაიონულ თუ რესპუბლიკურ სამსახურებს აბარებდა ანგარიშს. ახლა კი ფეხბურთში ისეთი ქაოსია, ვინ რას აკეთებს და როგორ ზრდიან ბავშვებს, ღმერთმა უწყის. შედეგად ვიღებთ კუპერის თეორიულ-ტაქტიკურ ვარჯიშებს და არა - საკონტროლო შეხვედრებს, რაც წესითა და რიგით ნაკრების კანდიდატების შესარჩევად უნდა იყოს გათვალისწინებული...

**მერაბ მამულაშვილი**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები



მეკარეები მამუკა აბუსერიძემ ავარჯიშა

ინტერვიუ

გოჩა ხოჯავა

# ყოველთვის დავამტკიცებ, თუ რა შემიძლია

## ხოჯავას ერთი სული აქვს, ნაკრებში როდის გამოიძახებენ

**რუსეთის** პირველი დივიზიონის ბოლო ტურში მახაჩყალის „ანჟიმ" „ჩერნომორეცს" 2:0 გოჩა ხოჯავას გარეშე მოუგო. დაღესტნელთა ქართველი შუახაზელი დისკვალიფიცირებული გახლდათ, წინა ტურში „კრასნოდართან" (1:1) მიიღო ყვითელი ბარათი. ხოჯავას თემა კი ჩვენთვის აქტუალური იმიტომ გახდა, რომ უკვე არა ერთმა სპეციალისტმა აღნიშნა - ამ ფეხბურთელს ეროვნულ ნაკრებში შანსი უნდა მიეცესო. „ანჟის" მთავარმა მწვრთნელმა ომარ თეთრაძემაც აქო ეს შემტევი ნახევარმცველი - სადაც არ უნდა წავიდე, გოჩას თან წავიყვანო.

მოკლედ, ხოჯავას მახაჩყალაში დავუკავშირდით და აქეთურ-იქითურზე ვესაუბრეთ...

- „კრასნოდარს" იმიტომ ვერ მოვუგეთ, რომ 8 ფეხბურთელი ტრავმირებული გვყავდა. ამის გამო მთელი დატვირთვა ერთსა და იმავე ფეხბურთელებს გვაწვება, ხანდახან კვირაში ორი თამაში გვიწევს და ასეთ დროს ყოველთვის მხნედ ვერ იქნები. „კრასნოდართან" ვერმოგება ამ ფაქტორმაც განაპირობა.

**- მომდევნო შეხვედრაში კი „ანჟიმ" „ჩერნომორეცთან" უშენოდ გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში იმ პოზიციას დაუბრუნდა, პრემიერლიგის საგზურს რომ იძლევა. რუსულ ვებგვერდებზე კი საქართველოს მოქალაქედ მოიხსენიები, არადა, ამ სეზონის დაწყებამდე თავად გვითხარი, რუსეთის მოქალაქეობა უნდა მივიღოო...**

- უკვე ვარ რუსეთის მოქალაქე, მაგრამ ეს ხელს არ შემიშლის იმაში, რომ საქართველოს ნაკრებში ვითამაშო. რუსეთის მოქალაქეობის მიღება ჩემი კარიერისთვის გახდა საჭირო და ამიტომაც მივიღე ასეთი გადაწყვეტილება.

**- წინა სეზონის დარად, ახლაც კარგი პრესა გაქვს, მწვრთნელიც გაქებს... საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?**

- „ანჟიში" ჩემით ყველა კმაყოფილია და არც მე მაქვს უკმაყოფილების საბაბი. თუმცა საუკეთესო ფორმაში ახლა მაინც არ ვარ, სეზონი ახალი დაწყებულია და ნელ-ნელა მივაღწევ ისეთ კონდიციას, შესაძლებლობების სრულად წარმოჩენა რომ შემეძლება. მარტო მე კი არა, მთლიანად „ანჟი" არ არის ჯერ ოპტიმალურ ფორმაში.

**- ისე კი, საინტერესოა, შემტევ ფეხბურთელს ამდენი ყვითელი ბარათი რამ მიგაღებინა, „ჩერნომორეცთან" მატჩის გამოტოვება რომ მოგიხდა?**

- ოთხი ყვითელი ბარათის გამო ვიყავი დისკვალიფიცირებული. აქ ისეთი ბრძოლაა, მნიშვნელობა აღარ აქვს, ნომინალურად რა ამპლუის ფეხბურთელი ხარ - ორთაბრძოლებში შესვლა ყველას უწევს და მეც ასეთ სიტუაციებში მივიღე ყვითელი ბარათები.

**- პირველ დივიზიონს ვლადიკავკაზის „ალანია" ლიდერობს, თქვენ კი 16 ქულა გაქვთ და მეორე ადგილზე ხართ, ხოლო მესამეზე „სალუტ-ენერგიაა". როგორია ძალთა ბალანსი ამ გუნდებს შორის?**

- პირველ დივიზიონში ყველაზე მდიდარი კლუბი „ალანია" გახლავთ. სხვათა შორის, „სალუტ-ენერგიასაც" ჩვენზე მეტი ფული აქვს, თუმცა ფინანსური შესაძლებლობებით „ალანიას" ვერ დაეტოლება. ვლადიკავკაზურ გუნდში ისეთი ხელფასებია, რუსული პრემიერლიგის რამდენიმე გუნდში რომ არ აქვთ.

**- მაინც რა თანხებზეა ლაპარაკი?**

- თვეში 40-60 ათასი დოლარი - ასეთი ხელფასი „ალანიაში" ყველას არა, მაგრამ ზოგიერთ ფეხბურთელს კი ექნება. შეიძლება ითქვას, რომ საშუალო ხელფასი ამ გუნდში 30 ათასი დოლარია.

**- დაახლოებით რამდენია „ანჟის" წლიური ბიუჯეტი?**

- შარშან, თუ არ ვცდები, 4 მილიონი იყო, ამ სეზონისთვის კი, მგონი, გაორმაგდა.

**- „ანჟიში" იმ პირობით დარჩი, რომ ამ სეზონში გუნდის კატეგორიული მიზანი პრემიერლიგაში გადასვლა იქნება. თუ ეს მართლა მოხდება, კვლავ „ანჟის" ფეხბურთელი იქნები?**

- „ანჟისთან" შარშან სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე და თუ პრემიერლიგაში გადავალთ, ხელშეკრულების პირობების ხელახალი განხილვა მოხდება. „ანჟიში" ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს და თუ უკეთესი პერსპექტივა გამოჩნდება, არ მგონია, ხელი შემიშალონ.

**- ცოტა არ იყოს, უცნაურია, როცა ფეხბურთელს უკეთეს ლიგაში გადასვლას სთავაზობენ და ამაზე არ თანხმდება. ასე მოხდა შარშან და, ალბათ, ასე აღარ მოხდება, თუ „ანჟი" ისევ პირველ დივიზიონში დარჩება...**

- შარშან მართლაც იყო ოფიციალური შემოთავაზება პრემიერლიგის „ამკარისგან", მაგრამ ამ გუნდში წასვლა არ ვისურვე. „ანჟიში" ომარ თეთრაძემ და მამუკა ჯულელმა მომიყვანეს, მათთან მეგობრული ურთიერთობა მაქვს და როცა მთხოვეს, ჩვენთან დარჩიო, უარი ვერ ვუთხარი, თორემ რატომ არ წავიდოდი პრემიერლიგის გუნდში?! სხვათა შორის, ოფიციალური მოწვევა „ყუბანიდანაც" მოვიდა, რომელიც იმ დროისთვის პირველ ლიგაში კი თამაშობდა, მაგრამ უკვე ვადაზე ადრე ჰქონდა განაღდებული პრემიერლიგის საგზური.

**- გავიგეთ, ხოჯავათი მოსკოვის „სპარტაკიც" დაინტერესდაო...**



გოჩა ხოჯავა

- მოსკოვის „სპარტაკი" მართლაც მაკვირდებოდა, მაგრამ მაშინ რუსული პასპორტი არ მქონდა, რაც ტრანსფერისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია. მართალია, „სპარტაკის" ინტერესის შესახებ ლაპარაკი იყო, მაგრამ ოფიციალური შემოთავაზება არ ყოფილა.

**- ნაკრების თემაზე გადავერთოთ. უკვე არა ერთმა სპეციალისტმა აღნიშნა, ხოჯავა სანაკრებოდ საინტერესო ფეხბურთელიაო. შევიტყვეთ, რომ შენზე ექტორ კუპერსაც მიაწოდეს ინფორმაცია. მოკლედ, გაჩნდა იმის შანსი, რომ კუპერმა ივნისის დასაწყისში ამხანაგური მატჩებისთვის გამოგიძახოს. როცა მწვრთნელი ტესტმატჩისთვის იძახებს ფეხბურთელს, ეს ფსიქოლოგიურად როგორ მოქმედებს გამოსაცდელ მოთამაშეზე?**

- ასეთი რამ ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ერთი სული მაქვს, ნაკრებში გამომიძახონ. როცა ტრავმა არ მაწუხებს და ფორმაში ვარ, ყოველთვის დავამტკიცებ, თუ რა შემიძლია. მე მჯერა საკუთარი თავის.

**- კუპერს გარემარბებით თამაში უყვარს, კლასიკური „ათი ნომრით" კი ერიდება გუნდის აწყობას. გარემარბად საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში კი გითამაშია, მაგრამ მას მერე დიდი დრო გავიდა. მზად ხარ იმისთვის, რომ ფლანგზე სასარგებლოდ ითამაშო?**

- ოღონდ დაცვაში ან ჩამშლელის ფუნქციის მქონე საყრდენ ნახევარმცველად არ გამამწესონ და, სხვა ნებისმიერ პოზიციაზე უპრობლემოდ ვითამაშებ. „ანჟიში" ხშირად მიცვლიან პოზიციას. ამასწინათ, „ბალტიკას" 2 გოლი რომ გავუტანე და მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს, საყრდენი ნახევარმცველი ვიყავი, ოღონდ, 80 პროცენტით შეტევაზე გახლდით მომართული. მოკლედ, გამომიძახონ და მე ვიცი...

**დავით თავართქილაძე**

ლელო

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რასისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია


გელა ინალიშვილი

ვეტერანის აზრით

გელა ინალიშვილი

# ახლა იმ თაობის ნახევარი მაინც რომ გვყავდეს...

## მაშინ იმხელა კონკურენცია იყო, იმაზე ვკამათობდით, ქინქლაძესა და ჯამარაულს ერთდროულად უნდა ეთამაშათ ძირითად შემადგენლობაში, თუ არა...

**რევაზ ძოძუაშვილი**, სერგო კოტრიკაძე, ოთარ გაბელია... ვეტერან ფეხბურთელთა ძველ თაობას ამ რუბრიკით უკვე ვესაუბრეთ. ამჯერად, უფრო ახალგაზრდა ვეტერანი შევარჩიეთ რესპონდენტად...

თბილისის „დინამოს" გარდა, გელა ინალიშვილი უცხოეთშიც თამაშობდა, ეროვნული ნაკრების ყოფილი ნახევარმცველია, დღეს კი ახალგაზრდულ ნაკრებში კახა ცხადაძის სამწვრთნელო შტაბის წევრია.

მოკლედ, გელა ინალიშვილი ქართულ ფეხბურთთან დაკავშირებულ საჭირბოროტო თემებზე გვესაუბრება...

**- როგორც ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, როგორ შეაფასებდით ეროვნული გუნდის დღევანდელობას, თამაშის ხარისხსა და შედეგებს?**

- რა გითხრათ... ჩვენი ნაკრების თამაშშიც და შედეგებშიც სახარბიელო არაფერია. ცხადია, ეროვნული გუნდის წარუმატებლობა ყველას აწუხებს და ბევრი ეძებს ამ წარუმატებლობის მიზეზს. ზოგი მწვრთნელში ხედავს პრობლემას, ზოგი ტაქტიკა-სტრატეგიაში, ზოგიც ტრავმებში, ბევრიც - კვალიფიციური ფეხბურთელების ნაკლებობაში... ჩემი აზრით, მიზეზი სწორედ ეს უკანასკნელია - მაღალი კლასის მოთამაშეთა სერიოზული დეფიციტი. რას ვიზამთ, ასეთია რეალობა. მხოლოდ სამი-ოთხი მოთამაშეა, რომელიც სტანდარტებს აკმაყოფილებს. გავიხსენოთ წინა წლების ნაკრები, როცა კამათი იყო იმაზე, გიორგი ქინქლაძესა და გოჩა ჯამარაულს ერთდროულად უნდა ეთამაშათ თუ არა ძირითად შემადგენლობაში. წარმოგიდგენიათ, იმხელა კონკურენცია იყო, გიორგი ანჩაბაძე ვერ ხვდებოდა ეროვნულ გუნდში. და დღეს გვყავს ანჩაბაძის დონის თუნდაც ერთი ფეხბურთელები? როგორც ჩანს, თაობაში ჩავარდნაა. ასეთი რამ ყველა ქვეყანაში ხდება. უნდა ვეცადოთ, რომ ეს პერიოდი რაც შეიძლება უმტკივნეულოდ გადავიტანოთ.

**- და როგორ უნდა მოვახერხოთ ეს?**

- მეტი უნდა ვიმუშაოთ ნიჭიერი ფეხბურთელების მოძიებისა და მათი სწორად აღზრდისთვის, ხაზს ვუსვამ - სწორად აღზრდისთვის! ეს არის მთავარი. უნდა გავზარდოთ კონკურენცია. წარუმატებლობები იქნება, მაგრამ რაც შეიძლება ცოტა ნაკლებად მტკივნეული უნდა იყოს. გარდა ამისა, ბავშვთა ფეხბურთს დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ ეს ავადსახსენებელი „თაობის ჩავარდნა" მომავალში აღარ მოხდეს. აუცილებელია ბავშვთა ფეხბურთში ლიცენზირებული მწვრთნელები მუშაობდნენ.

**- თქვენც ხომ გაქვთ უკვე ლიცენზია?**

- დიახ, B კატეგორიის ლიცენზია ავიღე. ეს აუცილებელია. ფეხბურთი მაღალ დონეზე მითამაშია, მაგრამ ის იმდენად სწრაფად ვითარდება, მწვრთნელი მუდმივად უნდა ზრუნავდეს კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

**- ექტორ კუპერზე რა აზრისა ხართ?**

- ტოპკლასის მწვრთნელია, გამორჩეულ კლუბებში, მაღალ დონეზე უმუშავია... დამწყებმა მწვრთნელმა რა უნდა ვთქვა მასზე? უკვე გითხარით, ნაკრებში კვალიფიციური კადრები ჭირს და კუპერის მთავარი პრობლემაც ესაა. ამიტომაც ამზადებს ფეხბურთელებს საგანგებოდ. ძალზე დროული და საჭირო გადაწყვეტილება იყო „სამშაბათობების" შემოღება.

**- მწვრთნელთა საბჭოს იდეაც დადგა დღის წესრიგში. ეს რამდენად წაადგება საქმეს?**

- ვფიქრობ, კარგი იდეაა და სარგებელი უნდა მოგვიტანოს. კუპერს სჭირდება ქართველი მწვრთნელების დახმარება იმაში, რომ არც ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი არ დაიკარგოს. სწორედ ამაზე უნდა იმუშაოს მწვრთნელთა საბჭომ. კუპერს მეტი არჩევანი უნდა ჰქონდეს.

**- საფეხბურთო ოპოზიციაში თქვენი თაობის წარმომადგენლებიც არიან. რას იტყოდით მათ იდეებზე?**

- იცით, მე არ მგონია, რომ ქართული ფეხბურთი გახლეჩილია. როცა საქმის გაკეთება გინდა, როცა რაღაცას ფიქრობ და გეგმავ, ამას ყოველთვის თან ახლავს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ასე რომ, არანაირი ორი მხარე არ არსებობს, დარწმუნებული ვარ, ყველა ჩვენგანს ერთნაირად შესტკივა გული ქართულ ფეხბურთზე

**- ახლა ახალგაზრდულ ნაკრებზეც ვთქვათ. კახა ცხადაძესა და მის შტაბს დებიუტი უკვე ჰქონდა. მეტ-ნაკლებად, ცნობილია ის ბირთვიც, რომლის გარშემოც გუნდი უნდა ჩამოყალიბდეს. როგორ მიდის ეს პროცესი?**

- ახალგაზრდულ ნაკრებში მართლაც დიდი პოტენციალია. ახლა ამის სწორად გამოყენებაა საჭირო. მიმაჩნია, რომ კახა ცხადაძესა და მის თანაშემწეებს ამის გაკეთება მართლაც შეგვიძლია. ჩვენ გვაქვს ორწლიანი პროგრამა და კახას ხელმძღვანელობით გავყვებით ამ გზას. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყველა საინტერესო ფეხბურთელს აუცილებლად ექნება თავის გამოჩენის შანსი. შესარჩევი ციკლის დაწყებამდე კიდევ არა ერთი ამხანაგური მატჩი გვაქვს და ეს შეხვედრები სელექციისა და გუნდის შეთამაშებისთვის უნდა გამოვიყენოთ.

**დავით ცაბაძე**

პირველი ლიგა

აღმოსავლეთი

XXX ტური

5 მაისი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| ნორჩი დინამო-კახეთი | 3:1 |
| დინამო 2-ვიტ ჯორჯია 2 | 3:1 |
| ამერი-დილა | 2:1 |
| ჰერეთი-გაგრა 2 | 3:0 |
| სიონი 2-ჩიხურა | გადაიდო |

თბილისი ისვენებდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ამერი | 29 | 21 | 6 | 2 | 56-13 | 69 |
| 2. ვიტ ჯორჯია 2 | 28 | 16 | 7 | 5 | 43-14 | 55 |
| 3. დინამო 2 | 28 | 15 | 9 | 4 | 52-24 | 54 |
| 4. ჩიხურა | 27 | 15 | 8 | 4 | 47-19 | 53 |
| 5. დილა | 28 | 10 | 9 | 9 | 36-28 | 39 |
| 6. თბილისი | 27 | 11 | 4 | 12 | 44-42 | 37 |
| 7. სიონი 2 | 28 | 8 | 7 | 13 | 32-58 | 31 |
| 8. გაგრა 2 | 28 | 7 | 4 | 17 | 34-55 | 25 |
| 9. ჰერეთი | 28 | 5 | 9 | 14 | 29-53 | 24 |
| 10. ნ/დინამო | 27 | 3 | 8 | 16 | 27-53 | 17 |
| 11. კახეთი | 28 | 3 | 7 | 18 | 18-59 | 16 |

XXX ტური

5 მაისი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| ხობი-კოლხეთი | 2:3 |
| გურია-ბათუმი | 2:1 |
| ტორპედო2008-ზესტაფონი 2 | 3:0 |
| სამტრედია-მეშახტე | 2:1 |
| მარტვილი-ჭიათურა | 5:0 |

ბაია ისვენებდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სამტრედია | 29 | 21 | 3 | 5 | 56-21 | 66 |
| 2. მარტვილი | 28 | 17 | 7 | 4 | 42-20 | 58 |
| 3. ბაია | 27 | 17 | 6 | 4 | 52-17 | 57 |
| 4. კოლხეთი | 28 | 11 | 7 | 10 | 37-36 | 40 |
| 5. ჭიათურა | 29 | 12 | 3 | 14 | 36-45 | 39 |
| 6. ტორპედო 2008 | 28 | 11 | 4 | 13 | 28-21 | 37 |
| 7. ხობი | 28 | 11 | 4 | 13 | 29-42 | 37 |
| 8. გურია | 29 | 9 | 6 | 14 | 35-47 | 33 |
| 9. ბათუმი | 28 | 8 | 8 | 12 | 30-40 | 32 |
| 10. ზესტაფონი 2 | 28 | 6 | 7 | 15 | 25-40 | 25 |
| 11. მეშახტე | 28 | 2 | 5 | 21 | 16-57 | 11 |

პრეზენტაცია

# სკოლა მსაჯებისთვის

## ჯერ თეორია, მერე პრაქტიკა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა (სფფ) და აფხაზეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის (აფრფ) მორიგი ერთობლივი პროექტის პრეზენტაცია შედგა - სოხუმის უნივერსიტეტში მსაჯთა პირველადი მომზადების სკოლა გაიხსნა. აფრფის პრეზიდენტ **მურად ანჯაფარიძის** თქმით, სკოლის პირველ მსმენელთა შორის 25 იძულებით გადაადგილებული პირია, რომელთაც სურთ, მსაჯის რთული პროფესია აირჩიონ. მსაჯთა პირველადი მომზადების სკოლის მსმენელები თავდაპირველად 3-თვიან თეორიული მეცადინეობის კურსს გაივლიან, ზაფხულიდან კი უკვე პრაქტიკულ მეცადინეობებზეც გადავლენ. პირველადი მომზადების სკოლას წარსულში ფიფას არბიტრი, სახელგანთქმული **ანატოლი მილჩენკო** უხელმძღვანელებს. ის მსმენელებს ძირითადი მომზადების კურსს წაუკითხავს. გამოცდების შედეგების მიხედვით, ზაფხულში მსაჯებს პირველი, მეორე და მესამე კატეგორიებს მიანიჭებენ.

*„ჩვენს რეგიონულ ფედერაციას რეგლამენტით აქვს უფლება, მსაჯთა პირველადი მომზადება წარმართოს. შესაბამისად, ეს გამოვიყენეთ და ვფიქრობთ, ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის და იძულებით გადაადგილებულთა დახმარების საქმეში კიდევ ერთ კარგ საქმეს ვაკეთებთ. 18-დან 25-წლამდე ასაკის მსმენელები გვყავს, უმთავრესად აფხაზეთიდან ლტოლვილები არიან და გვინდა, 3-3 კაციანი მსაჯთა ბრიგადა მოვამზადოთ ეროვნული ჩემპიონატისთვის. ჩვენ ამ მსმენელებს რეგიონულ დონეზე სამსაჯოდ მოვამზადებთ. შემდგომში კი მათ შეეძლებათ, ცოდნა გაიღრმავონ, მაღალ საფეხურზე ავიდნენ, აიმაღლონ კვალიფიკაცია, გახდნენ ფიფასა და უმაღლესი კატეგორიის არბიტრები და უკეთეს დონეზე იმსაჯონ", -* გვითხრა აფხაზეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის თავკაცმა **მურად ანჯაფარიძემ.**

**დავით ცაბაძე**

გადამწყვეტი მატჩის წინ

# მოდით სტადიონზე და წამოიყვანეთ მეგობრებიც!

## დინამო-ვიტ ჯორჯიას ფანებიც გაალამაზებენ იქნებ შედგეს ევროპული საკლუბო დაპირისპირება?

10 მაისს საქართველოს ჩემპიონატის უმთავრესი მატჩია - თბილისის „დინამო" ეროვნულ სტადიონზე „ვიტ ჯორჯიას" უმასპინძლებს. ფაქტობრივად, ეს იქნება მიმდინარე პირველობის ფინალი. სეზონის მატჩისთვის მზადება უკვე დაწყებულია და არა მარტო გუნდების მიერ. კარგა ხანია, „დინამოს" ქომაგთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი უჭერს მხარს, „ვიტ ჯორჯიას" ფანკლუბი კი ახლახან ჩამოყალიბდა და მათ შორის ცალკე „მატჩი" ტრიბუნებზე გაიმართება. მაგრამ ეს იქნება შეჯიბრება იმაში, თუ ვინ უკეთ უგულშემატკივრებს საყვარელ გუნდს. ეს ამბავი goli.ge-დან გავიგეთ. ინიციატივა „ვეტერინარი" ფანების ლიდერ **მაგდა კლდიაშვილს** ეკუთვნის:

*„ჩვენი გუნდის ფანობა ვაპირებთ პიარაქციის გამართვას, რათა 10 მაისს ეროვნულ სტადიონზე რაც შეიძლება ბევრი მაყურებელი მოვიდეს. იგეგმება მთელი რიგი აქციებისა, რომლითაც მოსახლეობას მოვუწოდებთ, გაიხსენონ ჩვენი ფეხბურთი და ჩემპიონატის გადამწყვეტ შეხვედრას დაესწრონ. ამასთან დაკავშირებით უნდა შევხვდეთ პროფლიგის გენერალურ მდივან პაატა ბურჯალიანს. ჩვენი ინიციატივა აიტაცეს და აქციაში აქტიურად მონაწილეობენ goli.ge-სა და fanebi.com-ის ადმინისტრაციაც. იდეა „ვიტ ჯორჯიას" ფანკლუბს ეკუთვნის. მოკლედ, მსურს მოვუწოდო ყველას - მოდით სტადიონზე და წამოიყვანეთ მეგობრებიც. ეს ძალიან მნიშვნელოვანია!"*

მოწინააღმდეგე კლუბის ინიციატივა „დინამოს" ფანკლუბმაც აიტაცა. აი, რას ვკითხულობთ ერთ-ერთ საფეხბურთო ფორუმზე:

*„რა თქმა უნდა, იდეა „ვიტ ჯორჯიას" ფანკლუბს ეკუთვნის. როგორც აქამდე ჩატარებული მრავალი აქცია, მიძღვნილი ქართული ფეხბურთისადმი", -* წერს ერთ-ერთი გულშემატკივარი.

*„სხვის იდეებზე რომ ქილიკობ, თქვენ რა გაგიკეთებიათ? იქნებ, გაგვანდოთ! ყელში გვაქვს თქვენი აქციები, რომელმაც ქართული ფეხბურთი „განავითარა"! იდეა ჩვენ რომ გვეკუთვნის, ფაქტია, მე თავად შემოგთავაზე, მაგრამ თუ „დინამოს" ფანკლუბს მხოლოდ ქილიკი უნდა, და არა - თანამშრომლობა, თქვენი ნებაა, ბატონო! პაატა ბურჯალიანს მივმართავთ იმიტომ, რომ „დინამოს" სტადიონის ხელმძღვანელობასთან არენაზე თავისუფალი დასწრების დაშვების რეკომენდაციით შევიდეს. ანდა, ჩვენ „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობას მივმართავთ, თქვენ კი „დინამოს", რომ მაყურებლებისთვის ბილეთები შეიძინონ, რათა ხელი შეუწყონ სტადიონზე ბევრი მაყურებლის მისვლას! თუ კი ეს შენთვის ღიმილის მომგვრელია, როგორც გენებოს! შენ თუ არ აკეთებ, სხვას დააცადე!"*


ფანკლუბებში სერიოზული მზადებაა

ფეხბურთის ერთ-ერთი გულშემატკივარი დაინტერესდა: *„მე მინდა სტადიონზე მისვლა. თქვენთან ერთად რომ წამოვიდე, ბილეთს, დროშასა და შარფს მომცემთ? თუ არ გაქვთ?"*

*„მაგდა, ბურჯალიანს რომ შეხვდები, უთხარი, რომ თამაში საღამოს 6 საათზე ადრე არ დანიშნოს, ან 7-ზე იყოს, მთლად უკეთესი იქნება".*

მაგდა კლდიაშვილი „ლელოსთან" ჩანაფიქრზე საუბრობს: *„დინამოს" ფანკლუბის ერთ-ერთ წევრს 10 მაისს დაგეგმილი თამაშისთვის ხალხის მოსაზიდად პიარკამპანიის ჩატარება შევთავაზე. goli.ge-სა და fanebi.com-ის ადმინისტრაცია აქტიურად ჩაერთო ამ საქმეში და მხარს გვიჭერენ. პიარაქცია ჰქვია - „მოდი ფეხბურთზე"! ხვალ პრესკონფერენციას ვგეგმავთ, რომ ტელევიზიების სახელით მოვუწოდოთ გულშემატკივრებს, გადადონ საქმე გვერდით და მოვიდნენ 10 მაისს ეროვნულ სტადიონზე. იქნებ, შედგეს პირველი ევროპული ტიპის საკლუბო დაპირისპირება და მაყურებელმაც დაამტკიცოს, რომ მეთორმეტე მოთამაშეა. კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ეს იდეა „ვიტ ჯორჯიას" ფანკლუბს ეკუთვნის. დიდი სურვილი გვაქვს, ეროვნული სტადიონის დირექციამ გახსნას კარი და თამაშზე დასწრება თავისუფალი იყოს... რაც შეეხება აქციას, „ვიტ ჯორჯიას" ფანკლუბის სახელით პაატა ბურჯალიანს ორჯერ მივწერე ამის თაობაზე. ახლა ჩვენივე საშუალებებით ვაპირებთ, გავაკეთოთ, რაც გამოგვივა, იყო „ფლაერებისა" და „ბანერების" დამზადების იდეა, მაგრამ ეს ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული, რაც ჩვენ არ გვაქვს. თუმცა დარწმუნებული ვარ, ეს აქცია იქნება წინაპირობა იმისი, რომ მსგავსი აქციები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს. როგორც ვიცით, „დინამოსგან" განსხვავებით რუსთავის „ოლიმპს" ოფიციალური ფანკლუბი არ ჰყავს. ამის გამო, იყო საფრთხე, რომ თასის ფინალზე რუსთაველები ორგანიზებულ გულშემატკივართა გარეშე დარჩენილიყვნენ. აქედან გამომდინარე, „ვიტ ჯორჯიას" ფანკლუბი უზრუნველყოფს ამავე აქციის ჩატარებას და 30 მაისის ფინალისთვის სტადიონზე მაყურებლის მიზიდვას. აქციები ჩატარდება ევროტურნირების შესარჩევი თამაშების წინა კვირეებშიც. იმედი მაქვს, ჩვენი წამოწყება უფრო მასობრივი გახდება და კლუბებიც აქტიურად ჩაერთვებიან ბილეთების შეძენაში. დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი აქცია შედეგიანი იქნება და 10 მაისს „ბორის პაიჭაძეზე" ბევრი გულშემატკივარი შეიკრიბება. კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ქომაგებს - „მოდით 10 მაისს, ეროვნულ სტადიონზე, „დინამო"-„ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირების სანახავად! დაამტკიცეთ, რომ ხართ მეთორმეტე მოთამაშე"! -* ამბობს მაგდა.

**მერაბ მამულაშვილი**

**P.S.** *დღეს, აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით, 13:00 საათზე „ლოკომოტივის" სტადიონზე „ვიტ ჯორჯიას" ფანკლუბი, „დინამოს" მარკეტინგის სამსახური, მედიაკომპანია „კოლხიდა" და goli.ge ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ.*

ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ხუციშვილს გერმანიაში იწვევენ

## ზანკტ პაულიმ თურქეთში მნახა, ლიტექსიც მაკვირდება

როგორც იცით, თბილისის „დინამოს" ყოფილი ლიდერი **მიხეილ ხუციშვილი** აზერბაიჯანიდან წამოვიდა და სერბეთის ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ ნოვი სადის „ვოევოდინაში" ჩაირიცხა. 29 წლის პლეიმეიკერი, რომელსაც ტრავმის გამო გარკვეული პერიოდი გაუცდა, „ვოევოდინასაც" მაინც უპრობლემოდ მოერგო - 7 შეხვედრა გამართა და გუნდს 3 გოლით შეეწია.

ხუციშვილმა გაგვიმხილა, რომ სრულიად შესაძლებელია, მალე გაცილებით ძლიერ ლიგაში ითამაშოს. ლაპარაკია მის ტრანსფერზე მეორე ბუნდესლიგის გუნდში, თუმცა აქვს სხვა ვარიანტიც.

„სერბეთში სულ რაღაც მესამე თვეა, ვთამაშობ, მაგრამ კლუბსაც იოლად მოვერგე და აქაური ფეხბურთის სტილსაც. სერბები გულიანი ხალხია და ადაპტაცია ძალიან გამიადვილდა. მოკლედ, „ვოევოდინაში" პრობლემები არ მაქვს... მაგრამ არ არის გამორიცხული, მომავალი სეზონიდან უკეთეს კლუბში გადავიდე. სერბეთში სეზონი 31 მაისს მთავრდება და წესით, იმ დროისთვის უკვე უნდა გადაწყდეს, წავალ თუ დავრჩები. ახლა ჩემს ტრანსფერზე სერიოზული მოლაპარაკება მიმდინარეობს. „ვოევოდინას" დირექტორმა მითხრა - თამაშის დროს გნახეს, შენით სერიოზულად დაინტერესდნენ და მოლაპარაკება მიმდინარეობსო. მისი თქმით, მეორე ბუნდესლიგის „ზანკტ პაულია" დაინტერესებული და შესაძლოა, სერბებმა ზაფხულში გამიშვან. კლუბები ახლა ფინანსურ საკითხებზე მსჯელობენ და ზუსტი პასუხი მოგვიანებით მეცოდინება, მანამდე კი დეტალებზე არ მელაპარაკებიან. გერმანიის გარდა, ბულგარეთის „ლიტექსის" წარმომადგენლებიც დაინტერესდნენ. საერთოდ, სერბეთის ჩემპიონატი ევროპელებისთვის საინტერესო ტურნირია. თუ მონდომებული ხარ და თავს არ ზოგავ, წარმოუდგენელია, რომელიმე ძლიერ ლიგაში არ წაგიყვანონ. ალბათ, კლუბების დაინტერესებაზე იმანაც იმოქმედა, რომ თურქეთში, მოსამზადებელ ეტაპზე გუნდში ყველაზე მეტი, 9 გოლი გავიტანე. გერმანელებმა პირველად სწორედ ანთალიაში მნახეს, სადაც „ზენიტს" ვხვდებოდით", - გვითხრა ხუციშვილმა.

„ვოევოდინას" ქართველი ლეგიონერი ახლა მხოლოდ იმაზე სწუხს, რომ სულ მცირე უახლოეს ორ ტურს გამოტოვებს - „ბორაცთან" ბოლო შეხვედრაში კუნთი გაეჭიმა და ორკვირიანი დასვენება გამოიწერა. სერბული პირველობის დასრულებამდე 4 ტურით ადრე „ვოევოდინა" 50 ქულით მეორე ადგილზეა. გუნდს ჩემპიონობის შანსი კარგა ხანია დაკარგული აქვს, მდევარ ბელგრადის „ცრვენა ზვეზდას" კი ერთი ქულით უსწრებს და ასეთ დროს, ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის ტრავმა გუნდს გარკვეულ დისკომფორტს უქმნის.

**მერაბ მამულაშვილი**

კაპიტანი

# კალაძე: სკუდეტო? ძნელი იქნება...

სერია A-ს მიმდინარე სეზონის დასრულებამდე 4 ტურით ადრე **კახა კალაძის** „მილანი" მეორე ადგილზეა და ჩემპიონობის შანსს ინარჩუნებს. „როსონერი" ლიდერ „ინტერს" 7 ქულით ჩამორჩება. ცხადია, დარჩენილ შეხვედრებში ამ დეფიციტის აღმოფხვრა თეორიულადაც და პრაქტიკულადაც შესაძლებელია, მაგრამ რეალურად, „მილანს" ძალიან მცირე აქვს საიმისო შანსი, სეზონი პირველ ადგილზე დაასრულოს. სწორედ ამ თემაზე ისაუბრა კალაძემ რუსული პრესისთვის გაკეთებულ კომენტარში:

„ჩვენი გუნდი უკვე ჩინებულ ფორმაშია და დამაჯერებლად თამაშობს. ამ დროს კი „იუვენტუსს" მცირედი ჩავარდნა აქვს, დროდადრო ქულებს კარგავს „ინტერიც". რა თქმა უნდა, ძალიან გვინდა, რომ ყოზე მოურინიოს გუნდს გავუსწროთ, მაგრამ ეს იოლი ნამდვილად არ იქნება, თუმცა ბოლომდე ვიბრძოლებთ. ამ სეზონში ჩვენი ამოცანა იყო ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა და ეს ჩანაფიქრი თითქმის განვახორციელებთ. „მილანის" მიზნები ყოველთვის მაქსიმალურია, მაგრამ ტრავმებმა ძალზე გვაზარალა, ლიგასაც გამოვეთიშეთ. არადა, "მილანის" გარეშე ეს გათამაშება, ცოტა არ იყოს, მოსაწყენია", - აცხადებს კალაძე.

გადავიდეთ ყოფით ამბებზე. საქართველოს ნაკრების კაპიტანი მალე მამა გახდება. კახა და **ანუკი არეშიძე** ივლისში ვაჟის დაბადებას ელიან. კახას მეუღლის თქმით, ბიჭუნას **ლევანს** დაარქმევენ.

„არც კახას, არც მის მშობლებს და არც ნათესავებს ჩემთვის ეს არ უთხოვიათ. გადაწყვეტილება თავად მივიღე. კარგად ვიცი, თუ რაოდენ ბევრს ნიშნავდა კახასთვის ძმა... სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, რომ შვილს ლევანი დავარქვათ", - განმარტა ანუკიმ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

# პერტიას მეორე გამარჯვება

ლატვიური ვირსლიგის მე-8 ტურში ჩემპიონატში მეორე გამარჯვება იზეიმა **თამაზ პერტიას** „დინაბურგმა", რომელმაც შინ „ბლაზმა" 1:0 დაამარცხა. **ირაკლი ქორთუამ**, რომელიც წინა სეზონში „ბლაზმაში" გამოდიოდა, ყოფილი კლუბის წინააღმდეგ 73-ე წუთიდან ითამაშა. „მოხარული ვარ, რომ ზედიზედ მესამე ტურია გოლს არ ვუშვებთ, თამაშის ხარისხითაც კმაყოფილი ვარ", - განაცხადა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „დინაბურგის" ქართველმა მწვრთნელმა. „დინაბურგი" 8 ქულით მეხუთე ადგილზეა. რიგის „სკონტო" დღეს, „ოლიმპსს" მასპინძლობს.

ლეუმითლიგაში ჰაიფას „ჰაპოელი" ჰერცლიაში „მაკაბის" დაუზავდა - 0:0. ჰაიფელებს, რომლებმაც უმაღლესის საგზური წინა ტურში გაინაღდეს, 55 ქულა აქვთ. **ირაკლი გეფერიძემ** 90 წუთი ითამაშა ლიდერთა შემადგენლობაში. გეფერიძეს ლიგაში 11 გოლი აქვს გატანილი და ბომბარდირობის დავაში ორით ჩამორჩება ბეერ შევას „ჰაპოელის" ფორვარდ **ოჰად კადუსის**. ზედიზედ სამი ტური გოლის გატანის შემდეგ პირველად ვერ შეაგდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მწვრთნელი

# ალბათ, ვან გაალი ბაიერნში არ წამიყვანს

## შოთა ადრიაანსეს ელოდება?

გერმანული პრესა ირწმუნება - ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ მომავალი სეზონიდან „ბაიერნს" **ლუის ვან გაალი** გაწვრთნისო. ჰოლანდიელი სპეციალისტის რეგალიებსა და ტიტულებს აღარ ჩამოვთვლით, იმას კი შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში მის მიერ გაწვრთნილი „ალკმაარი" ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა, ხოლო მისი ერთ-ერთი თანაშემწე **შოთა არველაძე** რომ გახლდათ, ამის შეხსენება ალბათ არ გჭირდებათ. აქედან გამომდინარე, გაჩნდა კითხვა - ვან გაალი თუ მართლაც დაინიშნა „ბაიერნში", შოთას იქაც ხომ არ წაიყვანს თანაშემწედ?

„ვან გაალი, ალბათ, არ წამიყვანს „ბაიერნში", თორემ ამას აქამდე მეტყოდა, - გვითხრა გუშინ არველაძემ, - „ალკმაარს" კი, სავარაუდოდ, კო ადრიაანსეს ჩააბარებენ. შეიძლება, გახსოვთ, რომ ამ მწვრთნელთანაც მიმუშავია, როცა ის „აიაქსის" თავკაცი იყო. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ადრიაანსე მოვა, აუცილებლად მე ვიქნები მისი ერთ-ერთი თანაშემწე. ვნახოთ, ჯერ ხომ არ ვიცი, მართლა აპირებს თუ არა ის ჩვენთან მუშაობას".

შოთას „ალკმაართან" კიდევ ერთი წლით აკავშირებს კონტრაქტი და ნაკლებად სავარაუდოა, კლუბისა და მისი გზები ხელშეკრულების ამოწურვამდე გაიყაროს.

**დავით თავართქილაძე**

ბავშვთა ფეხბურთი





ნოდარ აკობია შეგირდების თამაშს აკვირდება

# ჯორჯია ამსტერდამის წინ

TORNEO DEL FUTURO - ასე ჰქვია ბავშვთა ტურნირს, რომელიც ყოველწლიურად იმართება ამსტერდამში. არაოფიციალურად, ამ შეჯიბრებას „მომავლის ჩემპიონთა ლიგასაც" უწოდებენ, რადგან მასში ევროპის გრანდი კლუბების მოზარდებიც მონაწილეობენ. წლეულს, ტურნირში იაპონიის ჩემპიონ „კაშიმას" ბავშვებიც ჩაერთვებიან და, რაც ჩვენთვის უმთავრესია, დებიუტი ექნება ქართულ გუნდ „ჯორჯიასაც".

„ჯორჯია" 1997 წელს დაბადებულთა თავისებური ნაკრებია, ამსტერდამის ტურნირიც წლეულს 12-წლამდელთა შორის გაიმართება, რომელშიც 8 გუნდი იქნება. გათამაშება წრიული სისტემით ჩატარდება, ერთ წრედ ყველა ყველას შეხვდება და ამის მერე ორი საუკეთესო გუნდი ფინალში გავა.

„ჯორჯია" რა ხანია ემზადება ამ ტურნირისთვის. გუნდს გამოცდილი მწვრთნელი **ნოდარ აკობია** ხელმძღვანელობს. ჩვენი მოზარდები ამსტერდამში 15 მაისს გაემგზავრებიან, ტურნირი კი 16-17 მაისს გაიმართება. ქართველების განრიგი ასეთია:

16 მაისი: **ჩელსი-ჯორჯია, რაპი-ჯორჯია, კაშიმა-ჯორჯია, ინტერნაციონალე-ჯორჯია**; 17 მაისი: **აიაქსი-ჯორჯია, ალკმაარი-ჯორჯია, ანდერლეხტი-ჯორჯია.**

ქართველი მოზარდები ასეთ ტურნირში რომ გამოვლენ, ამაზე **შოთა არველაძემ** იზრუნა, „ჯორჯიას" შექმნა და გუნდის ჰოლანდიაში გამგზავრებაც ძმების მიერ დაარსებული „ფონდ არველაძის" ძალისხმევით ხერხდება.

გუშინ „ჯორჯიამ" ამხანაგური მატჩი გამართა 35-ე სკოლის მოედანზე ამავე სკოლის 1996 წელს დაბადებულებთან და უფროსებს 4:2 მოუგო. „ფონდმა არველაძემ" ამ თამაშზე მასმედიაც მიიპატიჟა. საკმაოდ თვალსასეირო შეხვედრა გამოდგა, „ჯორჯიას" ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია და ვნახოთ, როგორი მონაგარით დაგვიბრუნდება ამსტერდამის ტურნირიდან.

აკობია ჰოლანდიაში 17 შეგირდით გაემგზავრება, მეთვრამეტე - შოთა არველაძის ვაჟი **გიორგი** იქნება. „ჯორჯიას" ბირთვს „ოლიმპისა" და „ირაოს" ბავშვები შეადგენენ, არიან მოზარდები სხვა საფეხბურთო სკოლებიდანაც. ვერ მოხერხდა ფართომასშტაბიანი სელექციის წარმოება რეგიონებში, რადგან ეს გარკვეულ პრობლემებთან იყო დაკავშირებული - „ჯორჯია" თბილისში ვარჯიშობს და პერიფერიებიდან მოზარდები ყოველდღე ვერ ივლიდნენ დედაქალაქში, თუმცა აკობიას გუნდში არათბილისელები მაინც არიან.

„ამ ტურნირში პირველად ვმონაწილეობთ. მეტოქეებზე ინფორმაციას არ ვფლობთ. თუმცა კარგად ვიცით, რომ ყველა განვითარებულ საფეხბურთო ქვეყანას აქვს თავისი სისტემა და ამ სისტემის ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. ასეთ ქვეყნებში თვითონ სისტემა ზრდის ფეხბურთელებს. ვფიქრობ, ამ ასაკში შესაძლებელია იმის ჩვენება, რასაც ქართული ფეხბურთის სტილი და ხასიათი ჰქვია", - ამბობს აკობია.

ჰოლანდიაში გამგზავრებამდე „ჯორჯია" კიდევ აპირებს საკონტროლო მატჩის გამართვას, ტურნირის დაწყებამდე 5 დღით ადრე კი შეკრებაზე გადავა.

**დავით თავართქილაძე**

ქალთა ფეხბურთი

# წინ თურქეთი, მაკედონია და აზერბაიჯანია

## სვანაძის შემადგენლობაში ორი ლეგიონერია

11 მაისიდან საქართველო ქალთა ეროვნულ ნაკრებებს შორის საერთაშორისო ოთხთა ტურნირს უმასპინძლებს. ქალთა საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტ **ნინო სორდიას** თქმით, მატჩები თბილისსა და რუსთავში გაიმართება. ტურნირი 16 მაისს დასრულდება. გათამაშება უეფას ეგიდით ტარდება და მას უცხოელი მსაჯები მოემსახურებიან. ოთხთა შეჯიბრება რეიტინგში საქართველოს ქალთა ნაკრების წინსვლასა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლისთვის მოსამზადებლადაა განკუთვნილი. ჩვენი ეროვნული გუნდის გარდა, ტურნირში თურქეთის, მაკედონიისა და აზერბაიჯანის ნაკრებები იასპარეზებენ. საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრების საბაზო გუნდი „ნორჩი დინამოელია" და მთავარი მწვრთნელიც ამავე კლუბის თავკაცი **მამუკა სვანაძეა** (ზაურ სვანაძის ძმა).

ნაკრების თავკაცმა საერთაშორისო ტურნირისთვის შემადგენლობა დაასახელა. აღსანიშნავია, რომ სვანაძის გუნდში ლეგიონერებიც არიან. 18 ფეხბურთელს შორის ორი „ტრაბზონიდანაა", სრული სია კი ასე გამოიყურება:

მეკარეები - **ნინო ჭკუასელი** (ნორჩი დინამოელი), **ქრისტინა შადობა** (ტრაბზონი, თურქეთი);

მცველები - **ნინო სუდაძე, ნინო პასიკაშვილი, თამარ ქველაძე, თამარ ტატუნაშვილი** (ყველა ნორჩი დინამოელი), **ნათია სხირტლაძე** (უკლუბოდ), **თამთა მალიძე** (ივერია);

ნახევარმცველები - **ტატიანა მატვეევა** (ტრაბზონი, თურქეთი), **სალომე ხუბულური, გვანცა დოლიძე, ნინო კოჭლამაზაშვილი** (ყველა ნორჩი დინამოელი), **თეონა თოდაძე** (ივერია), **ლელა ჭიჭინაძე** (უკლუბოდ);

თავდამსხმელები - **ნათია ჭყონია** (მუქურა), **კესო გაბელია** (ზუგდიდი), **თამარ კვალიაშვილი** (ნორჩი დინამოელი), **ანა პოლოსიანი** (უკლუბოდ).

სვანაძემ გუნდი ტექნიკურ ცენტრ „ბასაში" შეკრიბა. ტურნირამდე ქალთა ნაკრები ერთ ტესტმატჩს გამართავს - დღეს „ავაზას" ჭაბუკებს (1993 წელში დაბადებულთა გუნდი) გაეჯიბრება.

რაც შეეხებათ მეტოქეებს, ისინი თბილისში შაბათ-კვირას ჩამოვლენ და სასტუმრო „ვარაზში" დაბინავდებიან.

**ტურნირი განრიგი**

| | |
|---|---|
| **11 მაისი** | |
| რუსთავი, ფოლადი | |
| აზერბაიჯანი-თურქეთი | 13:00 |
| თბილისი, მიხეილ მესხი | |
| საქართველო-მაკედონია | 15:00 |
| **13 მაისი** | |
| რუსთავი, ფოლადი | |
| მაკედონია-აზერბაიჯანი | 13:00 |
| თბილისი, მიხეილ მესხი | |
| საქართველო-თურქეთი | 15:00 |
| **16 მაისი** | |
| რუსთავი, ფოლადი | |
| თურქეთი-მაკედონია | 13:00 |
| თბილისი, მიხეილ მესხი | |
| აზერბაიჯანი-საქართველო | 13:00 |

**დავით ცაბაძე**

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# ლონდონში კბილებს ილესავენ

## ბარსას დაცვაში უმწვავესი პრობლემა აქვს



### ჩელსი-ბარსელონა (0:0)

დღეს საღამოს საფეხბურთო სამყაროს ჩემპიონთა ლიგის მეორე ფინალისტის ვინაობა ეცოდინება. ველით, რომ „ჩელსისა" და „ბარსელონას" განმეორებითი ნახევარფინალი პირველ შეხვედრაზე ბევრად უფრო საინტერესო და სანახაობრივი იქნება. დასამალი არ არის, რომ „კამპ ნოუზე" გამართულმა დაპირისპირებამ საზოგადოებას მოლოდინი გაუცრუა. ეს პირველ რიგში ლონდონელთა მიერ არჩეული ტაქტიკის ბრალია. **გუუს ჰიდინკმა** ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ კატალონიელებს ფეხბურთი არ ეთამაშათ. ესპანელი მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „არისტოკრატებს" სხვა შანსი არ ჰქონდათ და ასეთი დაცვითი ტაქტიკა ამიტომ აირჩიეს. ძნელი სათქმელია, ჰიდინკს „ბარსელონასი" მართლა შეეშინდა, თუ ასეთი გადაწყვეტილება სხვა მოტივების გამო მიიღო. კაცმა რომ თქვას, განვლილ მატჩზე ბევრი საუბარი არ ღირს. „კამპ ნოუზე" ნულოვანი ფრე დაფიქსირდა და ამ ანგარიშს არაფერი შეცვლის. ამიტომ ჯობია, განმეორებით შეხვედრაზე მოვახდინოთ კონცენტრაცია და წინასამატჩო მიმოხილვაში მაქსიმალურად მეტი ინფორმაცია ჩავტიოთ.

მოგეხსენებათ, „ბარსელონამ" ლონდონში გამგზავრებამდე „სანტიაგო ბერნაბეუზე" უმნიშვნელოვანესი დაპირისპირება მოიგო. კატალონიურმა გრანდმა „ბერნაბეუზე" არსებობის განმავლობაში პირველად 6 ბურთი გაიტანა. სამეფო კლუბის დამარცხებით, „ბარსამ" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, ფაქტობრივად, გაინაღდა. ბუნებრივია, შთამბეჭდავი გამარჯვება **პეპ გვარდიოლას** ბიჭებს განწყობას უუმჯობესებს და მომავლის იმედს ულრმავებს. მადრიდელები მოსისხლე მეტოქეს მთელი კვირის განმავლობაში ემუქრებოდნენ. შეუძლებელი იყო, ისინი გარკვეულ ფსიქოლოგიურ წნეხში არ მოქცეულიყვნენ. „ბარსელონა", ალბათ, ცოტათი შეშფოთდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კატალონიელებმა ძალა მოიკრიბეს და „რეალს" ტყავი გააძვრეს. ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ გვარდიოლა და მისი ბიჭები ახლაც დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში იმყოფებიან. პირველ შეხვედრაში დაფიქსირებული ნულოვანი ყაიმის გამო ლონდონელები გარკვეულ უპირატესობას ფლობენ. „არისტოკრატები" „ბარსელონას" ემუქრებიან და აფრთხილებენ, ინგლისი პრიმერა დივიზიონი არ გეგონოთ, ჩამოხვალთ და დაგამარცხებთო. შესაძლოა, უშუალოდ მუქარის სიტყვები მათ ნაკლებად აშინებს, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია, რომ ანგარიშიდან გამომდინარე კატალონიელები დისკომფორტს არ გრძნობდნენ. ნულოვანი ყაიმი იმდენად სარისკო ანგარიშია, ადამიანი თავს მშვიდად მართლა ვერ იგრძნობს. „ბარსამ" კიდევ ერთხელ უნდა დაამტკიცოს, რომ უდიდესი პროფესიონალების გუნდია და ნებისმიერი სირთულის ამოცანის გადაჭრის უნარი შესწევს. დავუბრუნდებით პირველ ნახევარფინალს და შეგახსენებთ, რომ იმ შეხვედრაში **რაფა მარკესმა** მენისკის მძიმე ტრავმა მიიღო და სეზონი ნაადრევად დაასრულა. მის ნაცვლად შესულმა **კარლეს პუიოლმა** კი მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და დისკვალიფიკაცია აიკიდა. კაპიტანი „სტემფორდ ბრიჯზე" ვერ ითამაშებს. როგორც ხედავთ, გვარდიოლას დაცვაში უმწვავესი პრობლემა აქვს. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კატალონიელები კვალიფიციური ცენტრალური მცველის გარეშე დარჩნენ. გვარდიოლას ახლა რამდენიმე არჩევანი აქვს. ყველაზე მარტივი, **მარტინ კასერესის** დაყენება იქნება. მეორე ვარიანტად **ერიკ აბიდალის** ცენტრში გადაყვანა და მის ნაცვლად **სილვინიოს** გამოყვანა განიხილება. ყველაზე სარისკო ნაბიჯი კი დაცვაში **ხერარდ პიკესთან** ასევე ახალგაზრდა **სერხიო ბუსკეტსის** დაწყვილება იქნება. ასეა თუ ისე, გვარდიოლას შესუსტებული შემადგენლობის გამოყვანა მოუწევს. მარკესის ტრავმა და პუიოლის დისკვალიფიკაცია უდიდესი დანაკლისია, მაგრამ სტუმართა მთავარი მწვრთნელი დღევანდელ მატჩს მაინც უდიდესი ოპტიმიზმითა და შემართებით ელოდება. სენიორ პეპმა ტრადიციული წინასამატჩო პრესკონფერენცია გამართა. მან პირველ რიგში მოწინააღმდეგის ტაქტიკასა და საფეხბურთო მსოფლმხედველობაზე გაამახვილა ყურადღება:

*„მეტოქის ტაქტიკასა და სხვა ნიუანსებზე საუბარი არ მახასიათებს, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ვერ გავჩუმდები. პირველი მატჩი, ძალიან ბევრი თვალსაზრისით, გამორჩეული და უნიკალური გახლდათ. ჩვენ ვთამაშობდით, „ჩელსი" კი ხელს გვიშლიდა. ლონდონელებმა ფეხბურთის თამაშზე პირველივე წუთიდან უარი განაცხადეს და ძალიან ცუდი სტრატეგია აირჩიეს. არასანახაობრივ ფეხბურთს თავი რომ დავანებოთ, „არისტოკრატებმა" საშინელი უხეშობით დაგვამახსოვრეს თავი. ამ დროს მსაჯი ხმას არ იღებდა და წარმოუდგენელ პრობლემებს გვიქმნიდა. იყო შემთხვევები, როცა ლონდონელები გამეტებით გვირტყამდნენ, მაგრამ მსაჯი არ უსტვენდა და ძალადობას ძალიან მშვიდად უყურებდა. გაოგნებული გახლდით. იმის ნაცვლად, რომ ალვ ზნებული სტუმრები ყვითელი ბარათებით დაეშოშმინებინა, პირიქით, ჩვენ გაგვაფრთხილა. ლონდონელები გვირტყამდნენ, მაგრამ ყვითელი ბარათით ჩვენ გვსჯიდნენ. არ ვიცი, თქვენ ამას როგორ შეაფასებთ, მაგრამ მე ამ ფაქტს უსამართლობასა და არაობიექტურობას ვუწოდებ. იმედია, განმეორებით დაპირისპირებაში მსგავსი რამ აღარ განმეორდება".*

ამის შემდეგ გვარდიოლამ დაცვაში არსებული პრობლემებზე საუბრისთვისაც მოიცალა: *„ძალიან დასანანია, რომ მარკესმა მძიმე ტრავმა მიიღო და პუიოლი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. რამდენიც არ უნდა ვეცადო, მაინც ვერ დავმალავ, რომ დაცვაში პრობლემები გვაქვს. შეუძლებელია, მარკესისა და პუიოლის არყოფნამ დაღი არ დაგვასვას, მაგრამ ჩვენ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, არსებული რესურსი უნდა ვიკმაროთ და ყველაფერი გავაკეთოთ იმისთვის, რომ საკუთარი კარის უსაფრთხოება უზრუნველვყოთ. მაპატიეთ, მაგრამ კონკრეტულად ვერაფერს მოგახსენებთ. წინასწარ ვერ ვიტყვი, ვაკანტურ ადგილს ვის ჩავაბარებ. ჩვენ გასული დღეების განმავლობაში რამდენიმე ვარიანტზე ვმუშაობდით. გადაწყვეტილება პრაქტიკულად მიღებული მაქვს, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული ცვლილება განვახორციელო."*

აქვე მოგახსენებთ, რომ გვარდიოლას პრობლემები თავდასხმაშიც შეექმნა. სამეფო კლუბთან შეხვედრაში **ტიერი ანრიმ** მუხლი იტკინა და თამაშის დასრულება ვერ შეძლო. ექიმებმა მას მოედნიდან გასვლისთანავე ყინულის საფენები დაადეს. გუშინ საღამოს ჯერ კიდევ უცნობი გახლდათ, შეძლებს თუ არა ფრანგი ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში თამაშს.

გვარდიოლასგან განსხვავებით, გუუს ჰიდინკს საკადრო პრობლემები არ ემუქრება. პირიქით, ჰოლანდიელ მწვრთნელს დისკვალიფიკაცია მოხდილი **ეშლი კოული** უბრუნდება. მოგეხსენებათ, კოული ლონდონური კლუბის დაცვის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. გულშემატკივრები მის დაბრუნებას სიხარულით შეხვდნენ. ინგლისელ მიმომხილველებს სჯერათ, რომ **ლეო მესი** განმეორებით შეხვედრაში გაცილებით უკეთ ითამაშებს და შესაბამისად მისგან ბევრად მეტ საფრთხეს ელიან. მოკლედ, გულშემატკივრები და ფანები იმედოვნებენ, რომ ეშლი დაცვას გააძლიერებს და „ბარსას" მრისხანე ფორვარდებს თავისუფლად მოქმედების საშუალებას მოუსპობს. კოული ოპტიმისტურადაა განწყობილი და სჯერა, რომ ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის შემთხვევაში გუნდს სერიოზულად დაეხმარება: *„გული დამწყდა, რომ პირველ თამაშში ვერ ვიასპარეზე. მადლობა ღმერთს, ახლა პრობლემები მოგვარებულია და თუ ჰიდინკი გადაწყვეტს, „ბარსელონასთან" აუცილებლად ვითამაშებ. თავს არ დავზოგავ. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ კატალონიელებს გოლის გატანის საშუალება არ მივცე. თუ კარს მშრალად შევინახავთ, დარწმუნებული ვარ, გავიმარჯვებთ. ოპტიმიზმის საფუძველს „ჩელსის" უმაღლესი დონის დაცვა მაძლევს. ეჭვი არ მეპარება, ჩვენი მთავარი მწვრთნელი საშინაო შეხვედრაში უფრო თამამად გვათამაშებს და შეტევას დიდ ყურადღებას დაუთმობს".*

საგულისხმოა, რომ ლონდონელთა თამამ თამაშს ფართო საზოგადოებაც ელოდება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გუუს ჰიდინკი ძირითად შემადგენლობაში **დროგბასა** და **ანელკას** სახით ერთბაშად ორ ფორვარდს დააყენებს და ამით დაცვაში პრობლემების მქონე „ბარსელონას" კიდევ უფრო მეტ სირთულეებს შეუქმნის. სხვათა შორის, ჰიდინკი კატალონიელი კოლეგის განცხადებას გამოეხმაურა და გვარდიოლას საკმაოდ მკვახედ უპასუხა:

*„უდავოა, „ბარსელონა" დღეს საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. „რეალთან" თამაშის შემდეგ ღამით ვერ დავიძინე, თავში კოშმარები მიტრიალებდა. „ბარსა" უძლიერესია, მაგრამ არ მესმის, მისი მწვრთნელი და ფეხბურთელები ჩვენ რატომ გვაკრიტიკებენ. „კამპ ნოუზე" ისე ვითამაშეთ, როგორც საჭიროდ მივაჩნდა. კატალონიელებს ვურჩევ, არ იტირონ. ყველაფერს ჯობია, საქმეს სერიოზულად მოჰკიდონ ხელი და განვლილ მატჩზე წუწუნის ნაცვლად მომავალზე იფიქრონ. რატომ ჰგონიათ, რომ ყველამ მათნაირად უნდა ითამაშოს? ფეხბურთის ხიბლი სწორედ მრავალფეროვნებაშია. სულ ტყუილად ფიქრობენ, რომ ჩვენ შეტევა არ შეგვიძლია. „ჩელსი" საკუთარ ძალას განმეორებით ნახევარფინალში მთელ საფეხბურთო სამყაროს დაანახვებს. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ბიჭები საბრძოლოდ არიან განწყობილი და აბსოლუტურად არაფრის ეშინიათ. ისინი „ბარსელონას" შესაჭმელად ილესავენ კბილებს".*

### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი - ბოსინგვა, ტერი, ალექსი, ე. კოული - ესიენი, ბალაკი, ლემპარდი, მალუდა - ანელკა, დროგბა.

**ბარსელონა:** ვალდესი - დანი ალვეში, კასერესი, პიკე, აბიდალი - ტურე, ჩავი, ინიესტა - ანრი, მესი, ეტოო.

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**ილია ნიკოლაიშვილი**





ბარსელონა

# ეტოოს შანსი: მილანი და მანჩესტერი

## კატალონიელები მის შემცვლელად ფორლანს მოიაზრებენ



მიმდინარე სეზონი დასასრულს მიუახლოვდა, თუმცა როგორც ყოველთვის, ყველაზე რთული მატჩები სწორედ ამ მონაკვეთში იმართება. საპასუხისმგებლო ორთაბრძოლების მიუხედავად, კლუბების მესვეურები და ფეხბურთელები სამომავლო საკითხების მოსაგვარებლადაც იცლიან. რამდენიმე დღის წინ ესპანურ პრესაში სენსაციური ინფორმაცია გაჩნდა. ჟურნალისტები წერდნენ, რომ **სამუელ ეტოო** „მილანის" ხელმძღვანელობასთან ფარულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. ამ თემას ყველაზე დიდი გამოხმაურება კატალონიურ „ელ მუნდო დეპორტივოში" მოჰყვა. ბარსელონური გაზეთი „ლა გაძეტა დელო სპორტის" ინფორმაციით აპელირებს და საკუთარი არხებით მოპოვებულ ინფორმაციასაც გვაწვდის. ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა, რომ კამერუნელი ფორვარდის აგენტი მილანში იმყოფებოდა და **ადრიანო გალიანის** შეხვდა. კულუარული ინფორმაციით, მხარეებმა შეთანხმებას მიაღწიეს, რომლის თანახმადაც მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ სამუელი „სან სიროზე" გააგრძელებს მოღვაწეობას. ეტოოს მენეჯერი დარწმუნებულია, რომ „ბარსელონა" მის კლიენტს ხელს არ შეუშლის.

თუ დილით კამერუნელის მილანში გადაბარგების შესაძლებლობაზე საუბრობდნენ, საღამოს „მანჩესტერ იუნაიტედის" ვარიანტიც ახსენეს. ესპანელი ჟურნალისტები „წითელ ეშმაკებზე" ისეთივე სერიოზულობით ლაპარაკობენ, როგორც ეტოოს „მილანში" გადასვლის შესაძლებლობას ამტკიცებდნენ. ძნელი სათქმელია, ერთი კაცი ორ გუნდში როგორ უნდა მოხვდეს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. თუმცა ის კი აშკარა ფაქტია, რომ ეტოო „ბარსელონადან" წასვლის შესაძლებლობას აქტიურად განიხილავს. ბუნებრივია, შექმნილ აჟიოტაჟს კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა გვერდს ვერ აუვლიდა. საზოგადოებას უმაღლესი ხელისუფლების მოსაზრება აინტერესებდა. „ბარსას" პრესსამსახურმა თავდაპირველად **ჩიკი ბეგირისტაინის** პრესკონფერენციის შესახებ გაავრცელა ინფორმაცია, მაგრამ საღამოს სიტუაცია შეიცვალა და ჟურნალისტებს პირადად პრეზიდენტი **ჟოან ლაპორტა** გაესაუბრა: *„ალბათ, ყველამ იცით, რომ სამუელ ეტოოს მე ყოველთვის დიდ პატივს ვცემდი და ძალიან ვაფასებდი. ახლაც ასეა. სამუელს ჩემი პატივისცემა დღესაც არ აკლია. უკლებლივ ყველა ჟურნალისტმა, გულშემატკივარმა და კლუბის თანამშრომელმა ვიცით, რომ ეტოო კონფორმისტი არასდროს ყოფილა. შესაძლოა, მას ვინმე ზედმეტად კონფლიქტურ ადამიანადაც მიიჩნევდეს, მაგრამ ეტოო ის არის, ვინც არის. ძალიან მინდა, მან კვლავ „ბარსელონაში" ითამაშოს, მაგრამ თუ მას აქ დარჩენა არ სურს, ძალით, რა თქმა უნდა, არ დავტოვებთ. ჩვენ მზად ვართ მას კონტრაქტი გავუხანგრძლივოთ და პირობები გავუუმჯობესოთ. იმედია, მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება. თუ არა და, ჩვენს ფეხბურთელს პრობლემას არ შევუქმნით. შეუძლებელია, ადამიანი აიძულო ის უნდოდეს, რაც რეალურად არ სურს. ძალით კი მართლაც ვერავის დავიტოვებთ."*

ეტოო ხელშეკრულების გახანგრძლივებას ჯიუტად არ ჩქარობს. „ბარსას" ხელმძღვანელობამ მასთან თანამშრომლობის გაგრძელების იმედი, პრაქტიკულად დაკარგა. სამუელს მოქმედი კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისს უმთავრდება. თუ ლაპორტა მას ამ პრეტემპორადაზე არ გაყიდის, მაშინ 2010 წლის ზაფხულში არაჩვეულებრივ აფრიკელ ფორვარდს ყოველგვარი საკომპენსაციო თანხის მიღების გარეშე დაკარგავს. ცხადია, ეს არავის სურს. ამიტომ, სავარაუდოა, რომ ლაპორტა ბეგირისტაინს აქტიურ მუშაობას მოსთხოვს. კატალონიელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ეტოო მაქსიმალურად სარფიანად გაყიდონ. თუ სამუ „კამპ ნოუს" მართლა დატოვებს, ესპანური გრანდის მესვეურები მისი შემცვლელის გადაბირების აუცილებლობის წინაშე დადგებიან, ასეთად კი **დიეგო ფორლანი** განიხილება. ძნელი სათქმელია, „ატლეტიკო" მას რა ფასს დაადებს, თუმცა კულუარული ინფორმაციით მადრიდული კლუბის ხელმძღვანელობა კატალონიელი კოლეგების ინიციატივით ძალიან დაინტერესდა და თანამშრომლობის პირობა დადო. უნდა ითქვას, რომ ფორლანი არაჩვეულებრივი კანდიდატურაა. ესპანეთში ის შესანიშნავად გრძნობს თავს და გოლები ძალიან ხშირად გააქვს. დიეგო მსოფლიო ფეხბურთის გრანდის დაინტერესებას ძალიან მშვიდად შეხვდა:

*„ბარსელონაში" თამაშის პერსპექტივა გულგრილს ვერავის დატოვებს, თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ამ ეტაპზე კონკრეტულ საკითხებზე საუბარი ძალიან გამიჭირდება. მიზეზი მარტივია, კატალონიიდან ჯერჯერობით არავინ შემხმიანებია. არც იმას დავმალავ, რომ „ატლეტიკოს" დირექტორატში გარკვეული ინფორმაცია მართლაც არსებობს, მაგრამ საკითხი დღის წესრიგში ჯერ არ დამდგარა. ახლა ჩემი მთავარი ამოცანა „როხიბლანკოს" დახმარებაა. მე ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისთვის, რომ ჩემს გუნდს ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაში დავეხმარო. მომავალში რა მოხდება, რა თქმა უნდა, არავინ იცის, ამიტომ მირჩევნია, დღევანდელობით ვიცხოვრო და მოვლენათა განვითარებას დავაკვირდე".*

შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ კატალონიელები მხოლოდ ფორლანის შეძენის შესაძლებლობით არ კმაყოფილდებიან და ალტერნატიულ ვარიანტებზეც ინტენსიურად საუბრობენ. ერთ-ერთ ასეთ ვარიანტად **კარიმ ბენზემას** ტრანსფერი განიხილება. შეიძლება, გახსოვთ, რომ „ლიონის" ფორვარდით დაინტერესება ესპანური გიგანტის მესვეურებს ადრეც არაერთხელ გამოუთქვამთ. დღეს დანამდვილებით ვერავინ გეტყვით, სატრანსფერო ბაზრის გახსნის შემდეგ მოვლენები როგორი სცენარით განვითარდება, თუმცა უდავოა, რომ ტრადიციულად ამ ზაფხულსაც დიდი ვაჭრობა გაჩაღდება და ძალიან საინტერესო მოლაპარაკებების მომსწრენი გავხდებით.

ილია ნიკოლაიშვილი

ესპანიოლი

# რეკორდსმენი კამენი კანის ფერის გამო დაამცირეს

## აფრიკელი მეკარე პოლიციელებმაც მასხარად აიგდეს

როგორც იცით, პრიმერა დივიზიონის გასულ ტურში „ესპანიოლმა" „ვალენსია" დიდი ანგარიშით 3:0 დაამარცხა. კატალონიელთა კამერუნელმა მეკარემ, **კარლოს კამენიმ** ზედიზედ 5 შეხვედრა გაშვებული გოლის გარეშე ჩაატარა და ამით **ტომას ნკონოს** ყველა დროის რეკორდი დაამხო. კამენის ანგარიშზე 498 უგოლო წუთია. ამ მიღწევით მან „ესპანიოლის" მეკარეების ამჟამინდელი მწრთნელის მაჩვენებელი გააუმჯობესა. ტომას ნკონომ 1988/89 წლების სეზონში 496 წუთის განმავლობაში საკუთარი გუნდის კარი მშრალად შეინახა. კამენის თავდადებისა და ისტორიული მიღწევების მიუხედავად, ესპანეთში მას ისევ ძველი პრობლემები აწუხებს. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ კამერუნელი გოლკიპერი ისევ და ისევ რასიზმის გამო საშინელ დისკომფორტს გრძნობს.

ზოგადად ესპანურ ფეხბურთში რასიზმი, ფაქტობრივად, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სეზონი ისე არ ჩაივლის, რომ ამ სამარცხვინო მოვლენასთან დაკავშირებით რამდენიმე სკანდალი არ მოხდეს. ყველაზე დიდი უსიამოვნება **სამუელ ეტოოს** გამოუვლია. არ დარჩენილა სტადიონი, სადაც მისთვის მაიმუნი არ უწოდებიათ და დამცინავი შეძახილებით შეურაცხყოფა არ მიუყენებინათ. ბუნებრივია, რასისტულად განწყობილი გულშემატკივრები მხოლოდ ეტოოს არ უქმნიან პრობლემებს. რასიზმის მსხვერპლი სხვა პრიმერადივიზიონელი ფეხბურთელებიც გამხდარან. კამენი სწორედ ერთ-ერთი მათგანია. კატალონიელთა მეკარემ ფრანგული „ლე პარიზიენისთვის" მიცემულ ინტერვიუში რასისტული გამოხდომების შესახებ გულისტკივილით ისაუბრა: *„ამ საკითხზე საუბარი საშინლად არ მიყვარს, მაგრამ საუბედუროდ, ამის გაკეთება მაინც ძალიან ხშირად მიწევს ხოლმე. გასვლითი შეხვედრები ჩემთვის ორმაგად რთულია. პრაქტიკულად, ყველა სტადიონზე შეურაცხყოფას მაყენებენ და აფრიკულ მაიმუნს მეძახიან. ბევრჯერ აღმინიშნავს, რომ ამას თავიდან საშინლად განვიცდიდი, მაგრამ დროთა განმავლობაში იმუნიტეტი გამოვიმუშავე. ვცდილობ, სიმშვიდე არ დავკარგო. უფრო მეტიც, ასეთი შეუ-*

»»» 7

ამბები

### კარდიფი ვარსკვლავს შეელევა

პრემიერლიგის მოქმედი თუ ახლახან აწევებული კლუბები „კარდიფ სიტისა" და უელსის ნაკრების 22 წლის მარცხენა ნახევარმცველის **ჯო ლედლის** პერსონით დაინტერესდნენ. უელსური კლუბის თავკაცმა **დეივ ჯოუნსმა** სწორედ ამ დღეებში გააკეთა განცხადება, ფეხბურთელის შესახებ საინტერესო წინადადებებს აუცილებლად მოვისმენთო. გაზეთების ცნობით, ლაპარაკია „სტოკ სიტის", „ვულვერჰემპტონის", „უიგანის", „ვესტ ჰემისა" და „ტოტენჰემის" ინტერესზე. ფეხბურთელის კონტრაქტს ვადა 2010 წლის ივნისში გასდის. მან უკვე განაცხადა უარი ხელშეკრულების გახანგრძლივებაზე. თანაც კლუბმა პრემიერლიგაში ასვლის შანსი უკვე დაკარგა და შესაბამისად, ფეხბურთელს ახალი ნავსაყუდლის ძებნის სურვილი გაუათმაგა. *„ჯოსთან მოლაპარაკება კონტრაქტის გახანგრძლივებაზე არავის უწარმოებია,* - განაცხადა დეივ ჯოუნსმა „საუთ ვეილს ეხოსთან" ინტერვიუსას. - *საბედნიეროდ, ისეთი ფინანსური პრობლემებიც არ გვაქვს, რომ ფეხბურთელები სასწრაფო წესით გავყიდოთ. თავის გადასარჩენად საქმე არ გვაქვს. შესაბამისად, ყოველ ტრანსფერს მაქსიმალურად სკრუპულოზურად მივუდგებით. თუმცა გუნდისთვის ახალი სისხლის გადასასხმელად და ახალ დონეზე ასასვლელად რომელიმე ლიდერთან გამოთხოვება მაინც მოგვიხდება".*

### ძალადობის ახალი ტალღა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის განცხადებით, ისინი დაწვრილებით შეისწავლიან 35-ე ტურში „სტოკ სიტისა" და „ვესტ ჰემის" გულშემატკივრებს შორის მომხდარ ინციდენტს და მას კვალიფიციურ სამართლებრივ შეფასებას მისცემენ. როგორც პრესაში დაიწერა, რომ არა პოლიციელთა თავგამოდებული და დროული ჩარევა, სერიოზული ინციდენტი შეიძლებოდა მასობრივ ჩხუბში გადაზრდილიყო. თანაც შეიძლებოდა დაპირისპირება გავრცელებულიყო არამხოლოდ „ბრიტანიაზე" არამედ სტადიონს მიღმაც. მდგომარეობა შეხვედრის დასრულების შემდეგ უფრო დაიძაბა, რადგან სტუმრებმა მინიმალური სხვაობით იმარჯვეს. ამან „სტოკის" ფანები ერთობ განარისხა. მათ სტუმართა სექტორში სხვადასხვა საგნის სროლა დაიწყეს.

აღსანიშნავია, რომ „სტოკის" სტადიონზე ეს პირველი ინციდენტი არ არის. მათ შედარებით მცირე არეულობა მოაწყვეს „მიდლსბროსთან" მარტის შეხვედრის დროსაც.

### დოს სანტოსს ჩემპიონშიფი არ ეკადრება

„იფსვიჩის" ახლადდანიშნულმა თავკაცმა **როი კინმა** განაცხადა, რომ მის გუნდში არენდით გადასული მექსიკელი **ჯოვანი დოს სანტოსი** ჩემპიონშიფისთვის ძალიან ცოდოა, რადგან ის ბევრად მაღალ დონეზე თამაშს იმსახურებს. ირლანდიელი პირველად ნახვისთანავე მოხიბლული დარჩა ფეხბურთელის საფეხბურთო ნიჭით. *„ვფიქრობ, ჯოვანი მომდევნო სეზონში დაუბრუნდება უმაღლეს დონეს. თუკი „ტოტენჰემში" მიიჩნევენ, რომ ჯოვანი მათ არ სჭირდებათ, დარწმუნებული ვარ, ბევრი კლუბი გამოჩნდება, რომელიც მის კონტრაქტს დიდი სიხარულით გამოისყიდის. მომავალი სეზონისთვის მის შემცვლელს ახლავე ვეძებ, რადგა ვიცი, რომ ის აუცილებლად დაგვტოვებს".*

აქვე გაგაცნობთ ინფორმაციას „ტოტენჰემის" კიდევ ერთ ფეხბურთელზე. **დიდიე ზოკორას** განცხადებით, ხმები კლუბიდან მისი შესაძლო აბარგების შესახებ გადაჭარბებულია, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში მუდმივად სათადარიგოთა სკამზე ზის. ძირითადიდან ის **პალასიოსმა** ამოაგდო. ივუარელი კლუბის დატოვების გადაწყვეტილების მიღებას ხელაღებით არ გეგმავს.

### ალვარო ნეგრედო ლივერპულში?

„ალმერიას" შემტევი **ალვარო ნეგრედო** ამჟამინდელ კლუბში „რეალიდან" 2007 წელს გადავიდა. ხელშეკრულებაში წერია, რომ „რეალს" უფლება აქვს ფეხბურთელი უკან დაიბრუნოს იმ შემთხვევაში, თუკი 4,4 მილიონ ფუნტს გადაიხდის. თუმცა სამეფო კლუბი მოთამაშით დაინტერესებას მაინცდამაინც არ ამჟღავნებს. სამაგიეროდ, ფეხბურთელის სამსახურით ოფიციალურად დაინტერესდა **რაფა ბენიტესი**. „ლივერპული" მზადაა, 23 წლის თავდამსხმელში 9,8 მილიონი ფუნტი გადაიხადოს. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ესპანელმა ჟურნალისტებმა ალვაროსთან დაკავშირება მოახერხეს და კომენტარი სთხოვეს. აი, რა განაცხადა ფეხბურთელმა: *„ვითამაშო „ენფილდზე" ფერნანდო ტორესის გვერდით, ეს ერთი სიამოვნება იქნება, ამაზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლება. ასეთ წინადადებაზე ყველა ფეხბურთელი სიხარულით დათანხმდებოდა, თუმცა მირჩევნია, რეალობას თვალი გავუსწორო. ჯერჯერობით არავინ დამკავშირებია. არ ვიცი, ჰქონდათ თუ არა კლუბების წარმომადგენლებს ერთმანეთთან კონტაქტი. ჩემი მომავალი დიდ წილად „რეალზეა" დამოკიდებული. ვიცი, რომ სეზონის ბოლოს „ალმერიას" დავტოვებ, მაგრამ სად გავაგრძელებ კარიერას, ჯერ დანამდვილებით არ ვიცი.*

*გულწრფელად გეტყვით, მირჩევნია სათამაშოდ ინგლისში წავიდე, კონკრეტულად - „ლივერპულში". ვფიქრობ, პრემიერლიგა თავის გამოჩენის მეტ შანსს მომცემდა".*

### მაკლიში ბირმინგემში რჩება

„ბირმინგემ სიტის" შოტლანდიელი მწვრთნელის **ალექს მაკლიშის** ცნობით, სეზონის დასრულების შემდეგ ის კლუბის გამოცვლას არ გეგმავს. მაკლიში კლუბში სეზონის დაწყებამდე მივიდა და „დერბი ქაუნთისთან" ბოლო ტურში გამარჯვების შემდეგ პირველივე სეზონში შეძლო კლუბის პრემიერლიგაში ასვლა. შოტლანდიელმა მიუხედავად იმისა, რომ შუა სეზონში კლუბის პრეზიდენტთან კონფლიქტი მოუვიდა, მუშაობა მაინც განაგრძო და შედეგიც მიიღო. *„პრესაში თვალი მოვკარი, ვილაცები ჩემზე ხმებს ავრცელებდნენ, თითქოს კლუბის დატოვებას ვგეგმავ. კი, მაგრამ საიდან მოიტანეს?* - განუცხადა ბრიტანეთის საზოგადოებრივ მაუწყებელს სპეციალისტმა. - *„რამდენადაც ვგეგმავ, შემდეგი სეზონიც აქ უნდა დავიწყო. ვიცი ისიც, რომ ჩემით არც ხელმძღვანელობაა უკმაყოფილო. ასე რომ, გთხოვთ, მეორედ ჩემს მომავალთან დაკავშირებით ასე ძალიან ნუ დაინტერესდებით. თანაც, ახლა ამის დრო არც მაქვს. დიდი საქმე გავაკეთეთ და ახლა ზეიმის დრო მოვიდა".*

### დეშამი მარსელში დაინიშნა

"მარსელის" მთავარ მწვრთნელად მომავალი სეზონიდან სახელგანთქმული ფრანგი ფეხბურთელი **დიდიე დეშამი** იმუშავებს. ხელშეკრულება მხარეთა შორის უკვე შეთანხმებულია და ძალაში ახალი სეზონის დაწყებისთანავე შევა. კლუბი ახლოსაა საფრანგეთის ჩემპიონის ტიტულთან, ასე რომ, **ერიკ გერეტსი** საფრანგეთიდან, სავარაუდოდ, "მოოქროვილი" წავა.

დიდიეს "მარსელში" ოთხი, 1989/90 და 1991/94 სეზონი აქვს გატარებული. საერთო ჯამში მის ანგარიშზე 125 თამაშია. სწორედ ზღვისპირელთა შემადგენლობაში მოიგო მან პირველად ჩემპიონთა თასი 1993 წელს. გთავაზობთ მის პირველ კომენტარს: *"მარსელის" გაწვრთნის წინადადებას დიდი სიხარულით დავთანხმდი."ველოდრომზე" კიდევ ერთხელ დაბრუნებით მოხარული ვარ. აქვე პირობას ვიძლევი, რომ იქამდე, ვიდრე კლუბში გერეტსი იმუშავებს, კლუბთან დაკავშირებით კომენტარს ამის მეტად აღარ გავაკეთებ. ეს ჩემი მხრივ არაკორექტული საქციელი იქნებოდა".*

შალვა ბიბილაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# განუმეორებელი დუეტი

## გიგზი და ფერგი დიდი ხანია, ერთ საქმეს ემსახურებიან

ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ **რაიან გიგზი** ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა. რამდენად იმსახურებს ვეტერანი ასეთ ტიტულს? გავითვალისწინოთ, რომ მან პრემიერლიგის მატჩი სასტარტო შემადგენლობაში მხოლოდ 13-ჯერ დაიწყო, შეცვლაზე კი 12-ჯერ გავიდა. დიახ, რაიანმა უფრო ნაკლები თამაში ჩაატარა, ვიდრე მისმა კონკურენტებმა, მაგრამ დააკვირდით, რა დონეზე ჩაატარა ყოველი შეხვედრა და რამხელა გავლენას ახდენდა თამაშზე, როცა შეცვლაზე შედიოდა. სერ **ალექს ფერგიუსონისთვის** ის შეუცვლელი ჯოკერი იყო, რომელსაც შეეძლო „ეშმაკების" სასარგებლოდ შემოეტრიალებინა ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე უილბლო შეხვედრაც კი. ალბათ, ყველას გახსოვთ რაიანის შთამბეჭდავი ასპარეზობა „ჩელსისთან" შეხვედრაში. ყველა ის მატჩი, რომელიც გიგზმა „მანჩესტერის" ნახევარდაცვის ცენტრში ჩაატარა, „იუნაიტედის" უდიდესი უპირატესობით წარიმართა. კლასიკური განაპირა ნახევარმცველის ცენტრში გადანევამ მარტო ის კი არ გამოიწვია, რომ ფეხბურთელის კარიერა პოტენციურად რამდენიმე წლით გაგრძელდა, არამედ ისიც, რომ კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი უელსელის უმაღლეს საფეხბურთო ოსტატობას. კარიერის მიწურულს ასეთ ნაბიჯზე უამრავი ვეტერანი მიდის, მაგრამ ცოტას უმართლებს, მეორე სუნთქვა ერთეულებს თუ ეხსნებათ. ბედის რჩეულთაგან ერთ-ერთი სწორედ გიგზია. ადრე მცველებს მასთან მიახლოების პანიკურად ეშინოდათ, რადგან იცოდნენ, რომ უმრავლეს შემთხვევაში მწარედ მოტყუებულები უნდა დარჩენილიყვნენ. მისი ფენომენური დრიბლინგისთვის ალღოს აღებას იშვიათად თუ ვინმე მოახერხებდა. ახლა კი, როცა ცენტრში გადაინაცვლა, ბასრ იარაღად საოცარ პასებს იყენებს.

დიახ, შეიძლება ბევრი ვილაპარაკოთ, რომ დასახელებულ პრეტენდენტთა შორის არ იყო ესა თუ ის ფეხბურთელი, რომელსაც იქ ადგილი ლოგიკურად ეკუთვნოდა ამა თუ იმ დამსახურებისთვის, მაგრამ ისიც აღსანიშნავია, რომ ასე ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი ფავორიტი სეზონს არც ჰყოლია. თუკი საქმე პრეტენდენტებზე მიდგება, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ **ნემანია ვიდიჩი** „ლივერპულთან" წაგებული შეხვედრის შემდეგ მთელი თვე არასტაბილურად თამაშობდა, **რიო ფერდინანდმა** ტრავმის გამო ასევე ბევრი შეხვედრა გამოტოვა, **ედვინ ვან დერ სარი** სტაბილურად თამაშობდა, მაგრამ აშკარად არ ბრწყინავდა, წლევანდელი **რონალდო** კი შარშანდელის მხოლოდ აჩრდილია. დანარჩენებზე სტაბილურად **სტივ ჯერარდი** გამოიყურეოდა, ასევე **ლემპარდიც**... რომელიც რჩეულთა სიაში საერთოდ ვერ მოხვდა. ცოდვა გამხელილი სჯობს და, ლივერპულელსაც ჰქონდა თამაშები, როცა მოედანზე იდგა იმისთვის, რომ მდგარიყო... აი, რატომ ვერ მოხვდა ლემპარდი, ეს ცალკე საკითხია და ეჭვი გვაქვს, ამას რაციონალური ახსნა ჰქონდეს. და მაინც, ყველა ხვდება, რომ ტიტული გიგზმა უფრო წარსული დამსახურებისთვის მიიღო, ვიდრე ეპიზოდურად ბრწყინვალე თამაშისთვის.

„არიან ფეხბურთელები, რომლებზეც შეგიძლია თამამად თქვა, რომ ასეთები კარიერაში მხოლოდ ერთხელ გხვდებიან. ამის თქმა რაიან გიგზზეც თავისუფლად შეიძლება, - განაცხადა ერთხელ უელსელ გენიოსზე ფერგიუსონმა. - დღე, როცა ის „მანჩესტერში" მოვიდა, არასოდეს დამავიწყდება. ეს მის 17 წლისთავზე მოხდა. გამოდის, რომ მარცხენა ფლანგს მთელი 20 წლის განმავლობაში აწიოკებდა. ის საოცრად ამტანი და სტაბილურია, თუმცა ესეც არ არის მთავარი. მთელი კარიერის განმავლობაში გიგზი საოცრებებს აკეთებდა. ის ახლაც ისეთებს სჩადის, უნებურად გიჩნდება კითხვა - კი, მაგრამ რანაირად ახერხებს ამას 35 წლის ასაკში? მე თუ მკითხავთ, ფეხბურთის ისტორიაში გიგზი ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელია". მის გამორჩეულობაზე სტატისტიკა თავისთავად მეტყველებს. ის პრემიერლიგის ათგზის გამარჯვებულია და რამდენიმე დღეში ტიტულს მე-11-დ მოიგებს. „რაიანი ბავშვობიდან გახლავთ გამორჩეული შესაშური ძალითა და ათლეტიზმით. ის ყოველთვის აღსავსე იყო ენთუზიაზმითა და მოვლენათა ეპიცენტრში ყოფნის სურვილით, - განაგრძობს შოტლანდიელი. - ჩვენს დროში ფეხბურთელებისგან ელიან და ითხოვენ წარმოუდგენლად ბევრს. ამან შეიძლება ზოგიერთის დამოკიდებულება თამაშის მიმართ რაღაც დონეზე შეცვალოს. გიგზი აქაც გამონაკლისია. მას ფეხბურთისადმი დამოკიდებულება არასდროს შეუცვლია. ძნელია... არა, შეუძლებელია, აღწერო ყველაფერი ის, რაც მას დიდ ფეხბურთელად აქცევს. ის არის გარკვეული ტიპის ძრავა სადღაც, გუნდის შიგნით, რომელიც შეუსვენებლივ მუშაობს. 35 წლის ასაკში ეს თვისება ძალზე იშვიათია".



პრესაში ხშირად აღნიშნავენ ხოლმე, რომ ფერგი და გიგზი შრომისმოყვარეობით ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. ორივემ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ამ გუნდს შესწირა, თუმცა მიუხედავად ამისა, მოტივაცია არც ერთ მათგანს არ დაუკარგავს. აი, როგორ ხსნის ყოველივე ამას შოტლანდიელი: „ყველაფერი ძალიან მარტივია - მიყვარს დილას ადრე ადგომა და ბაზაზე მოსვლა, ფეხბურთელების სავარჯიშო პროცესისთვის თვალყურის დევნება. ფეხბურთს ყოველთვის ისეთ თამაშად აღვიქვამდი, რომელშიც შემეძლო საკუთარი თავის რეალიზება. ფეხბურთი ჩემთვის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ყოველდღიური სავარჯიშო პროცესი, შაბათ დღეს სტადიონზე გასავათებამდე დაღლა და თქმა, რომ 1:0 მოვიგეთ. ის თავის თავში ბევრად უფრო მრავალფეროვანია. სწორედ ამას ვესწრაფვი, რომ ფეხბურთელებმა ეს განსხვავება გაითავისონ".

გარდა ახალი თაობის ფეხბურთელებთან მუშაობის დიდი სურვილისა, ფერგისთვის ფეხბურთში მოტივაცია ისიც არის, რომ მისი საყვარელი კლუბი ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებების რაოდენობით ჯერ კიდევ ჩამორჩება ისეთ გრანდებს, როგორებიც არიან „რეალი", „მილანი", „ლივერპული", „აიაქსი" და „ბაიერნი". „ყოველთვის მრჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ჩემპიონთა თასი დაუმსახურებლად ცოტაჯერ გვაქვს მოგებული. ვღიზიანდები, როცა ვფიქრობ, რომ არიან კლუბები, რომელთაც ეს ტიტული ჩვენზე მეტჯერ აქვთ მოგებული. მშურს „რეალის", „მილანის", „ლივერპულის", „აიაქსისა" და „ბაიერნის". წელს შესანიშნავი შანსი გვაქვს, მეოთხედ მოვიგოთ და ამ უკანასკნელებს დავეწიოთ. იმედია, შანსს ხელიდან არ გავუშვებთ".

დაბოლოს, ფერგიზე თხრობა ყოველთვის მთავრდება შეკითხვით, თუ როდის გავა პენსიაზე... „რამდენიმე წლის წინ ამაზე ხშირად ვფიქრობდი, მაგრამ მას მერე სიტუაცია შეიცვალა. მივხვდი, რომ ასეთი რამის დაგეგმვა არ შეიძლება. შედეგად, შევცვალე ჩემი გეგმები, ფიქრები პენსიაზე უკანა პლანზე გადავწიე. სწორედ ამიტომაა, რომ ჩემი სამუშაოსგან სიამოვნებას ვიღებ. ჩემი გუნდის წინაშე ყოველთვის ამბიციური გეგმები იდგა და ეს სწორედ ის არის, რაც მე მინდა".

**შალვა ბიბილაშვილი**

ჰალ სიტი

# ბრაუნი კონცენტრირებულია

„ჰალ სიტი" პირველ წრეში ისე თამაშობდა, ყველას ეგონა, რომ გუნდი ევროთასებისთვის იბრძოლებდა, მაგრამ „ვეფხვებს" კრიზისი მალე დაეწყოთ, თანაც ისეთი ღრმა, რომ გუნდი ლამისაა გასავარდნ ზონაში დაეშვას (განსხვავევება „ნიუკასლთან" სულ რაღაც 3 ქულაა). ასეთ რთულ პერიოდში ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მთავარი მწვრთნელის 25 წლის ვაჟი კოკაინის შენახვისთვის დააკავეს, რა თქმა უნდა, ბრაუნის განწყობას ვერ აამაღლებდა. ამის მიუხედავად, **ფილ ბრაუნმა** მკვეთრად დააფიქსირა, რომ ის ბოლომდე ახერხებს კლუბის ინტერესებისთვის კონცენტრირებას. „მიუხედავად იმისა, რომ პრობლემების მეტი ამ, წუთას ჩემს ცხოვრებაში არაფერია, „ჰალის" საქმეებზე ფიქრს მაინც ვახერხებ. დამერწმუნეთ, საკმაოდ ძლიერი პიროვნება ვარ და შემიძლია ყველა იმ წინააღმდეგობას გავუმკლავდე, რომელიც ცხოვრებაში წინ დამხვდება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ვაჟიც ძლიერი ადამიანი აღმოჩნდება და შექმნილი სიტუაციიდან ისიც გამოძვრება".

გეტყვით, რომ პოლიციის განცხადებით, **ჯეიმი ბრაუნი** ქალაქ ნიუკასლის ახლოს ერთ-ერთ ღამის კლუბთან მანქანაში აღმოაჩინეს. გარდა იმისა, რომ ის ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იყო, აკრძალული ნივთიერება მცირე რაოდენობით მისი მანქანის ჩხრეკის შედეგადაც იპოვეს. აღსანიშნავია, რომ ბრიტანეთის კანონმდებლობა საკმაოდ იოლ ფორმებში სჯის ადამიანს, ვინც ე.წ. „კონტროლირებადი ნარკოტიკის" თრობის ქვეშ აღმოჩნდება.

**შალვა ბიბილაშვილი**

# რეკორდსმენი კამენი კანის ფერის გამო დაამცირეს

6 «««

რაცხყოფა მოტივაციას მიორმაგებს. თუმცა ყველაფრის მიუხედავად ადამიანი ვარ და გული მტკივა ხოლმე. გუშინ, ვარჯიშიდან სახლში ვბრუნდებოდი და გზად სუპერმარკეტში შევიარე. იქ მომხდარ ამბავს, დეტალურად არ აღვწერ. უბრალოდ გეტყვით, რომ ამხელა შეურაცხყოფა ჩემთვის არასოდეს მოუყენებიათ. რამდენიმე ადამიანმა პირდაპირ და დაუფარავად მითხრა, თქვენ შავკანიანი ხართ და დახვეწილი ხალხის მაღაზიებში ნუ დადიხართ, უსიამოვნებას გვიქმნითო. ძალიან გავბრაზდი და მაშინვე პოლიცია გამოვიძახე. საპატრულო ეკიპაჟი მართლაც მოვიდა, მაგრამ კანონის დასაცავად არაფერი გააკეთა. პოლიციელები ირონიულად იცინოდნენ. საჩვენებლად რამდენიმე კაცი დაჰკითხეს, მაგრამ მინიმალური ჯარიმაც კი არ გამოწერეს. არადა, ინგლისსა და საფრანგეთში მსგავსი შემთხვევები პატიმრობით ისჯება. ბოლოს, ერთ-ერთმა პოლიციელმა სრულიად ცინიკურად მითხრა, კარლოს, არ ინერვიულო, მერე რა რომ შავს გეძახიან, შენ ხომ „ესპანიოლის" ყველა დროის რეკორდი დაამყარეო. ვიფიქრე, ამ პოლიციელსაც ვუჩივლებ-მეთქი, მაგრამ მერე გადავიფიქრე. აზრი არ აქვს. ხმამაღალი განცხადებისთვის ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ესპანეთში რასიზმის პრობლემა, ალბათ, არასოდეს მოგვარდება."

**ილია ნიკოლაიშვილი**



მოსალოდნელი ტრანსფერები



# იბრაჰიმოვიჩი არ მიდის

## რას იზამს ნედვედი?

**მინო რიოლა** იტალიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საფეხბურთო აგენტია. ის არაერთი ვარსკვლავის ინტერესებს იცავს, მათ შორის **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** და **პაველ ნედვედის**. გუშინ, რიოლა მასმედიის წარმომადგენლებს შეხვდა და სწორედ ამ ორი ფეხბურთელის სამომავლო პერსპექტივაზე ისაუბრა. იბრაჰიმოვიჩის „რეალში" გადასვლის საკითხი, **დრენტეს** განცხადების შემდეგ, კიდევ უფრო აქტუალური გახდა. სამეფო კლუბის შავკანიანმა ფეხბურთელმა, პრესას აუწყა, შვედი ჩემოდნებს ალაგებს და სეზონის დასრულებისთანავე მადრიდში გამოემგზავრებაო. რიოლამ დრენტეს შემდეგი პასუხი გასცა:

„დრენტეს ურჩევნია თავის საქმეებს მიხედოს, ზლატანი ჩემოდნებზე ნამდვილად არ ზის და ჯერჯერობით არსად წასვლას არ აპირებს. რაც შეეხება „რეალს", ამ გუნდის მესვეურებს „ინტერისთვის" წინადადებით არ მიუმართავთ. ვერც მიმართავდნენ, რადგან გუნდი გარდამავალი მმართველობის ხელშია და მადრიდში საპრეზიდენტო არჩევნებს ელოდებიან. ჯერ ისიც არ ვიცით, ვინ გახდება პრეზიდენტი და რა ტრანსფერზეა საერთოდ ლაპარაკი? ზლატანის ტრანსფერი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგება, თუ ამას „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი მოინდომებს. როგორც ვიცი, სენიორ მასიმოს ასეთი სურვილი არ ამოძრავებს. აქვე, უნდა აღვნიშნო, რომ იბრაჰიმოვიჩისთვის ფული მეორეხარისხოვანია. ფინანსურ პირობებზე წინ ყოველთვის სპორტულ მოტივაციას აყენებს და ასე იქნება მომავალშიც. ჩემს კლიენტს ყველაზე მეტად ჩემპიონთა ლიგის მოგება სურს და მიიჩნევს, რომ ამის გაკეთება „ინტერთან" ერთად შეუძლია."

მინო რიოლამ ნედვედზეც ისაუბრა, ვისაც სეზონის დასრულებისთანავე ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება აქვს გადაწყვეტილი. იტალიელი ჟურნალისტები, ჩეხის ბოლოდროინდელ ასპარეზობას მაღალ შეფასებას აძლევენ და თვლიან, რომ პაველი დღესაც ერთ-ერთი საუკეთესოა „იუვენტუსის" შემადგენლობაში. შესაბამისად, ისმის კითხვა - ადრე ხომ არ არის ნედვედისთვის კარიერის დასრულება? აი, რიოლის პასუხიც:

„პირადად მე, ვფიქრობ, რომ ადრეა და ეს არაერთხელ განვუცხადე თავად პაველს. ის ჯერ კიდევ ძველ პოზიციაზე დგას და აცხადებს, რომ სეზონის ბოლოს ფეხბურთის თამაშს შეეშვება. თუმცა გასულ ტურში შესრულებულმა დუბლმა შეიძლება ბევრი რამე შეცვალოს. ნედვედს რამდენიმე დღის წინ ველაპარაკე და ვუთხარი, რომ მას კიდევ შეუძლია მინიმუმ ერთი სეზონის ჩატარება. ჩეხი ძველებურად კატეგორიული არ გახლდათ და ვნახოთ, შეიძლება შეცვალოს კიდეც გადაწყვეტილება. მინდა, „იუვენტუსის" გულშემატკივრებს აქტიურობისკენ მოვუწოდო, მათ უნდა სთხოვონ ჩეხს, რომ გააგრძელოს ფეხბურთის თამაში."




ვარსკვლავი

# ტოტიმ, ნაკრებში მინდაო

ერთი მეტად საინტერესო და ვფიქრობთ, სასიხარულო სიახლე გვაქვს იტალიის ნაკრების გულშემატკივრებისთვის. გუშინ, მასმედიასთან საუბარში, **ფრანჩესკო ტოტიმ** განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში დაბრუნებას არ გამორიცხავს. მეტიც, თუ ამის შესაძლებლობა მიეცემა, აუცილებლად გამოიყენებს. შეგახსენებთ, რომ ტოტიმ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ, 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ განაცხადა. მოვუსმინოთ **პუპონეს**:

„კარიერის განმავლობაში მხოლოდ ორი გუნდის შემადგენლობაში მაქვს ნათამაშები, ერთი „რომაა" და მეორე, „სკუადრა აძურა". ნაკრებში თამაში ჩემთვის ყოველთვის საამაყო იყო და ასე იქნება ყოველთვის. არ დამავიწყდება ახალგაზრდულ გუნდთან ერთად 1996 წელს მოპოვებული ევროპის ჩემპიონის ტიტული, აღარაფერს ვამბობ 2006 წლის მუნდიალის ტრიუმფზე. დასანანია, რომ 2000 წელს ევროპირველობის მოსაგებად მხოლოდ 30 წამი დაგვაკლდა.

არ დავმალავ და ძალიან მინდა, ასეთი ემოციები კიდევ განვიცადო. ყველაფერი მარჩელო ლიპიზეა დამოკიდებული და მის არჩევანს ყოველთვის პატივისცემით მოვეკიდები. შესარჩევი ეტაპის ნახევარი გუნდმა ჩემს გარეშე განვლო და კარგად მესმის, რომ ეს დამაბრკოლებელი ფაქტორია. ლიპის ნებისმიერ არჩევანს გაგებით მოვეკიდები."

„გაძეტა დელო სპორტი" გუშინ მთელი დღე ცდილობდა ლიპისთან დაკავშირებას, მაგრამ ვერაფრით მოახერხა. ჟურნალისტთა ვარაუდით, ტოტის ამ განცხადების შემდეგ მაესტრო საგონებელში ჩავარდება. პუპონეს დარ ფეხბურთელზე უარის თქმა, ძალიან ძნელია, მაგრამ არსებობს მორალური ფაქტორიც, რომელიც ტოტის სანაკრებო შანსებს ერთობ ამცირებს. ლაპარაკია იმაზე, რაზეც თავად ფეხბურთელმა ისაუბრა. „სკუადრა აძურამ" შესარჩევი ბატალიები მის გარეშე განვლო და ასეთ დროს, ტოტის „აძურაში" დაბრუნებამ შესაძლოა ფეხბურთელთა ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვიოს. თუმცა ყველაფერი მაინც ლიპიზეა დამოკიდებული, თუ მან ჩათვალა, რომ ფრანჩესკო გუნდს სჭირდება, ალბათ გამოიძახებს კიდეც.



მწვრთნელი

# სპალეტი ჩემოდნებზე ზის



ლუჩანო სპალეტი და ბრუნო კონტი

**ლუჩანო სპალეტის** მძიმე დროება უდგას, რაზეც გუშინ „კორიერეში" გამოქვეყნებული სტატიაც ნათლად მეტყველებს. მიმდინარე სეზონში, „ჯალოროსიმ" ყველა ფრონტზე წარუმატებლად იასპარეზა და სპალეტის ძველი დამსახურებები რომ არა, ალბათ აქამდეც გაათავისუფლებდნენ პოსტიდან. ავტორიტეტული გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, გუშინ ლუჩანო „რომას' პრეზიდენტ **როზელა სენსის** შეხვდა. საუბარი გუნდში არსებულ კრიზისს და გამოსავლის ძიებას შეეხო. თუ ჟურნალისტებს ვენდობით, მწვრთნელი და პრეზიდენტი დიალოგისას ფაქტობრივად ვერაფერზე შეთანხმდნენ, რაც კიდევ უფრო დააჩქარებს სპალეტის რომიდან აბარგების საკითხს.

სენსის და სპალეტის შეხვედრის ამბავს, ადასტურებს „ჯალოროსის" სპორტული დირექტორი **ბრუნო კონტი,** მწვრთნელის მომავალთან დაკავშირებით კი ბუნდოვან კომენტარს აკეთებს: „სენსი და სპალეტი მართლაც შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. მწვრთნელი და პრეზიდენტი ერთმანეთს ხშირად ხვდებიან და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობენ. ასე იყო ამჯერადაც. გუნდში არსებულ განწყობას ამაღლებულს ვერ ვუწოდებ, მაგრამ ეს სრულიად ბუნებრივად მეჩვენება. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი დავკარგეთ, რაც ჩვენზე უარყოფითად მოქმედებს. თუმცა, ტრაგედიას არავინ ქმნის და კარგად გვესმის, რომ მუშაობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებაა საჭირო.

რაც შეეხება სპალეტის, მის სამომავლო გეგმებზე დღეს ბევრს ვერაფერს გეტყვით. ჩამთავრდეს ჩემპიონატი, შევაჯამებთ განვლილ სეზონს და დასკვნებსაც გამოვიტანთ. ალბათ, მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა მწვრთნელის საკითხი".

იუვენტუსი

# კასანო დიეგოს ნაცვლად

**ტურინის** „იუვენტუსის" მესვეურები, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას გეგმავენ, რაც გუნდის წლევანდელი შედეგებიდან გამომდინარე, ბუნებრივიც არის. „ვეკია სენიორას" რომ გაძლიერება სჭირდება, ამაზე ყველა თანხმდება, მთავარი ისაა, რომელ ფეხბურთელებზე შეჩერდება პიემონტელთა არჩევანი. ყველაზე ხშირად ბრემენის „ვერდერის" ფლეიმეიქერ **დიეგოზე** საუბრობენ, ვინც, წესით, ამ ზაფხულს უნდა დატოვოს გერმანია და კარიერა სხვა ქვეყანაში გააგრძელოს. „ტუტო სპორტის" ცნობით, ბრაზილიელთან მიმდინარე მოლაპარაკებები ჩიხშია შესული და სავარაუდოდ, „იუვეს" მესვეურები აქცენტს სხვა ფეხბურთელზე გადაიტანენ. ეს სხვა კი **ანტონიო კასანო** გახლავთ. „სამპდორიას" უდავო ლიდერი შესანიშნავ ფორმაშია და აშკარად იმსახურებს უფრო ამბიციურ გუნდში გადასვლას. „იუვეს" პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** ანტონიოსადმი ინტერესს ადასტურებს:

„გუნდი გაძლიერებას საჭიროებს და ამაში ორი აზრი არ არსებობს. სეზონი ჩავაგდეთ, რაც საკადრო პრობლემებით იყო განპირობებული. ჩვენი თვალთახედვის არეში მხოლოდ მაღალკვალიფიციური ფეხბურთელები არიან, მათ შორის დიეგოც და კასანოც. ორივეს დიდი სიამოვნებით ვიხილავდი „იუვენტუსში", მაგრამ ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც გვინდა. ჯერ აქტიური მოლაპარაკებები არ დაგვიწყია და ბევრს ვერაფერს გეტყვით. დასრულდეს სეზონი და დანარჩენზე შემდეგ ვისაუბროთ."



გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**

ინტერვიუ

ანდრეს ინიესტა

# ეკონომიკური კრიზისი მეც შემეხო

## კაცი, რომელსაც ფეხბურთის გარდა, უამრავი რამ აინტერესებს

ანდრეს ისინიესტა „ბარსელონას“ ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა, ის მართლაც არაჩვეულებრივი ფეხბურთელია, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას ფეხბურთის გარდა არაფერი აინტერესებს და სხვა გატაცება არ გააჩნია. ძალიან იშვიათია, როცა პროფესიონალი ფეხბურთელი სრულიად განსხვავებული პროფესიით სილრმისეულად არის ხოლმე დაინტერესებული. მაგალითისთვის გეტყვით, რომ ანდრესის სხვა გატაცებებია ტექნოლოგიები, ფინანსები, კინო და ტელევიზია. მოკლედ, ის სწორედ ისე ცხოვრობს, როგორც 24 წლის ახალგაზრდა მამაკაცი უნდა ცხოვრობდეს.



**- თავისუფალ დღეს როგორ ატარებთ?**

- დასამალი არაფერი მაქვს. როცა ფეხბურთიდან თავისუფალი ვარ, დროს ოჯახის წევრებთნ, მეგობრებთან და შეყვარებულთან ერთად ვატარებ.

**- როცა ვარჯიში არ გაქვთ, დილით გვიან იღვიძებთ?**

- დიახ, ძილი ძალიან მიყვარს. პირველ რიგში ძილი იმისთვისაა აუცილებელი, რომ ვარჯიშებისა და მატჩების შემდეგ ძალა აღვიდგინო. იქამდე მძინავს, სანამ ბუნებრივად არ გამეღვიძება, მაგრამ როგორც წესი, როცა არსად მეჩქარება, ადრე მეღვიძება ხოლმე.

**- შემდეგ სასეირნოდ მიდიხართ?**

- როცა სურვილი მაქვს, კინოში ან კაფეში დავდივარ. იმის შიშით, რომ ამა თუ იმ ადგილას გულშემატკივრები შემხვდებიან, გეგმებს არასოდეს ვცვლი. თუ რაიმეს გაკეთება მინდება, ამ საქმეს აუცილებლად ვაკეთებ.

**- ესე იგი, დიდ კინოთეატრსა და ხალხმრავალ ადგილებში სიარული თქვენთვის პრობლემა არ არის?**

- არა, ეს ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს.

**- როგორი ფილმები მოგწონთ?**

- თითქმის ყველანაირი, თუმცა გამოგიტყდებით, კინოში დიდი ხანია არ ვყოფილვარ. ახალი ფილმების ნახვა მიყვარს. თუ კინოში წასვლას ვერ ვახერხებ, ფილმებს სახლში ვუყურებ.

**- DVD-ის ფანი ხართ?**

- სხვათა შორის, ფილმებს ვაგროვებ. კითხვაც ძალიან მიყვარს. შეკრებებისგან თავისუფალ დროს ასე უფრო საინტერესოდ ვატარებ ხოლმე.

**- სერიალებს თქვენც უყურებთ ხოლმე?**

- ადრე „სოპრანოს კლანით“ და „დაკარგულებით“ ვერთობოდი.

**- „დაკარგულების“ ისტორია შემაძრწუნებელი არ არის?**

- მეტ-ნაკლებად, თუმცა ამ სერიალით კარგად ვერთობოდი.

**- როცა რესტორანში მიდიხართ, ეგზოტიკურ კერძებს თუ მიირთმევთ?**

- გამოგიტყდებით, ტრადიციული, ჩვეულებრივი კერძები მირჩევნია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრეტენზიული ვარ. თუ საჭიროა, ეგზოტიკურ კერძებსაც გეახლებით.

**- საფეხბურთო სამყაროში ახლა იაპონური სამზარეულოა მოდაში. იაპონური კერძები არ მოგწონთ?**

- ვცდილობ, სხვადასხვა სახის კერძი მივირთვა ხოლმე. მრავალფეროვნება ყოველთვის უფრო საინტერესოა.

**- როგორია თქვენი იდეალური მენიუ?**

- ბრინჯი და ნებისმიერი სახის ხორცი, ფილე და ანტრეკოტი მირჩევნია, თანაც, კარგად შემწვარი.

**- კარგ ღვინოსაც ეტანებით?**

- ღვინოს არ ვსვამ. საჭმელს წყალს ან კოკა-კოლას ვაყოლებ.

**- თავისუფალი დროის გატარების კიდევ ერთი საშუალება საყიდლებზე სიარულია. როგორი მაღაზიები მოგწონთ?**

- ბუნებრივია, როგორც ყველა ადამიანი, მაღაზიებში მეც დავდივარ. ზოგჯერ შეყვარებულთან ერთადაც. ჩვეულებრივ, არაძვირად ღირებულ ტანსაცმელს ვყიდულობ, მაგალითად „სარას“ ბრენდს.

**- საყიდლებზე სიარული არ გღლით? თუმცა არა მგონია, არჩევანის გაკეთება ქალებივით გიჭირდეთ...**

- ზოგჯერ მეც მიჭირს (იცინის), მაგრამ ძირითადად გადაწყვეტილებას მარტივად ვიღებ. რაღაცის ყიდვა რომ გადავწყვიტო, მისი 15-ჯერ დათვალიერება არ მჭირდება. თუ მომეწონება, ვყიდულობ. შეყვარებულს არ ვეკამათები ხოლმე, ერთმანეთს ძალიან მივეჩვიეთ.

**- ღამის კლუბებში დადიხართ?**

- ზოგჯერ მეგობრებთან ერთად თუ წავალ. დროს ძალიან მშვიდად ვატარებ. სიმშვიდე მიყვარს.

**- მუსიკა?**

- მუსიკაც მიყვარს, მაგრამ მელომანი არ ვარ.

**- აიპოდი გაქვთ?**

- მაქვს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ხშირად ვიყენებ. როგორც გითხარით, მელომანი არ ვარ, თუმცა Estopa-ს მოსმენა ძალიან მსიამოვნებს.

**- Estopa თუ Coldplay?**

- მე Estopa უფრო მომწონს.

**- ახალი ტექნოლოგიები ხომ არ გიტაცებთ?**

- ტექნიკა ძალიან მიყვარს. შემიძლია, მთელი დღე კომპიუტერთან გავატარო. ვერ ვიტყვი, რომ დიდი პროგრამისტი ვარ, მაგრამ კომპიუტერი მართლა ძალიან მიყვარს.

**- ესე იგი, ინტერნეტში ხშირად დაძვრებით?**

- თუ დრო მაქვს, დავძვრები. ათას რამეს ვათვალიერებ. კომპიუტერულ პროგრამებსაც ვეცნობი.

**- Facebook-ში დარეგისტრირებული ხართ?**

- არა.

**- სხვა ფეხბურთელებს არ ჰბაძავთ? ისინი მეტსახელებით რეგისტრირდებიან.**

- არა. ვიცი, ამით ძალიან ბევრი ფეხბურთელი ერთობა, მაგრამ მე რატომღაც არ მიტაცებს. ადრე ვჩათაობდი ხოლმე, მაგრამ მერე თავი დავანებე. მეგობრები ყოველთვის გვერდით მყავს. მირჩევნია, პირადად შევხვდეთ და პირისპირ ვილაპარაკოთ, ან თუნდაც ტელეფონით ვისაუბროთ.

**- რამდენადაც ვიცი, ფოტოგრაფია ბევრად უფრო გაინტერესებთ.**

- დიახ, ფოტოგრაფია მიყვარს და მეტ-ნაკლებად გარკვეულიც ვარ. ფოტოს გადაღება ძალიან მიყვარს. ვბეჭდავ და ვტკბები ხოლმე. პეიზაჟებს და ბუნებას ვიღებ. ლამაზი ფოტო ძალიან სასიამოვნოა.

**- თანამედროვე ფეხბურთში ტატუირება ძალიან მოდურია, მაგრამ თქვენ ამ მოდას არ აჰყევით.**

- ნუ იფიქრებთ, რომ ტატუირების წინააღმდეგი ვარ, უბრალოდ, ამან ჩემი ყურადღება არ მიიპყრო. მშვენივრად მესმის, ზოგჯერ ადამიანს უნდება, რომ მისთვის მნიშვნელოვანი რაღაც სხეულზე დაიხატოს. სიმართლე გითხრათ, სკანდალურ ტატუს არასოდეს გავიკეთებდი.

**- ტატუირებით ძალიან ბევრი ადამიანია გატაცებული.**

- მე ყველას გემოვნებას პატივს ვცემ. ტატუ ადამიანის ღირებულებებს განასახიერებს.

**- ვარცხნილობის საკითხს როგორ აგვარებთ?**

- ჩემი და და შეყვარებული სტილისტები არიან. თმას ისინი მჭრიან და მვარცხნიან. ძირითადად ჩემი და მირჩევს, როგორი ვარცხნილობა მომიხდება.

**- სხვა თემებზეც ვისაუბროთ. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი რამდენად გაღელვებთ?**

- საკმაოდ სერიოზულად. ეკონომიკური კრიზისი მეც შემეხო. დღეს ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. რთული სიტუაცია შეიქმნა. ექსპერტები ფიქრობენ, რომ კრიზისი კიდევ დიდხანს შეიძლება გაგრძელდეს. ამ ვითარებაში შეძლებული ადამიანები უნდა გავერთიანდეთ და იმაზე ვიფიქროთ, ღარიბებს რითი შეგვიძლია დავეხმაროთ.

**- თქვენს პოლიტიკურ მრწამსზე რას გვეტყვით?**

- არ გეგონოთ, რომ პოლიტიკურ სიმპათიას ვმალავ, უბრალოდ, პოლიტიკა არ მაინტერესებს. სულაც არ ვთვლი, რომ პოლიტიკა არ არის მნიშვნელოვანი. არსებობს რაღაც-რაღაცები, რაც არ მაინტერესებს. თუმცა პლურალიზმი აუცილებელია. ადამიანი სხვადასხვა შეხედულებას უნდა იცნობდეს.

**- ამერიკაში შავკანიანი პრეზიდენტის არჩევას როგორ აფასებთ?**

- ჩემი აზრით, ეს ძალიან კარგია.

**- სხვათა შორის, საპატერო (ესპანეთის პრემიერ-მინისტრი - რედ) ფეხბურთზე საუბრისას ყოველთვის გახსენებთ ხოლმე...**

-საპატერო ესპანეთის ერთ-ერთი სიმბოლოა. უკვე დიდი ხანია, რაც ის კარგად მახასიათებს. პრემიერ-მინისტრი „ბარსელონას“ გულშემატკივარია. როცა ადამიანს პირადად არ იცნობ, მაგრამ ის შენზე კარგს ამბობს, მის მიმართ, რა თქმა უნდა, კეთილგანწყობილი ხდები.

**- ავტომობილის მძღოლებისთვის მაქსიმალურ დასაშვებ სიჩქარედ 80 კმ/სთ დაადგინეს. ამ გადაწყვეტილებას როგორ აფასებთ?**

- უნდა გვესმოდეს, რომ ეს ჩვენივე კეთილდღეობისთვის კეთდება. რა თქმა უნდა, ძალიან მკაცრი შეზღუდვაა, მაგრამ რადგან ეს გადაწყვეტილება უსაფრთხოებას ეხება, მე მას მივესალმები. უბედური შემთხვევების რაოდენობა მნიშვნელოვნად იკლებს, გარდა ამისა, ეს ეკოლოგიისთვისაც სასარგებლოა.

**- ქალაქის ქუჩებში მოძრაობისას ველოსიპედისტები ნერვებს არ გიშლიან?**

- პირიქით, ძალიან მომწონს, თუმცა ვაღიარებ, რომ ზოგჯერ ქუჩაში მეტისმეტად ბევრი ველოსიპედისტი გამოდის. მე ამის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

**- შვებულების გატარება ყველაზე მეტად სად გიყვართ?**

- ჩემს სახლში, ფუენტეალბილოში. უნდა გითხრათ, რომ მსოფლიოში ყველაზე მშვიდი დასახლებაა.

**- მოსაწყენიც?**

- როცა ვისვენებ, ჩემთვის მთავარი სიმშვიდეა. დანარჩენ დროს კი ბარსელონაში ვატარებ. ასე რომ, მოსაწყენი ცხოვრება ნამდვილად არ მაქვს.

**- ძაღლები ძალიან გიყვართ?**

- ხუთი ძაღლი მყავს, ანუ, ძაღლების მთელი ოჯახი - მშობლები და სამი ლეკვი. რამდენიმე ლეკვი გავაჩუქე. იორკშირული ტერიერები მყავს, პატარა, საყვარელი ძაღლები არიან. აი, ფუენტეალბილოში კი უზარმაზარი შნაუცერი მყავს. მას ბაბუა და ბიძაჩემი უვლიან.

**- ტელევიზიებში ხშირად გადის გადაცემები, სადაც მაყურებელს თქვენი პაროდირებით ართობენ. არ გბეზრდებათ?**

- არა, რატომ უნდა მბეზრდებოდეს? ეს ხომ კეთილი გულით კეთდება? მესმის, რომ საზოგადოების ნაწილს ეს პაროდია ძალიან მოსწონს. თუ იდიოტად არ გამასაღებენ, ჩემთვის არანაირი პრობლემა არ იქნება.

**- ალბათ, პირიქით, პაროდია ხალხში უფრო პოპულარულს გხდით...**

- გააჩნია, ზოგი ასე ფიქრობს, ზოგიც ისე. ყველას საკუთარი მოსაზრება აქვს...

**ილია ნიკოლაიშვილი**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ

უქმეებიდან უქმეებამდე

## დრიბლინგი ევროპაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეშლილი, შეშლილი, შეშლილი ბარტონი

**„ნიუკასლის“ ფეხბურთელმა ჯო ბარტონმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი პროფესიონალი; ინგლისის სამეკარეო პრობლემა ესპანელმა უნდა გადაწყვიტოს; იტალიაში რანიერის დღეებს უთვლიან; ერიკ გერეტსი კი მეორე ფელიქს მაგათია.**

**თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში...**

### სერია A
### მილანი, ადებაიორი და ბიონსი...

საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს ის ფაქტი, რომ **ემანუელ ადებაიორი** „მილანის“ სასურველ ფეხბურთელთა სიაში ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა. „არსენალის“ ფორვარდის შეძენას **კარლო ანჩელოტი** ითხოვს. რამდენიმე დღის წინათ, ადებაიორმა იტალიელ ჟურნალისტს ასეთი რამ უთხრა: *„მოსწონდე „მილანს“, ეს იგივეა, რომ მოსწონდე პოპვარსკვლავ ბიონსს.“* კვირას, იტალიელმა ჟურნალისტებმა ანჩელოტის ადებაიორის ამ მოსაზრებაზე კომენტარის გაკეთება სთხოვეს და კარლეტოსგან ასეთი პასუხი მიიღეს: *„ბიონსს რომ ვუყურებ, იმის უფრო მჯერა, რომ ადებაიორი ჩვენმა ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ დაპატიჟოს ვახშამზე, ვიდრე ამ მართლაც ძალიან სექსუალურმა პოპვარსკვლავმა.“* ასეა, „მილანში“ უკვე ხუმრობის ხასიათზე არიან, რადგან „როსონერიმ“ „იუვენტუსი“ უკან ჩამოიტოვა და მეორე ადგილზე მყარად დამკვიდრდა. „კატანიასთან“ 2:0-ზე მოგებულ მატჩში **პიპო ინძაგიმ** ბოლო 8 თამაშში მეთერთმეტე გოლი გაიტანა და ისიც უნდა ითქვას, რომ ამ რვა შეხვედრიდან „მილანმა“ შვიდი მოიგო და მხოლოდ ერთი დაასრულა ფრედ. თუმცა „მილანის“ ეს შემართება აშკარად დაგვიანებულია – სკუდეტო მილანში დარჩება, ოღონდ „ინტერის“ ბანაკში...

ზოგადად, იტალიის ჩემპიონატის ეს ტური დისკუსიის ალმძვრელი ეპიზოდებით იყო აღსავსე. მაგალითად, ფლორენციაში, „ფიორენტინას“ თავკაც **ჩეზარე პრანდელის** შესვენებაზე მსაჯ **ფარინასთვის** სურდა „ერთი-ორი სიტყვის თქმა“. ეს უკანასკნელი კი იტალიაში ტყუილად როდი ითვლება ყველაზე მგრძნობიარე არბიტრად: ფარინამ არც მეტი, არც ნაკლები, პრანდელის ხელი ჰკრა. სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ იტალიაში ფეხბურთელები და მწვრთნელები მსაჯებზე ხშირად იწევენ, მეტიც, ეს უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა.

მილანში, „ინტერის“ ფანები **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** უსტვენდნენ, რადგან შვედმა ფორვარდმა ბოლო დროს საჯაროდ ისაუბრა იმის შესახებ, რომ გამორიცხული არაა, ზაფხულში „ნერაძური“ დატოვოს. სწორედ ამიტომ, „ინტერის“ ფანებმა იბრაზე იერიში მიიტანეს და ამ უკანასკნელმაც, გატანილი გოლის დროს ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიდო, მოკეტეთო. თუმცა მეორე დღეს ბოდიშის მოხდასავით გამოუვიდა, როცა თქვა, ეს ჟესტი „ინტერის“ ფანებისკენ კი არ იყო მიმართული, არამედ იმ ხალხისკენ, ვინც აგერ უკვე ერთი კვირაა გაიძახის, რომ „მილანს“ ჩემპიონობის, „ინტერს“ კი „სკუდეტოს“ დაკარგვის შანსი გაუჩნდაო.

პალერმოელმა ფეხბურთელებმა კი ხუთივე გოლი თანაგუნდელ **მორის კაროციერის** მიუძღვნეს, რომლის გარშემო კოკაინის სკანდალი მძვინვარებს...

„ლეჩესთან“ 2:2-ის შემდეგ კი, „იუვენტუსში“ მონასტერი მთლიანად აირია. გაირკვა, რომ შესვენებაზე გასახდელში მთავარ მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის მაურო კამორანეზი** დაუპირისპირდა. მარჯვენა ნახევარმცველი ვერ შეეგუა იმ ფაქტს, რომ რანიერიმ ის პირველსავე ტაიმში შეცვალა. მოწმეების მტკიცებით, კამორანეზი და რანიერი ერთმანეთს უყვიროდნენ. მათი გაშველება **ჯიჯი ბუფონს** უცდია, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო მეკარეს, რომელსაც ყოველთვის და ყველგან გამშველებელ-შემრიგებლის როლი აქვს (უბრალოდ ტიპია ასეთი, თბილი და არაკონფლიქტური) არაფერი გამოუვიდა. მერე ბუფონს მწვრთნელისა და მაუროს ჩხუბი ყელში ამოუვიდა და შესვენების დაწყებიდან შვიდი წუთის შემდეგ ისევ მოედანზე გამოვიდა. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მომავალ სეზონში რანიერი „იუვეს“ თავკაცი აღარ იქნება...

### პრემიერლიგა
### ფერგიუსონი ახალ არქიტექტორს ეძებს

წარმოიდგინე, რომ სამთვიანი იძულებითი პაუზის შემდეგ მოედანზე ბრუნდები. შენს გუნდს პრემიერლიგიდან გავარდნის სერიოზული საფრთხე ემუქრება. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთია დარჩენილი და გუნდი „ლივერპულთან“ 0:2-ს აგებს. და რას აკეთებ ამ დროს შენ?

1) ბოლომდე იბრძვი და ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ შენმა გუნდმა ერთი გოლი მაინც გაიტანოს, რადგან ფეხბურთში ყოველთვის ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

2) ცდილობ, ძალები დაზოგო, რადგან ფიქრობ, რომ ამ შეხვედრაში ბრძოლას აზრი აღარ აქვს და იმაზე იწყებ ფიქრს, რომ მომდევნო მატჩი (შინ „მიდლსბროსთან“) აუცილებლად უნდა მოიგო, რისთვისაც ახლა ძალების დაზოგვაა საჭირო.

3) ყველაფერს ფეხებზე იკიდებ და გაწრისხებული მეტოქე გუნდის ფეხბურთელებს ჩეხავ, წითელ ბარათზეც თანახმა ხარ, მოკლედ, სრულ ჭკუაზე არ ხარ.

ფაქტია, რომ „ნიუკასლის“ ნახევარმცველმა **ჯო ბარტონმა** „ენფილდზე“ 0:3-ზე წაგებულ მატჩში მესამე ვარიანტი აირჩია, რადგან მისი ჯალათური ფოლის შემდეგ, **ჩაბი ალონსო** მოედნიდან საკაცით გაასვენეს და ეს არ იყო ბარტონის ერთადერთი უხეშობა (უხეშობაც ძალიან რბილი ნათქვამია).




ბარტონი ინგლისში კარგი ბიჭის სახელით ნამდვილად არ არის ცნობილი. ერთხელ, საშობაო ზეიმზე მან თანაგუნდელს სიგარა თვალთან ჩააწვა; შარშან „მაკდონალდსის“ ფილიალის წინ იჩხუბა და ორი თვე ციხეში გაატარა, იქიდან გამოსულმა კი „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელ **ოსმან დაბოს** დასცხო და თანაც ისე, რომ ისევ ჩააყუდეს. *„მისი მხრიდან ეს ძალიან სულელური საქციელი იყო,* - აღნიშნა **ალან შირერმა** მატჩის შემდეგ და იქვე დასძინა, - *ბარტონმა საკუთარი თავიც ფეხებზე დაიკიდა და გუნდი ხომ მით უმეტეს!“* საინტერესოა, სხვას რას ელოდა შირერი ამ ფეხბურთელისგან?

დრო, როცა ინგლისში **მანუელ ალმუნიას** შესახებ ანეკდოტებს თხზავდნენ და ფაქტობრივად მთელი ინგლისი „არსენალის“ ახალგაზრდა მეკარეს დასცინოდა, დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა. დღეს კი ისეთი სიტუაციაა, რომ მთელი კუნძული ფეხზე დადგა, ალმუნია ინგლისის ნაკრებში უნდა ვიხილოთო (ინგლისელებს რომ მეკარის პრობლემა აქვთ, ძალიან ძველი ამბავია). *„ის დღესდღეობით საუკეთესოა და ვფიქრობ, ინგლისმა ეს შანსი უნდა გამოიყენოს!“* - აცხადებს „არსენალის“ თავკაცი **არსენ ვენგერი**. ალმუნია ესპანელია, მაგრამ ესპანეთის ნაკრებში არ უთამაშია და ინგლისში ცხოვრების ხუთწლიანი ისტორია აქვს, რის გამოც მოქალაქეობას უპრობლემოდ მიიღებდა. მეკარე არ გამორიცხავს, რომ მართლაც ითამაშოს ინგლისის ეროვნულ გუნდში. თუმცა ალმუნიას გაინგლისელების კატეგორიული წინააღმდეგია „ტოტენჰემის“ დამრიგებელი **ჰარი რედნაპი**. *„მე რომ მკითხოთ, მირჩევნია, ინგლისი საერთოდ არ გახდეს მსოფლიოს ჩემპიონი, ვიდრე ამ წარმატებას ესპანელი მეკარით მივაღწიოთ!“* - აცხადებს პატრიოტი რედნაპი.

„მანჩესტერი“ საკმაოდ კარგ მდგომარეობაშია, განსაკუთრებით მას მერე, რაც „ბორო“ 2:0 დაამარცხა და საჩემპიონო პოზიციები გაიმყარა. მიუხედავად ამისა, **სერ ალექს ფერგიუსონი** მაინც ვერ არის მაინცდამაინც კარგ გუნებაზე. მისი აზრით, პრემიერლიგაში გუნდების გასახდელები არასაკმარისად დიდია. *„ევერტონის“ სტადიონის გასახდელებში უდიდესი სივიწროვეა,* - თქვა შოტლანდიელმა, - *„პორტსმუთისას“ კიდევ არა უშავს, აი „ქრეივენ ქოთეიჯის“ კი უფრო პატარაა, ვიდრე ჩემი კაბინეტი. ვფიქრობ, სტადიონების უმეტესობას გასახდელებში რეკონსტრუქცია უნდა ჩაუტარდეს.“* სერ ალექსის აზრით, ყველაზე დიდი და შესაბამისად საუკეთესო გასახდელი „ოლდ ტრაფორდზეა“, მერე კი „ემირეითსზე“...

### პრიმერა დივიზიონი
### საფეხბურთო ორგაზმი სახელწოდებით ბარსა

**ლეო მესიმ** და **პეპ გვარდიოლამ** მადრიდში, „რეალის“ განადგურების (6:2) შემდეგ აღნიშნეს, რომ ეს მათ ცხოვრებაში ყველაზე ლამაზი დღე იყო. **ლუის ენრიკე** კი უფრო შორს წავიდა და თქვა: *„ეს იყო საფეხბურთო ორგაზმი!“* მადრიდელები კი საფინალო სასტვენის შემდეგ ცრემლებს ძლივს იკავებდნენ ან ვერ იკავებდნენ. **რაულმა** იტირა და კაპიტულაცია გამოაცხადა: *„ეს მარცხი, რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეულია, მაგრამ ყველაზე დიდი სამწუხარება ის არის, რომ „ბარსელონამ“ ძალიან მარტივად, უმარტივესად შეძლო ჩვენი შერცხვენა!“* ელ სალვადორში კი, შოკისმომგვრელმა „ელ კლასიკომ“ ერთი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს, რომ ეს პიროვნება „ბარსას“ ფანი იყო. კატალონიური გრანდის 29 წლის ქომაგმა ერთ-ერთ ბარში თავისი უსაყვარლესი გუნდის გამარჯვება ძალიან ემოციურად იზეიმა, რის შემდეგაც სამმა პიროვნებამ მასზე იერიში მიიტანა. „ბარსელონას“ ბედნიერი ქომაგი ისე მაგრად სცემეს, რომ კვირას გარდაიცვალა...

შაბათს საღამოს გამართული ზეიმი, კატალონიაში კვირასაც გაგრძელდა: „ესპანიოლმა“ „ვალენსიას“ 3:0 მოუგო. მეექვსე თამაში წაგების გარეშე, მეხუთე თამაში გაშვებული გოლის გარეშე: „ესპანიოლმა“ გასავარდნი ზონა დატოვა. ოთხ ტურში **მაურიციო პოჩეტინოს** შეგირდებმა ბოლო ადგილიდან მე-14-ზე გადაინაცვლეს, ანუ, შვიდი პოზიციით ამაღლდნენ.

### ლიგა 1
### გერეტსი, როგორც მაგათი

საფრანგეთის პირველობის დასრულებამდე 4 ტურია დარჩენილი, მაგრამ სამწვრთნელო კარუსელი უკვე მაგრად ტრიალებს. ყველაფერი გასული კვირის პირველ დღეებში დაიწყო, როცა მარსელის „ოლიმპიკის“ დამრიგებელმა **ერიკ გერეტსმა** თქვა, მომავალ სეზონში „მარსელში“ აღარ ვიქნებიო. გარკვეულია, რომ გერეტსის შემცვლელის რანგში ფავორიტი **დიდიე დეშამია**. გეგმაშია „ნიცას“ მწვრთნელ **ფრედერიკ ანტონეტისთან** მოლაპარაკებების გამართვაც, მაგრამ ამ უკანასკნელის გადაბირება „რენის“ ხელმძღვანელებსაც სურთ, სადაც **გი ლაკომბის** ემუქრება თანამდებობიდან გათავისუფლების საფრთხე. „მონაკოში“ ბრაზილიელმა **რიკარდომ** თქვა, რომ წასვლას არ გამორიცხავს, პსჟ-ში კი **პოლ ლე გენს** აღარ აქვს სავარაუდოდ მომავალი.

„ლიონი“ „მარსელს“ შვიდი ქულით ჩამორჩება და ფაქტია, რომ ეს გუნდი ბოლო შვიდი წლის მანძილზე პირველად ვერ გახდება საფრანგეთის ჩემპიონი. „ლიონმა“ ამ ტურშიც წააგო და ტიტულის შენარჩუნების შანსი ფაქტობრივად დაკარგა. 279 წუთია, „ლიონს“ გოლი არ გაუტანია და მხოლოდ იმიტომ ინარჩუნებს მესამე ადგილს, რომ პარიზელებმა შინ „რენთან“ წააგეს. იმ შემთხვევაში, თუ გუნდი მესამე ადგილსაც დაკარგავს, გაისად ჩემპიონთა ლიგაშიც ვერ ითამაშებს, რაც თავის მხრივ იმის ნიშანი იქნება, რომ „ლიონმა“ წამყვანი ფეხბურთელები უნდა გაყიდოს. ფაქტია, რომ ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან ჟუნინიო ან ბენზემა, ევროლიგაში არ ითამაშებენ.

მარსელის „ოლიმპიკს“ ბუნდესლიგის ლიდერ „ვოლფსბურგთან“ ორი რამ აქვს საერთო: ერთი ის, რომ ორივე მათგანი ლიდერი და ჩემპიონობის უმთავრესი პრეტენდენტია, მეორე კი ის, რომ ორივე გუნდი კარგავს წარმატებულ მწვრთნელებს. განსხვავება კი იმაშია, რომ თუკი „ვოლფსბურგს“ გაჟღერებულმა ინფორმაციამ იმის შესახებ, რომ მაგათი მიდის, ვერაფერი დააკლო („მგლებმა“ „ჰოფენჰაიმს“ 4:0 მოუგეს და ლიდერობა შეინარჩუნეს), „მარსელმა“ გერეტსის აღიარება, სეზონის ბოლოს მივდივარო, ამ ეტაპზე ვერ გადაიტანა: „ოლიმპიკი“ „ტულუზასთან“ ფრეს (2:2) დასჯერდა. ამ კვირაში „მარსელის“ მთავარი აქციონერი **რობერტ ლუი-დრეფო** შეეცდება, გერეტსს წასვლა გადააფიქრებინოს და ბელგიელი მწვრთნელი ახალ კონტრაქტზე დაითანხმოს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არაფერი გამოუვა, რადგან ერიკს წასვლა მყარად აქვს გადაწყვეტილი...

### ბუნდესლიგა

„ბოხუმში“ გამარჯვების შემდეგ, „ჰანოვერის“ მეკარე **რობერტ ენკემ** თქვა, მორჩა, ბუნდესლიგაში ადგილი შევინარჩუნეთო და ამით, მისია თითქოს შესრულებულია, მაგრამ ენკეს ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ბავშვიც კი იოლად გამოთვლის, რომ: თუკი „ჰანოვერი“ „აინტრახტთან“, „კარლსრუესთან“, „ვოლფსბურგთან“ და „არმინიასთან“ წააგებს, ხოლო ამავდროულად „ბოხუმი“, „არმინია“, „კოტბუსი“, „გლადბახი“ და „კარლსრუე“ ყველა დარჩენილ თამაშს... მოკლედ, „ჰანოვერს“ გადარჩენას ვულოცავთ.

„ბაიერნის“ ახალი, დროებითი მწვრთნელის, **იუპ ჰაინკესის** ასისტენტი **ჰერმან გერლანდი** რკინასავით კაცი რომ იყო, ვიცოდით, მაგრამ ნაღდად ვერ წარმოვიდგენდით, ამის გამკეთებელი თუ იყო: გერლანდი, რომელიც „ბაიერნის“ მოყვარულთა გუნდის დამრიგებელია, თამაშის დროს მინდორზე შევარდა, მთელი მოედანი გადაკვეთა და **ფილიპ ლამს** წყლიანი ბოთლი მიურბენინა – რეკორდმაისტერის მარცხენა მცველს ძალიან სწყუროდა...

„ვოლფსბურგმა“ კი მოიგო, მაგრამ ამ გუნდში მონასტერი მაინც არეულია. ასე, მაგალითად, ერთ-ერთმა ფანმა ტრანსპარანტი გამოფინა, რომელზეც ეწერა: *„ფული თუ სიყვარული?“* და ეს შეკითხვა, რა თქმა უნდა, **ფელიქს მაგათისკენ** იყო მიმართული. გადაირევი კაცი! ბოლოს და ბოლოს, ერთი თხისკენ და მეორე მგლისკენ, რამდენიმე თვის წინ, „ვოლფსბურგს“ ნორმალური ფანებიც კი არ ჰყავდა და ახლა კი სიყვარულზე ლაპარაკობენ, ტრანსპარანტების გამოფენაც ისწავლეს. რას უნდა ველოდოთ უახლოეს მომავალში? ვოლფსბურგელ ულტრასებს?

კვირას „ბილდი“ წერდა, ჰაინკესმა „ბაიერნის“ პირველი ვარსკვლავი დასაჯაო და ეს ძალიან პატივსაცემი გამოცემა დასჯილად **კრისტიან ლელს** მიიჩნევდა, რომელიც „დონ იუპმა“ პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალა. თავი დავანებოთ იმას, რომ დასჯა გადაჭარბებული ნათქვამია. როგორ შეიძლება, რომ ისეთ ფეხბურთელს, როგორიც ლელია, ვარსკვლავი უწოდო? თანაც, „ბაიერნის“! რაც უნდა იყოს, პირველად ხომ არ მოხდა ისე, რომ ლელი ძირითად შემადგენლობაში ათამაშეს და მან იმედები ვერ გაამართლა? ისე, არ ურჩევნიათ, რომ ათი კაცით გავიდნენ ხოლმე მოედანზე და ამით ერთი შეცვლა დაზოგონ?

(გაგრძელება)

### სტვენა პარკ-დე-პრენსზე

ამ საზაფხულო მატჩს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, საკმაოდ ბევრი მაყურებელი შეიკრიბა - 40 ათასი. „პარკ-დე-პრენსი" მოუთმენლად გუგუნებს, რადგან ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ მათ მოთხოვნებს.

22:00. აგვისტოს შესანიშნავი ღამეა, ცისფერი ცა ნელ-ნელა მუქ ფერებში გადადის.

უკვე 63 წუთია ვთამაშობთ.

„შტუტგარტი", რომელიც სპარინგპარტნიორის რანგში გამოდის, მაქსიმალურ სარგებელს ნახულობს და 3:1-ს იგებს. ჩვეულებრივ, მას შემდეგ, რაც ფეხბურთმა ვარსკვლავის რანგში ამიყვანა, გარკვეულწილად „აფიშის სახე" გავხდი. და უცებ, „განტევების ვაცად" ვიქეცი.

სტვენა დამიწყეს.

ისმის შეძახილები: *„პლატინი, გაეთრიე მოედნიდან!"*

ხმის ჩახლეჩამდე ყვირიან: *„პლატინი, ნადი!"*

ეს უკვე მეტისმეტია. სათადარიგოთა სკამისკენ ვიყურები, სადაც იდალგოს გვერდით გაუნძრევლად სხედან სპორტულ კოსტიუმებში გამოწყობილი მოთამაშეები და თავიანთ რიგს ელიან. მე მათკენ მივემართები. **ტიგანა** პირველი მიხვდა, რაც ხდებოდა. შემდეგ **ბატისტონი**. ისინი მორბიან და ჩემს დაწყნარებას ცდილობენ, მე კი მათ კაპიტნის სამკლაურს ვაწვდი და თავჩაქინდრული გასახდელისკენ მივდივარ. ტრიბუნებიდან **ბატენეი** ჩამოდის და ისიც ცდილობს ჩემს დამშვიდებას.

„პარკ-დე-პრენსის" სტადიონი უბრალოდ შეიშალა. 40 ათასი აღელვებული, შურისმაძიებელი ადამიანი ღრიალებს და უსტვენს. ეს რაღაც ქარიშხალს ჰგავს. ჩემი საწყალი თავი, ალბათ, უნდა გამსკდარიყო ყოველი მხრიდან ნასროლი ბრალდებების გამო. როგორც იქნა დავწყნარდი, გასახდელში თბილ აბაზანას ვიღებ და ხოლო ცივ შხაპს საბოლოოდ მოვყავარ გონზე.

ნახევარი საათი გავიდა.

როგორც იქნა, ნაცნობი ხმაური მესმის, რომელიც თანდათან ძლიერდება და გასახდელში არეულად შემოდიან კაპიტულირებული საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები. მათი მაისურები ოფლისგან არის სველი, თვალები კი აღშფოთებისგან უელავთ. ეს იმის დამამტკიცებელია, რომ თამაში პირწმინდად არის წაგებული.

მაგრამ მე კიდევ ერთი გამოცდა მელის: მატჩის შემდეგ პრესკონფერენცია, რომელიც სრულ ქაოსად გადაიქცა. პასუხები უნდა გავცე იდიოტურ შეკითხვებს, უნდა ვილაპარაკო ბუნდოვანი და ბანალური ფრაზებით. *„დიახ, მე იმედგაცრუებული ვარ... დიახ, პუბლიკას აქვს სტვენის უფლება... არა, მე ვერ წარმოვაჩინე ღირსეულად საკუთარი თავი... დიახ, მე შევეცდები რევანშის აღებას... არა, ამისთვის დიდი ხანი ლოდინი არ მოგვიწევს"* და ა. შ.

არ მინდა საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანო ჩემი განცდები, რომელიც ამ დამარცხების შემდეგ დამეუფლა, მით უმეტეს, როცა ყველა ასე მტრულად არის ჩემ მიმართ განწყობილი. გარდა ამისა, ის 30 წუთი, რომელიც გასახდელში სრულ მარტოობაში გავატარე, ჩემს კარიერაში ყველაზე რთული წუთები იყო.

პრესკონფერენციის დროს ვგრძნობ, როგორი სინანულით მიყურებენ ტიგანა და ბატისტონი. იდალგოს ნაცემი ძაღლის გამომეტყველება აქვს, ხოლო მამაჩემს ეტობა, რომ ძალიან იტანჯება, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემზე ნაკლებად განიცდის ამ ყველაფერს.

სიმართლე გითხრათ, მე მოთმინებით ვიღებ კრიტიკას. მესმის, რომ შეიძლება მოთამაშეს უსტვინო. მაგრამ ისეთ დონეზე არა, რომ მას მოედნიდან გასვლა აიძულო...

ჩემი ხელფასის შესახებ გავრცელებულმა „ინფორმაციამ", რა თქმა უნდა, ნაკლებად თავშეკავებულ გულშემატკივრებს შორის „ანტი-პლატინის" ფრონტის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

ბოლო თვეების განმავლობაში უკვე მერამდენედ მიწევს ამ საკითხთან დაკავშირებით თავის მართლება. იმის ახსნა, რომ არასპორტულ შემოსავლებს არანაირი კავშირი არ აქვს ჩემს ყოველთვიურ ხელფასთან.

მაგრამ ყველაფერს თანმიმდევრობით მოგიყვებით.




თავის დროზე, გადაწყვეტილება მივიღე ჩემი სახელი შემწვარი თევზის, საბავშვო საფეხბურთო ფორმის, ფეხსაცმლისა და კანფეტების სარეკლამო კამპანიაში გამოეყენებინათ.

ამის შემდეგ, ჩემი საქმეების მმართველ **ბერნარ ჟენესტარის** ძალისხმევის წყალობით, ექვსიდან თექვსმეტ წლამდე ბავშვების მზა ტანსაცმლის კოლექციაზე (ჯინსები, ქურთუკები, მაისურები) ჩემი ხელმოწერისა და სათამაშო ნომრის ფაქსიმილე გაჩნდა. მე ყურადღებით ვადევნებ თვალს ამ კოლექციას, რომელიც შექმნას **დანიელ ეშტერი** ხელმძღვანელობს.

როგორც კი საერთაშორისო დონის ვარსკვლავი გავხდი, ყოველთვის მინდოდა საკუთარი „მარკა" მქონოდა, როგორიც, მაგალითად, ჩოგბურთელ **რენე ლაკოსტს** აქვს. მაგრამ ამ მიმართულებით ჩემი ძალისხმევა სარკასტულ შენიშვნებს იწვევს იმათი მხრიდან, რომლებსაც სერიოზული არასოდეს არაფერი შეუქმნიათ. ყოველ შემთხვევაში, საფეხბურთო სამყარო და მისი ხელმძღვანელობა ეჭვის თვალით უყურებდა სხვადასხვა სპექტაკლში ჩემი სახით პროდუსერის გამოჩენას. სწორედ ჟენესტარმა გაუკეთა ორგანიზება პირველ სადღესასწაულო წარმოდგენას **კოლიუშის, კლოდ ფრანსუას, ტიერი დე ლიურონისა** და **მიშელ სარდუს** (ფრანგი საესტრადო მომღერლები) მონაწილეობით. მაშინ ისინი ჯერ არ იყვნენ ვარსკვლავები. იტალიიდან ესპანეთის საზღვრებამდე მათ ყველა სპორტული არენის დაპყრობა შეეძლოთ. მე და ჟენესტარმა ძალიან სწრაფად გავაფორმეთ კონტრაქტი. მაგრამ, როგორც კი ფეხბურთის ვიწრო სამყარომ გაიგო იმის შესახებ, რომ ის ამ საკითხში კონსულტაციებს უწევდა ისეთ პროფესიონალ მოთამაშეებს, როგორებიც არიან **მარიუს ტრეზორი, დიდიე სიქსი, ჟან პეტი, დელიო ონისი, ალბერ ემონი, ბერნარ გარდონი** (აღარაფერს ვამბობ **იანიკ ნოასა** და **დიდიე პირონიზე**), ფედერაციის „დიდი" უფროსები აღშფოთდნენ. მათ უბრალოდ ეშინოდათ ჟენესტარის. მიაჩნდათ, რომ მას თავის მხარეს გადაჰყავდა პროფესიონალ მოთამაშეთა დიდი ნაწილი. მას ამ შეფების მიმართ ახსნა-განმარტებების მიცემა მოუწია. დაეზუსტებინა, რომ მთელი მისი გავლენა ძირითადად, კონტრაქტების შედგენისას დახმარების გაწევით შემოიფარგლებოდა. მაგრამ ჟენესტარმა ბოლომდე გაანადგურა ისინი, როცა მოულოდნელად მე **ჯონი ჰოლიდეის** შემადარა. მან ასეთი რამე თქვა: *„სინამდვილეში, არანაირი განსხვავება არ არის პლატინისა და ჯონი ჰოლიდეის შორის. ორივენი სუპერვარსკვლავები არიან. მაგალითად, ჩემთვის ცნობილია, რომ ჯონის ვაჟის - დევიდის ოთახი პლატინის პლაკატებით არის აჭრელებული... ეს იმ დროს, როცა იქ მამამიმისის არც ერთი სურათი არ არის გაკრული"*.

საქმისადმი ასეთმა აშკარად არასპორტულმა მიდგომამ, ალბათ, უარყოფა და გარკვეული შური გამოიწვია.

საბოლოოდ, ამ ყველაფერმა იმ საშინელ ქარიშხლამდე მიგვიყვანა, რომელიც „პარკ-დე-პრენსზე" „შტუტგარტთან" საფრანგეთის ნაკრების განადგურებამ გამოიწვია.

პუბლიკას გონებაში ჩაუჭედეს იდეა ჩემი ფანტასტიკური შემოსავლების შესახებ და მათ არ მოეწონათ ჩემი მშვიდი თამაში. არც კი უფიქრიათ, რომ იმ დროისთვის შეიძლება ცუდ ფორმაში ვყოფილიყავი.

უნდა ვაღიარო, რომ იმ ცნობილ საღამოს ჩემზე ძალიან ცუდად იმოქმედა გულშემატკივრების ხმაურიანმა მანიფესტაციებმა. პარიზის გილიოტინის დანის პირი ჩემს კეფაზე დაეშვა.

იმავე ღამით, ჩვენი კლუბის თვითმფრინავით სენტ ეტიენში დავბრუნდი. ღამის პირველ საათზე „ბუტეონის" აეროპორტში დავეშვით. მე და ერთ-ერთმა ჩემმა თანაგუნდელმა ერთი ბოთლი შამპანური გამოვცალეთ. მხიარულად ვიცინოდით და წარსულის დავიწყებას ვცდილობდით. ბოლოს სახლში დავბრუნდი.

ტელეფონი გაუჩერებლად რეკავდა; ყველას ერთი სული ჰქონდა, როდის დამელაპარაკებოდა. ალბათ, მეგობრები ან ნაცნობები მირეკავდნენ.

ყურმილი არ ავიღე. არ მინდოდა.

სიცოცხლის ნიშანწყალს არ ვამჟღავნებდი.

ღამის 2 საათი... კვლავაც მარტოობაში ვარ. ოთახში წრეებს ვურტყამ.

**კრისტელი** ბავშვებთან - **ლორანთან** და **მარინასთან** ერთად, ლა ბულში არდადეგებს ატარებს.

არ ღირს ასე გვიან მათი გაღვიძება.

როგორც იქნა გადავწყვიტე დასაძინებლად წასვლა.

რატომ არის ეს საშინელი საწოლი ასე ფართო?

რატომ ვარ სრულიად მარტო?

ვერ ვიძინებ.

მოუთმენლად ველი გათენებას.

დილით, უძილობისგან დასიებული თვალებით საწოლიდან წამოვხტი და ტელეფონისკენ გავიქეცი.

ვიძახებ ლა ბულს.

კრისტელი ძალიან შეშინებულია. მან მოისმინა რადიოთი პირველი კომენტარები. მან ყველაფერი იცის. ის სიყვარულისა და მხარდაჭერის სიტყვებით მომმართავს.

მას სახლში დაბრუნება უნდა. რაც შეიძლება მალე სურს ჩემი ნახვა. ჩემი საშინელი მდგომარეობის მიუხედავად, ვთხოვ არ შეწყვიტოს არდადეგები, ყოველ შემთხვევაში, ერთი დღე-ღამე მოიცადოს... კიდევ დავურეკავ... ახალ ამბებს შევატყობინებ.

ისევ მარტო ვარ. გადავწყვიტე გარე სამყაროს გამოვეთიშო. რადიოს არ ვრთავ, არ ვპასუხობ სატელეონო ზარებს. არავითარი გაზეთები. ვიდეომაგნიტოფონს ვრთავ და **ლუი დე ფიუნესის** ფილმებს ვატრიალებ. გონებაში კი საფრანგეთის ნაკრებისა და „შტუტგარტის" მატჩის 63-ე წუთი ამოტივტივდა.

ვიღაცა კარზე რეკავს. ბატისტონი მოვიდა.

თავს ძალას ვატან და მის კეთილ ღიმილს ნაძალადევი ღიმილით ვპასუხობ.

ბატისტონს სენ ეანში მივყავარ, რომელიც მაღლა მთებში მდებარეობს. პატარა რესტორანს ვესტუმრეთ, რომელიც რამდენიმე წელია **დომინიკ როშტოს** „გენერალურ შტაბად" ითვლება. ორნი ვსადილობთ, ყოველგვარი მოწმეების გარეშე.

თანდათან აზრზე მოვდივარ. კრისტელისა და ბავშვების ნახვის სულ უფრო მძაფრი სურვილი მიჩნდება.

და აი, გიჟურ გადაწყვეტილებას ვიღებ. საკუთარი „რეინჯ როვერის" საჭესთან ვჯდები და ბრეტანში მივდივარ. ასეული კილომეტრების, ფიზიკური დაღლილობისა და მორალური აშლილობის მიუხედავად, ღრუბლებში დავფრინავ. ჩემს წინ ზღვის ულამაზესი პეიზაჟი გადაიშალა

ხუთშაბათს საღამოს, საკუთარი სახლის გვერდით მანქანას ვაჩერებ, ოღონდ ამჯერად ჩემთან ერთად კრისტელი, მარინა და ლორანი არიან.

ტელეფონი კვლავინდებურად შეუჩერებლად რეკავს.

ბოლო სამი დღის განმავლობაში პირველად ვიღებ ყურმილს. ნანსიდან ჩემი მშობლები რეკავენ. ისინი მატყობინებენ, რომ უამრავი გამამხნევებელი წერილი მიიღეს და ამით ჩემს გამხნევებასაც შეეცადნენ.

„ჟოფრუა-გიშარის" სტადიონზე ჩემი საფოსტო ყუთი ასევე სავსეა მხარდამჭერი ტელეგრამებით: *„გამაგრდი, მიშელ! პარიზში მათ ვერაფერი ვერ გაიგეს"*.

პარასკევს, ლანსში 5:2 მოვიგეთ. იოლად და ლამაზად, ჩვენთვის დამახასიათებელ სტილში.

გამოვდივარ პასიური მდგომარეობიდან.

„სენტ ეტიენი" ევროპის ჩემპიონთა თასზე ითამაშებს. გახარებული და ამაყი ვარ, რადგან ეს კონტინენტის ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრებაა.



*(გაგრძელება იქნება)*

**გია თვალაბეიშვილი**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა



# აჭარის ჩემპიონატი

ბათუმის სასპორტო სკოლაში აჭარის ჩემპიონატი გაიმართა ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 70 სპორტსმენის მონაწილეობით შვიდ წონით კატეგორიაში. პირველ ადგილზე გასული ფალავნებისაგან აჭარის ნაკრები დაკომპლექტდება, რომელიც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით საქართველოს ჩემპიონატში იასპარეზებს.

**55 კგ**

1. ირაკლი შანთაძე (ხულო)
2. ბაჩანა ფუტკარაძე (ბათუმი)
3. თორნიკე მახარაძე (ბათუმი)
3. ფრიდონ დავითაძე (ხელვაჩაური)

**60 კგ**

1. ზურაბ კეკელიძე (ბათუმი)
2. მირზა ვანაძე (ბათუმი)
3. ალეკო სანთელიძე (ბათუმი)
3. ფირუზ წულუკიძე (ხულო)

**66 კგ**

1. როინი ირემაძე (ბათუმი)
2. სულხან წულუკიძე (ხულო)
3. გოჩა ანანიძე (ხულო)
3. გოდერძი დავითაძე (ბათუმი)

**74 კგ**

1. მამუკა ხიმშიაშვილი (ბათუმი)
2. ალეკო შავაძე (ხულო)
3. გიორგი გობაძე (ბათუმი)
3. უჩა შავაძე (ხულო)

**84 კგ**

1. ზაზა შავაძე (ბათუმი)
2. გიორგი ბახუნტარაძე (ბათუმი)
3. გელა ფარტენაძე (ბათუმი)
3. გიორგი მამუჭაძე (ბათუმი)

**96 კგ**

1. დავით ცინცაძე (ბათუმი)
2. მამუკა მამულაძე (ბათუმი)
3. გოჩა დავითაძე (ბათუმი)
3. ზურაბ გორაძე (ბათუმი)

**120 კგ**

1. მუხრან ჭანკურიძე (ბათუმი)
2. დავით ვარშანიძე (ბათუმი)
3. ამირან ფალავა (ხულო)
3. გურამ საითაძე (ხულო)

მირანდა მიქაძე

ჩოგბურთი

# ტატიშვილის მშრალი გამარჯვება

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში 50-ათასდოლარიან ტურნირში **ანა ტატიშვილმა** ჩოგბურთის გაკვეთილი ჩაუტარა ხორვატ **ტერეზა მრდეზას**, რომელიც შეჯიბრებაში „უაილდ ქარდით" დაუშვეს - 6:0, 6:0. მერვედფინალში ანა ჰოლანდიელ **არანხა რუსს** შეხვდება, რომელიც მე-8 ნომრადაა განთესილი.

ამერიკის ქალაქ ინდიან ჰარბორ ბიჩში 50-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ვერ გააღწია 22 წლის **სალომე დევიძემ**. სალომემ მეორე წრეში მე-6 ნომრად განთესილ ავსტრიელ **ნიკოლ როტმანთან** (600) წააგო - 2:6, 2:6.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ანა ტატიშვილი

ჭადრაკი

# ასეთი აჟიოტაჟს არ ველოდით

დასრულდა თუ არა საქართველოს ჩემპიონატი 18 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის, მეორე დღესვე თბილისის ჭადრაკის სასახლე პატარებით აივსო. სტარტი მიეცა ახალ საჭადრაკო წამოწყებას-პირველ სასკოლო ჩემპიონატს. ტურნირი გუნდურია და რამდენიმე ეტაპისგან შედგება. ყველა რეგიონში ჩატარდება შესარჩევი ტურნირები, საუკეთესონი კი ოქტომბერში ფინალურ ეტაპზე იასპარეზებენ. საქართველოში ათი რეგიონია, ამას დაემატება თბილისის ჩემპიონი. ასე რომ, თერთმეტი გუნდი იბრძოლებს გამარჯვებისთვის.

გუშინ ჭადრაკის სასახლეში ტურნირისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გამართეს ფედერაციამ და საქართველოს განათლების სამინისტრომ. ერთი კვირის წინათ ამ ორ ორგანიზაციას შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას მოეწერა ხელი და აი, პირველი შედეგი - საქართველოს სასკოლო ჩემპიონატი. იმდენი მსურველი გამოჩნდა, რომ ორგანიზატორები გაოცებას ვერ მალავდნენ.



გია გიორგაძე

- მიგვაჩნია, რომ სკოლაში ჭადრაკი აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს და ერთ-ერთ პრიორიტეტულ საგნად ითვლებოდეს. ამ მეთოდს უკვე მიმართეს თურქებმა, რაც მათ დიდი მომავალს უქადის; იმავე გზას კიდევ რამდენიმე ქვეყანა ადგას... სასკოლო ჩემპიონატის დანერგვა ძალიან წასწევს ჭადრაკს წინ და მის განვითარებას შეუწყობს ხელს; ასევე მშვენიერი შანსია ახალი ტალანტების აღმოჩენისთვის. თბილისის ორ ათეულ სკოლას ველოდით, სურვილი კი 64-მა სკოლამ გამოთქვა,ხოლო მონაწილეთა რაოდენობა სამასამდე ავიდა - თქვა ჭადრაკის ფედრაციის პრეზიდენტმა **გიორგი გიორგაძემ.**

**- სკოლებში ჭადრაკის დანერგვასთან დაკავშირებით განათლების სამინისტროს რა პოზიცია აქვს?**

- საკითხი განხილვის სტადიაშია და იმედი მაქვს, რომ სასურველ შედეგს მივიღებთ. მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ასეთ ნაბიჯს დიდი პერსპექტივა აქვს - ფიდე სასკოლო ჭადრაკის განვითარებას მხარს უჭერს და მსოფლიოს სასკოლო ჩემპიონატებსაც ატარებს, რაც ძალიან პოპულარული ტურნირია. მორიგი ასეთი ჩემპიონატი ახლახან დასრულდა საბერძნეთში, სადაც ქართველი მოჭადრაკეებიც გამოვიდნენ და ერთმა მათგანმა - **ანა კუჭავამ** მსოფლიოს ასაკობრივ ჩემპიონატში თამაშის უფლებაც კი მოიპოვა. ამგვარ წარმატებებს ქართველები დაჩვეული კი ვართ, მაგრამ მეტი გვსურს და აუცილებლადაც მივაღწევთ, თუკი, რა თქმა უნდა, საქმის ერთად კეთების სურვილი გვექნება.

დავძენთ, რომ საქართველოს პირველი სასკოლო ჩემპიონატი 8 მაისამდე გასტანს. შეჯიბრების ფორმულა შვეიცარიულია, შვიდ ტურად. გუნდში სამი ვაჟი და ერთი გოგონა ირიცხება. რახან მონაწილეთა ასაკი მცირეა, სათამაშო დროც შემოკლებულია - ერთი საათი. საუკეთესონი მედლებით, თასებით, დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვდებიან.

ზვიად შათირიშვილი

# კუჭავამ მსოფლიოზე იყოჩაღა

საბერძნეთში, ქალაქ სალონიკში ორიოდე დღეა, რაც დასრულდა მსოფლიოს სასკოლო პირად- გუნდური ჩემპიონატი, სადაც ქართველი მოჭადრაკეებიც ასპარეზობდნენ. ტურნირი რამდენიმე ასაკობრივ ჯგუფად იყო დაყოფილი. ჩვენებურთაგან ყველაზე წარმატებული თხუთმეტი წლის **ანა კუჭავა** აღმოჩნდა, ვინც თავის ასაკში 7 ქულით იპირველა. ამავე ასაკში ასპარეზობდა **ნანი უნაფქოშვილი**, რომელმაც 5,5 ქულით მე-4 ადგილი დაიკავა, **ანა მარდალეიშვილმა** კი 5 ქულით მე-7 ადგილი ირგუნა. 15 წლის ჭაბუკთა შორის მეორე ადგილი დაიკავა **ნოდარ ლორთქიფანიძემ** - მან 6,5 ქულით დაასრულა ასპარეზობა.

სამწუხაროდ, მეტი საპრიზო ადგილის დაკავება ვერ შევძელით, მაგრამ მაჩანჩალებიც არ ვყოფილვართ. ტურნირის შესახებ ქართული დელეგაციის ხელმძღვანელები ჩამოსვლის შემდეგ უფრო დაწვრილებით გვიამბობენ.

ზვიად შათირიშვილი

# სომხურ-რუსული ტრიო

დუბაის წლევანდელი ტურნირი ქართველთათვის წარუმატებლად დასრულდა - ბოლო ტურში **ლევან ფანცულაიამ** შავებით ვერ შეძლო ბანგლადეშელი დიდოსტატის **ენამულ ჰოსაინის** დამარცხება - ყაიმს დასჯერდა და მხოლოდ მე-14 ადგილზე გავიდა. მასზე უკეთესი შედეგი აღმოაჩნდა **მიხეილ მჭედლიშვილს**, რომელმაც შავებით თანამემამულე **დავით არუთინიანი** დაამარცხა - 6,5 ქულა გაუხდა და მე-9 ადგილი ხვდა. თავად არუთინიანი 5,5 ქულით 31-ეა . 33-ეა **ზურაბ სტურუა,** ვინც მეცხრე ტურში თეთრებით ბელარუს დიდოსტატთან **ალეკსეი ალეკსეევთან** დაზავდა. სტურუასაც 5,5 ქულა აქვს. ბოლო ტურში იმარჯვა **ნინო გურიელმა** და საკმაოდ კარგი მარაგით - 5,5 ქულით დაასრულა ტურნირი; კოეფიციენტის გამო მას 37-ე ადგილი ერგო. ნამდვილად გასაკვირია **მერაბ გაგუნაშვილის** უსუსური თამაში, - ტურნირის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა ვერც მე-9 ტურში იმარჯვა, მეტოქეს ქულა გაუყო და 5-ქულიანი მარაგით მხოლოდ 47-ე ადგილი ერგო. ასეთმა ფიასკომ ის მოიტანა, რომ გაგუნაშვილმა 17 რეიტინგქულა დაკარგა. საინტერესოა, თუ სხვა ქართველებმა ამ მხრივ რა მოინაგრეს ან დაკარგეს. მჭედლიშვილმა 3,5 ქულა შეიმატა; ფანცულაიამ 2 ქულით გაზარდა მარაგი; არუთინიანს კი ამდენივე ქულა დააკლდება; სტურუას დეფიციტი 1,5 ქულაა, ხოლო მისი მეუღლის, ნინო გურიელის მაჩვენებელი საუკეთესოა ქართველთა შორის - პლუს 4 ქულა.



მიხეილ მჭედლიშვილი

ტურნირის გამარჯვებული კი სომეხი **ტიგრან კოტანჯიანი** გახდა 7 ქულით, მეორე ადგილზე რუსი დიდოსტატი **დმიტრი ბოჩაროვია** ასევე 7 ქულით, მესამეზე სომეხი **აშოტ ანასტასიანია** და მასაც 7 ქულა მოუგროვდა.

ზვიად შათირიშვილი

კალათბურთი

საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატი. ფინალი

# რუსთავი საჩემპიონოდ შეიმართა

**რუსთავი–აკადემია 85:65**

13:17, 25:18, 22:13, 25:17

რუსთავი: მაჭავარიანი (13ქ, 3პ), სიხარულიძე (3ქ), აბაიშვილი (7ქ, 6პ), თვარაზე (16ქ, 8მ), ბერუაშვილი (3ქ), ჩაჩანიძე (2ქ), დვალიშვილი (20ქ, 22მ, 4პ, 4დ, 3ჩ), არაბული (5ქ), ხმელიძე (11ქ, 4პ, 3ჩ), გუგავა (3ქ), დოლიაშვილი (2ქ)

აკადემია: სანაია (6ქ), გაბუნია, კორსავა (4ქ, 5მ), ბოქოლიშვილი (17ქ), გასიტაშვილი (1ქ, 7მ), მუმლაზე (7ქ, 6მ), თენიეშვილი (6ქ, 3პ), მელაშვილი (1ქ), ჯავახიშვილი (12ქ, 5მ), მეფარიშვილი (8ქ, 5პ), ელიაძე (3ქ)

საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ფინალური სერიის პირველი მატჩი გაიმართა. რუსთავში ერთმანეთს ადგილობრივი გუნდი და თბილისის "აკადემია" დაუპირისპირდნენ.

ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა, "რუსთავმა" სერია ჩემპიონურად გახსნა – მეტ-ნაკლებად თანაბრად ჩატარებული პირველი ტაიმის შემდეგ უპირატესობა ხელთ იგდო და მატჩი გამარჯვებამდე დამაჯერებლად მიიყვანა.

ქვემოქართლელებს კარგად დაბალანსებული გუნდი ჰყავთ. წინა ხაზში **აკაკი დვალიშვილი** გამოირჩევა, რომელმაც "აკადემიასთან" 20 ქულა და 22 მოხსნა მიითვალა. კარგად გაისარჯნენ უკანახაზელებიც, **მალხაზ აბაიშვილმა** 6 პასი შეასრულა, ხოლო **ზურაბ მაჭავარიანმა** 13 ქულა ჩააგდო. ვიცესნაიპერი გახდა **ლექსო თვარაძე** (16 ქულა), რომელმაც გადამწყვეტ ეპიზოდში სამქულიანები ერთმანეთს მიაყოლა.

"აკადემიაში" ბომბარდირობა **მერაბ ბოქოლიშვილმა** იკისრა – 17 ქულა.

ფინალური სერია ორ მოგებამდეა. მომდევნო მატჩი თბილისში 7 მაისს შედგება.



გახარებული დინამოელები

მატჩი მესამე ადგილისთვის

# ბრინჯაოს მაქაბი

**მართვე–მაქაბი 81:87**

21:23, 22:11, 16:23, 22:30

მართვე: დ. მუმლაძე (9ქ), ჭიჭვეიშვილი (12ქ), ლომოური (9ქ), ბააკაშვილი (22ქ, 12მ, 3პ, 5ჩ), ნიკურაძე (2ქ), ბაშარული (4ქ), ტუხაშვილი (7ქ, 15მ)

მაქაბი: პატარაია (11ქ, 6მ), ჯიქია, ლონდარიძე (19ქ, 17მ), იოსელიანი (3ქ, 6მ), აჰმედიანი (11ქ, 7პ), კოპალიანი (2ქ), ჯანგველაძე (26ქ, 8მ), რევაზიშვილი, არონია (2ქ), ჩლაიძე (11ქ, 11მ, 3პ), სუდაძე (2ქ, 6მ, 3პ)

შარშან "მაქაბიმ" ფინალში "რუსთავთან" წააგო. წლეულს იგი რუსთაველებს ნახევარფინალში გადაეყარა, დამარცხდა და მესამე ადგილისთვის მოუწია ბრძოლამ. "მაქაბის" მოწინააღმდეგე **კახა შენგელიას** "მართვე" იყო.

მესამე ადგილისთვის დაძაბულ ბრძოლაში **გიორგი ჯანგველაძისა** (26 ქულა) და **ილია ლონდარიძის** (19 ქულა, 17 მოხსნა) ზუსტი თამაშის წყალობით **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდებმა მეტოქე 87:81 დაამარცხეს და ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ლონდარიძის გარდა ორმაგ დუბლს გამორჩნენ მაქაბელი **ირაკლი ჩლაიძე** (11 ქულა და 11 მოხსნა) და "მართვეს" გამთამაშებელი **რატი ბააკაშვილი** – 22 ქულა, 12 მოხსნა.



მაქაბის კალათბურთელები მესამე ადგილზე გასვლას ზეიმობენ

საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი. ფინალი

# 16 მაისის მოლოდინში

**დინამო–აკადემია 83:88**

20:21, 18:27, 24:18, 21:22

დინამო: ბაქრაძე (10ქ, 9პ, 8მ, 4ჩ), გულდედავა (8ქ, 6მ), კაკაურიძე (11ქ), ალხანაიძე (15ქ, 11მ), კოლუაშვილი (12ქ, 5მ, 3პ), გელაშვილი (12ქ)

აკადემია: სანაია, თავართქილაძე (24ქ, 8პ, 4ჩ), ბოქოლიშვილი (20ქ, 4პ), მუმლაძე (15ქ, 13მ), თენიეშვილი (14ქ, 13მ), ნადირაძე (2ქ), ელიაძე (14ქ, 11მ)

**აკადემია–დინამო 72:75**

19:20, 14:17, 18:13, 21:25

აკადემია: სანაია, თავართქილაძე (8ქ, 3პ, 4ჩ), ბოქოლიშვილი (24ქ, 4პ), მუმლაძე (9ქ), თენიეშვილი (12ქ, 12მ), ჯავახიშვილი (11ქ, 13მ), ელიაძე (8ქ, 7მ)

დინამო: ბაქრაძე (24ქ, 5პ, 5მ, 4ჩ), გულდედავა (4ქ), კაკაურიძე (11ქ, 3პ), ალხანაიძე (10ქ, 12მ), კოლუაშვილი (10ქ, 3პ), გელაშვილი (2ქ), გუგუშვილი

18-წლამდელთა ჩემპიონატში ფინალური სერია საინტერესოდ დაიწყო. ორივე მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა და გამარჯვებული ბოლო წამებზე გამოვლინდა. კიდევ უფრო საინტერესო ისაა, რომ მოგება ორივე შემთხვევაში სხვადასხვა გუნდს დარჩა.

ფინალური სერიის მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა თბილისის სპორტის სასახლეში 16 მაისს გაიმართება.

მატჩი მესამე ადგილისთვის

# დვალიშვილმა კარი გაიჯახუნა

**ენერჯი–რუსთავი 86:76**

20:17, 18:20, 20:20, 28:19

ენერჯი: მაღრაძე (22ქ, 12მ), გურაბანიძე (4ქ, 9მ, 6პ, 3ჩ), ჩერქეზიშვილი (3ქ, 3პ, 4ჩ), სანაძე (27ქ, 8მ), აფაქიძე, ელანიძე (30ქ, 10მ), მეხრიშვილი

რუსთავი: მამისმედაშვილი (10ქ), გურული (9ქ, 7მ, 3პ), არაბული (1ქ, 5მ), დვალიშვილი (30ქ, 31მ, 6პ, 3ჩ, 4დ), აფციაური, მაისურაძე (7ქ), ფხალაძე (6ქ), დოლიაშვილი (13ქ, 8მ)

რუსთაველმა **აკაკი დვალიშვილმა** მესამე ადგილისთვის მატჩში სეზონის რეკორდი დაამყარა – 31 მოხსნა მიითვალა, რასაც 30 ქულა მიამატა.

...თუმცა, აკაკის კარგი გარჯა "რუსთავის" გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა, "ენერჯიმ" **ელანიძისა** და **სანაძის** დამაჯერებელი თამაშის წყალობით მატჩის ბედი გადაწყვიტა ბოლო მეოთხედში, რომელიც 28:19 მოიგო.

ჭაბუკთა ევროლიგა

# მეტრეველი იუნიორთა ევროლიგაზე



ევროლიგის ფინალური ოთხეულის მატჩების პარალელურად, ბერლინში გაიმართა ევროლიგის იუნიორთა ტურნირი. მასში მონაწილეობდა **ნიკა მეტრეველის** "მონტეპასკი". სიენელებმა პირველ მატჩში ესპანურ "უნიკახასთან" 71:83 რომ წააგეს, უკვე დავწერეთ.

მომდევნო მატჩში "მონტეპასკიმ" მასპინძელი "ალბა" 82:76 დაამარცხა. გამარჯვებაში ნიკა მეტრეველმა 17-ქულიანი წვლილი შეიტანა. მან 27 წუთში 10-დან 7 ორქულიანი გამოიყენა და 17 ქულის გარდა 9 მოხსნა და თითო ჩაჭრა-პასი მიითვალა.

მომდევნო მატჩის მოგების შემთხვევაში სიენელები ჯგუფში პირველ ადგილს დაიკავებდნენ და ფინალში ითამაშებდნენ. თუმცა, ნიკას თანაგუნდელებმა სერბულ "რაბოტნიჩკისთან" ვერაფერი გააწყვეს – 61:78 დათმეს.

მეტრეველი ამჯერადაც სასტარტო ხუთეულში მოხვდა და 33 წუთი ითამაშა. მან 14 ქულა (10-დან 4 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი, 5-დან 3 საჯარიმო), 7 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოაგროვა.

"მონტეპასკიმ" პირველი ეტაპი ერთი მოგებით (2 წაგებით) დაასრულა და ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა.

ფინალში "რაბოტნიჩკიმ" "ლიეტუვოს რიტასი" 123:110 დაამარცხა.



მერაბ რატიშვილი

აღიარება

# მერაბ რატიშვილი ფიბა-ს კომისარია

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი **მერაბ რატიშვილი** ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებიდან ახლახან დაბრუნდა. მან ფიბა-ს კომისართა სალიცენზიო გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ოფიციალური ლიცენზია მოიპოვა. ქართველებს საერთაშორისო კატეგორიის არაერთი მსაჯი გვყოლია, მერაბ რატიშვილი კი პირველი ქართველი კომისარია.

მან ხორვატულ გამოცდებზე მოკლედ ისაუბრა:

- ზაგრებში 185 კაცი შეიკრიბა, რომლებსაც გამოცდები უნდა ჩაებარებინათ. მათ შორის იყვნენ მოქმედი კომისრები, რომლებიც გამოცდებზე ოთხ წელიწადში ერთხელ გადიან. პირველ დღეს სემინარი მოვისმინეთ. გვესაუბრნენ მატჩის ორგანიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, შეჯიბრების დებულებებსა და სხვა დეტალებზე. მომდევნო დღეს ჩავაბარეთ გამოცდები კალათბურთის ოფიციალურ წესებში, ფიბა-ევროპის ტურნირების დებულებებსა და ინგლისურ ენაში.

მერაბ რატიშვილმა გამოცდების პასუხები თბილისში ჩამოსვლიდან 10 დღის შემდეგ მიიღო. მასთან ერთად 168 კაცმა ჩააბარა. სად და რომელ მატჩზე გაემგზავრება ქართველი კომისარი, ჯერ უცნობია. ფიბა-ევროპა თამაშებზე დანიშვნის ფურცელს მატჩამდე 20-30 დღით ადრე აგზავნის.

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი



ბურთით დავით ქუბრიაშვილი

ინტერვიუ დავით ქუბრიაშვილთან

# ვილკინსონთან ერთად თამაში დიდი პატივია

## ნაკრებს ამერიკაში ვერ დავეხმარები

**საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველხაზელი დავით ქუბრიაშვილი, საფრანგეთის ელიტურ პირველ დივიზიონში მოასპარეზე „ტულონში“ წლევანდელი სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა. ამის მიუხედავად, „დუდუმ“ გუნდის ძირითად შემადგენლობაში მალევე დაიკავა ადგილი და დღემდე ტულონელთა ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. საკლუბო კარიერის პერსპექტივებსა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ მას საფრანგეთში დავუკავშირდით.**

- „ტულონი“ თავისი შემადგენლობით საკმაოდ ძლიერი გუნდია - გვიამბობს დავით ქუბრიაშვილი - უბრალოდ კარგად შეთამაშებისთვის და სათანადო შედეგის საჩვენებლად მეტი დროა საჭირო. გუნდი ძირითადად ლეგიონერებით არის დაკომპლექტებული. ფრანგი მორაგბე სულ ოთხია. კონკურენცია, ცხადია, დიდია, თუმცა, ვფიქრობ, ამას წარმატებით ვართმევ თავს და რეგულარულად ვთამაშობ.

**- საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ორი ტურილა დარჩა. „ტულონი“ 42 ქულით ბოლოდან მეოთხე, მე-11 ადგილზეა. დივიზიონის დატოვების საფრთხე აღარ გემუქრებათ?**

- საფრთხე ჯერ კიდევ არსებობს. გადაწყვეტილი არაფერია. ერთადერთი ვისზეც შეიძლება ითქვას, რომ პირველი დივიზიონიდან გავარდნილია, ეს „მონ დე მარსანია“. მეორე კანდიდატ „დაქსს“ გადარჩენის შანსი ჯერ კიდევ აქვს. ამ უქმეებზე სწორედ დაქსელებთან გვიწევს თამაში გასვლით მატჩში. თუ გავიმარჯვებთ დივიზიონში ადგილს შევინარჩუნებთ. თუ არა, ბოლო ტურში მოგვიწევს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა „მონპელიესთან“, რომელიც ამ დროისთვის უკვე უმოტივაციოა.

**- თქვენ და კიდევ ერთი ტულონელი ქართველი გია ლაბაძე „დაქსის“ წინააღმდეგ ძირითად შემადგენლობაში ითამაშებთ?**

- მე ალბათ ძირითადში ვიქნები. გია განაცხადში არის, მაგრამ ზუსტად არ ვიცი, ძირითადში იქნება თუ სათადარიგოთა შორის. ამას მნიშვნელობა არ აქვს. „დაქსთან“ ვინც უნდა ითამაშოს, გამარჯვებისთვის ბოლომდე იბრძოლებს. სხვა გზა არ არსებობს. აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

**- გუნდს მომავალი სეზონისთვის ახალი მწვრთნელი, ინგლისური „სეილ შარქსის“ ყოფილი თავკაცი ფილიპ სენ-ანდრე მოამზადებს. ახალი მწვრთნელის მოსვლით თქვენს საკლუბო კარიერაში ხომ არაა მოსალოდნელი, რაიმე უარესობისკენ შეიცვალოს?**

- არა, არაფერი შეიცვლება. ჩემი აგენტი უკვე ესაუბრა მას და ჩემთან სენ-ანდრეს პრეტენზია არ აქვს. ამასთან, გუნდში რჩება მწვრთნელად „ტულონის“ ამჟამინდელი თავკაცი ტანა უმაგაც. ის მოთამაშე მწვრთნელი იქნება. უმაგამ კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები და იმედი მაქვს, საჭიროების შემთხვევაში ჩემს ინტერესებს დაიცავს.

**- გავრცელებული ინფორმაციით გამორიცხული არ არის თქვენი თანაგუნდელი გახდეს თანამედროვეობის ერთ-ერთი უძლიერესი მორაგბე, ინგლისელი ჯონი ვილკინსონი.**

- ვილკინსონი მართლაც ერთ-ერთი უძლიერესი მორაგბეა. ცხადია, ჩემთვის დიდი პატივი იქნება მის გვერდით თამაში. თუმცა ჯერ გადაწყვეტილი არაფერია.

**- ივნისში საქართველოს ნაკრები ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩერჩილის თასის გათამაშებაში იასპარეზებს. გუნდის რამდენიმე წამყვანი მორაგბე გუნდთან ერთად ამ ტურნირზე გამგზავრებას ვერ ახერხებს. თქვენც მათ შორის ხომ არ ხართ?**

- სამწუხაროდ, ასეა. ამერიკაში საქართველოს ნაკრებს ვერ დავეხმარები. სეზონი 23 მაისს გვიმთავრდება. მერე კი, მომდევნო ჩემპიონატისთვის მზადებას 26 ივნისიდან ვიწყებთ. დასასვენებლად მხოლოდ ერთი თვე გვაქვს. ამდენად, ფიზიკურად ვერ ვახერხებ ნაკრების შემადგენლობაში ამერიკაში გავემგზავრო. დასვენება აუცილებლად მჭირდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**



სასოფლოს პირველი გუნდი

ფოტო პირადი არქივიდან მოგვაწოდა გივი მრელაშვილმა

ტრანსფერები

# ირაკლი ნატრიაშვილის საფრანგეთში გადაბარგდება

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება. სატრანსფერო სეზონი კი, პირიქით, ხურდება. მომავალი ჩემპიონატის დაწყების წინ რამდენიმე ქართველმა მორაგბემ შესაძლოა კლუბი გამოიცვალოს.

ასე, მაგალითად, ელიტურ პირველ დივიზიონში მოასპარეზე „მონტობანთან“ ხელშეკრულება გააფორმა შერკინების პირველხაზელმა **ბექა შეყლაშვილმა,** რომელიც თბილისის „ხულიგანას“ აღზრდილია და მიმდინარე სეზონში „მონტობანის“ სათადარიგო გუნდში თამაშობდა. აქვე ასპარეზობდა კიდევ ერთი პირველხაზელი **გიორგი მჭედლიშვილი,** რომელმაც გუნდი უკვე დატოვა და ახალი კლუბის ძიებაშია.

სარაგბო გაზეთ „მიდი ოლიმპიკის“ ვებგვერდზე გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეორე დივიზიონში მოასპარეზე „აჟენს“ დატოვებს საქართველოს ნაკრების გარემარბი **ირაკლი მაჩხანელი.** რომელ გუნდში გააგრძელებს ირაკლი კარიერას, ამაზე არაფერია ნათქვამი. სავარაუდოდ, ის შესაძლოა თავის ყოფილ გუნდს „მონ დე მარსანს“ დაუბრუნდეს, რომელშიც შარშანდელ სეზონში ასპარეზობდა.

გამორიცხული არ არის რუმინეთის „ფარული“ დატოვოს საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭმა **ირაკლი ნატრიაშვილმა.** როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, მისი აგენტი მოლაპარაკებას ფედერალ 1 დივიზიონში მოასპარეზე „ნიცთან“ აწარმოებს.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ირაკლი ნატრიაშვილი

გამოიწერეთ ლელო

ნებისმიერი ნომრიდან და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!

3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი

„ელვა ჯი“
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების და კლუბების საყურადღებოდ!

„ლელო“ ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

## ველოსპორტი



# არმსტრონგი: ჯიროსთვის მზად არ ვარ

ლეგენდარულმა ამერიკელმა ველომრბოლმა ლენს არმსტრონგმა განაცხადა, რომ ის მზად არ არის "ჯირო დ'იტალიასთვის".

"მინდა იტალიური ტურის მთავარი მოქმედი პირი გავხდე, მაგრამ "ჯიროს" დაწყებამდე მხოლოდ სამი კვირა მიწევს ვარჯიში და ამიტომაც, არ ვიცი, რა შედეგს მივაღწევ იტალიაში.

ლავიწის ძვლის მოტეხის შემდეგ, საკუთარ თავს ვკითხე: "ძვირფასო ლენს, რატომ არ გინდა საბოლოოდ მიატოვო ველოსიპედი?" მაგრამ გამოვჯანმრთელდი და ისევ ამ საქმეს დავუბრუნდი. პირველ რიგში, მორალურად უნდა ჩავმდგარიყავი მწყობრში".

ტურ დე ფრანსის შესახებ: "ჩემი საფრანგეთში გამოსვლა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ ჩაივლის უახლოესი ორი თვე".

გეგმებზე: "მინდა მყავდეს საკუთარი ველოგუნდი - ვიყო მისი მფლობელი, სპორტული დირექტორი და რიგითი სპორტსმენი. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ივლისში შეიტყობთ. თუმცა ეკონომიკური კრიზისის პირობებში რთული იქნება სპონსორების დარწმუნება იმაში, რომ ჩვენთვის თანხები გამოყონ".

შეგახსენებთ, რომ ლავიწის ძვლის მოტეხილობის შემდეგ, არმსტრონგი პირველად დაჯდა ველოსიპედზე და მონაწილეობა მიიღო Tour of the Gila-ს რბოლაში, სადაც მეორე ადგილი დაიკავა.

## ჩოგბურთი

# გონსალესი ფედერაციას დაუპირისპირდა

ჩილეს პირველმა ჩოგანმა **ფერნანდო გონსალესმა** ოფიციალურად განაცხადა, რომ დევისის თასზე ქვეყნის ნაკრების რიგებში არ ითამაშებს იქამდე, სანამ **ხოსე ჰაინტცპეტერი** ჩილეს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი იქნება.

გონსალესი აცხადებს, რომ აღარ ენდობა ჰაინტცპეტერს და მას კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებაში ადანაშაულებს. ფერნანდომ ისიც აღნიშნა, რომ დევისის თასზე გამოსვლის სანაცვლოდ მიღებული ფულით, ჩილეში იუნიორთა ჩოგბურთის განვითარებას აპირებდა.

## ჰოკეი

# ნესლუნდი NHL-ს ტოვებს

უახლოეს დღეებში ოკეანის გაღმა კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალურად გამოაცხადებს "ნიუ იორკ რეინჯერსის" ფორვარდი **მარკუს ნესლუნდი**. 35 წლის შვედი ჰოკეისტი ამ გადაწყვეტილების მიზეზად ასაკს ასახელებს. ნესლუნდი ამბობს, რომ აღარ შეუძლია ძველ დონეზე სტაბილური თამაში. თუმცა შვედს ჯერ არ გადაუწყვეტავს, საერთოდ წავა ჰოკეიდან თუ კარიერას ევროპაში გააგრძელებს.

ამ ჰოკეისტს საუკეთესო წლები (2000-08) "ვანკუვერის" რიგებში აქვს გატარებული. კანადური კლუბი სულ მალე ამოიღებს ხმარებიდან შვედის 19-ნომრიან მაისურას.

სულ ნესლუნდს NHL-ში 1117 მატჩი აქვს ჩატარებული. მის ანგარიშზე 869 ქულა (395+474) მოდის.

## ცურვა

# ჰარდის დისკვალიფიკაცია შეუმცირეს

ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციამ დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირა მოცურავე **ჯესიკა ჰარდის**. გასულ ზაფხულს, სპორტსმენი დოპინგის მიღებაში ამხილეს - ჰარდის ამერიკის ჩემპიონატის დროს კენბუტეროლი ჰქონდა მიღებული.

მოგვიანებით, მოცურავეს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, ახლა კი ამერიკელს უფლება მიეცა 2009 წლის 31 ივლისიდან დაუბრუნდეს აქტიურ კარიერას. ამერიკის საარბიტრაჟო სასამართლომ ერთ წლამდე შეამცირა დისკვალიფიკაციის ვადა, რადგან ჩათვალა, რომ 22 წლის ჰარდის ძალიან მკაცრი განაჩენი გამოუტანეს.

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| კარლ ცაისი-შტ. კიკერსი | 0:0 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვანი-შატორუ | 3:0 |
| **შოტლანდია** | |
| **I დივიზიონი** | |
| დანფერმლაინი-მორტონი | 2:1 |
| **ნორვეგია** | |
| **II დივიზიონი** | |
| სკეიდი-ჰიონეფოსი | 0:4 |
| **შვედეთი** | |
| ჰაკენი-ჰალმსტადი | 2:2 |
| ტრელებორგი-აიკ | 1:0 |
| **II დივიზიონი** | |
| ანგელჰოლმი-სუნდსვალი | 0:1 |
| **შვეიცარია** | |
| იანგ ბოიზი-ვადუცი | 6:0 |
| **სლოვაკეთის თასი** | |
| არტმედია-რუჟემბეროკი | 1:1 |
| კოშიცე-სლოვანი | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| ჰონვედი-მტკ | 0:3 |
| ჰალადაში-ფეჰერვარი | 2:1 |
| **რუმინეთი** | |
| ოცელული-დინამო | 0:1 |
| გლორია (ბის)-ბრაშოვი | 1:0 |
| ფარული-უნირეა | 0:1 |
| გლორია (ბუზ)-სტიაუა | 0:1 |
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| **აზია** | |
| ესტეგლალი-ალ ითიჰადი | 1:1 |
| უმ სალალი-ალ ჯაზირა | 2:2 |
| ალ შაბაბი-სეპაჰანი | 2:1 |
| ალ ითიფაქი-ბუნიოდკორი | 4:0 |
| სეული-შრივიჯაია | 5:1 |
| კაშიმა-სუვონი | 3:0 |
| სინგაპური-შანხაი | 1:1 |
| პოჰანგი-სენტრალი | 3:2 |
| ტიანინი-კავასაკი | 3:1 |
| **იაპონია** | |
| ნიიგატა-ივატა | 3:3 |
| ომიია-ოიტა | 3:0 |
| კიოტო-იოკოჰომა | 2:0 |
| კაშივა-ურავა | 2:3 |
| კობე-იამაგატა | 3:1 |
| ჰიროშიმა-ტოკიო | 2:0 |
| შიმიცუ-ჯეფ იუნაიტედი | 2:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ერტლანდი-ბერემერჰავენი | 93:86 |
| **საფრანგეთი** | |
| ლე მანი-როანი | 80:60 |
| ვიში-გრაველინი | 68:62 |
| დიჟონი-ვილერბანი | 84:79 |
| ორლეანი-ჰავრი | 83:55 |
| სტრასბური-რუანი | 79:68 |
| ტულონი-ბეზანსონი | 81:73 |
| შალონი-ნასი | 75:84 |
| შოლე-პო ორტეზი | 95:88 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ბელგრადი** | |
| კ. როხუსი-დევილდერი | 6:3, 6:7, 7:5 |
| ჰრბატი-კუბოტი | 7:6, 0:6, 6:0 |
| კანიასი-დანიელი | 6:3, 1:6, 4:6 |
| გრანოლერსი-კრაინოვიჩი | 6:0, 2:6, 6:2 |
| კლემანი-დარცისი | გადაიდო |
| ტიპსარევიჩი-როიტმანი | 7:5, 6:2 |
| **ATP. მიუნხენი** | |
| მატიო-ოუჰაბი | 6:3, 6:2 |
| ჩილიჩი-კინდლმანი | 6:3, 6:2 |
| შუტლერი-დე ბაკერი | 3:6, 3:6 |
| სტარაჩე-კუნიცინი | 7:5, 5:7, 6:3 |
| ბენეტო-პეია | 2:6, 7:6, 7:5 |
| ვასალო არგელო-გრემელმაირი | 1:6, 0:6 |
| ბეკი-ზვერევი | 6:3, 6:4 |
| ბოლელი-ბოლი | 3:6, 6:2, 6:3 |
| კუბეკი-ბრანდსი | 3:6, 6:7 |
| ჰიუიტი-პეტშნერი | 6:2, 6:7, 7:6 |
| ბერდიხი-კლოერი | 7:6, 6:4 |
| **WTA. ეშტორილი** | |
| ანი-პიედადე | 6:0, 7:6 |
| კვიტოვა-ვიკმაიერი | 2:6, 4:6 |
| კუდრიავცევა-ბოვინა | 1:6, 3:6 |
| ლისიცკი-ფლიპკენსი | 6:2, 6:2 |
| მაკაროვა-ჩეტკოვსკა | 6:4, 6:3 |
| პეერი-ლარშერ ბრიტუ | 4:6, 6:0, 6:0 |
| კირილენკო-ფიშმანი | 6:7, 6:4, 6:3 |
| კოინი-სალერნი | 4:6, 4:6 |
| ჩინკი-ფერნანდესი | 7:5, 7:5 |
| კირსტეა-დატე | 6:2, 1:6, 6:2 |
| სტრიუკოვა-სოლერი | 7:5, 6:4 |
| გოვორცოვა-ივანოვა | 6:1, 6:2 |
| **WTA. რომი** | |
| ჟენგი-ვესნინა | 6:2, 6:7, 6:2 |
| კორნე-ე. ბონდარენკო | 4:6, 1:6 |
| ჩაკვეტაძე-ვოზნიაკი | 5:7, 7:6, 6:2 |
| იანკოვიჩი-დულკო | 6:3, 7:6 |
| ბარტოლი-მარტინესი | 1:6, 5:7 |
| პენეტა-შვედოვა | 6:3, 6:7, 6:1 |
| პეტროვა-სუარეს ნავარო | 6:2, 3:6, 6:3 |
| საფინა-რაზანო | 7:6, 6:1 |
| კანეპი-ბამერი | 7:5, 6:3 |
| ვოზნიაჩკი-მატეკი | 6:1, 7:5 |
| ივანოვიჩი-სკიავონი | 6:3, 6:4 |
| ა. რადვანსკა-რეზაი | 4:6, 6:2, 7:6 |
| კუზნეცოვა-ჰანტუხოვა | 6:3, 6:3 |

## ფორმულა 1

# მეწილების სისტემა მიღებულია

ამ დღეებში აქტიურად განიხილებოდა ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის (FIA) მიერ გუნდების ბიუჯეტზე ლიმიტის დაწესების გადაწყვეტილება. ამ საკითხთან დაკავშირებით ყველანი ფორმულა 1-ის გუნდების ასოციაციის (FOTA) რეაქციას ელოდნენ, რომ მოულოდნელად FIA-ს ახალი გადაწყვეტილების შესახებ გახდა ცნობილი: ფედერაციამ მაინც დაამტკიცა გამარჯვებების რაოდენობით ჩემპიონის გამოვლენის წესი.

ორი დღის წინ გამართული სხდომის შემდეგ, ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა სპორტული და ტექნიკური რეგლამენტის განახლებული ვერსია, სადაც მუქი შრიფტით იყო გამოყოფილი ყველა ის ცვლილება, რომელიც სხდომაზე იქნა მიღებული. აქედან გაიგო საზოგადოებამ სუპერ KERS-ის, ტესტებზე შეზღუდვების მოხსნისა და 40-მილიონიანი ლიმიტის შესახებ.

რაც შეეხება ერთ მნიშვნელოვან პუნქტს (ჩემპიონის გამოვლენა მოგებული ეტაპების რაოდენობით), ის გამოყოფილი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ფედერაციის ხელმძღვანელობას ვადაზე ადრე არ სურდა ამ საკითხისადმი საზოგადოების ყურადღების მიქცევა.

ახლა კი ირკვევა, რომ ფორმალურად ყველაფერი გადაწყვეტილია და გუნდებს უკვე აღარ აქვთ ვეტოს დადების უფლება. არადა, FIA საჯინიბოებს ჰპირდებოდა, რომ მათთან წინასწარ კონსულტაციებს გამართავდა, ახლა კი გამოდის, რომ თავისი სიტყვები უკან წაიღო და ცალმხრივი გადაწყვეტილება გამოიტანა.

თუ 2009 წლის ჩემპიონატის სასტარტო ეტაპებს გავიხსენებთ, კიდევ უფრო დავრწმუნდებით ამ გადაწყვეტილების უაზრობაში. ბატონს უკვე ოთხიდან სამი რბოლა აქვს მოგებული. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, **ლუის ჰემილტონი** და "ფერარი" მოგვიანებით იმედოვნებენ ფორმაში შესვლას, ახალი წესის მიხედვით მათი შანსები მინიმალური იქნებოდა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

## ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. II რაუნდი

**E ჯგუფი**

**შვედეთი-საფრანგეთი 6:3**

3:0, 2:3, 1:0

გოლები: 1:0 პუსელიუსი-4 (სტრალმანი-3), 2:0 მ. ნილსონი-3 (ოდუია-1, პუსელიუსი-3), 3:0 ტარნსტრიომი-1 (მ. ნილსონი-2), 4:0 გუნარსონი-1 (მარტენსონი-6, მ. იოჰანსონი-4). 4:1 ლუსიე-2, 4:2 ბელემარი-2 (ტრეიე-1, ვაეფორი-1), 5:2 ოდუია-2 (პერსონი-1, აკერმანი-3), 5:3 ტრეიე-1 (როზენტალი-1, რუსელი-1), 6:3 კ. იონსონი-2 (სტრალმანი-4, ომარკი-8).

**აშშ-შვეიცარია 3:4 (ო)**

0:1, 3:1, 0:1, 0:1

გოლები: 0:1 ამბული-2 (ბლინდენბახერი-2, შტრაიტი-4), 1:1 პეინსი-1 (პაველსკი-1), 1:2 ლემი-2 (ტანენი-2, ვიკი-2), 2:2 პაგინსი-1 (ბალარდი-2), 3:2 პეინსი-2 (ო'სალივანი-3), 3:3 პლუსი-3 (დუ ბუა-1, რუტემანი-3), 3:4 ვიკი-2 (ზეგერი-1).

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუსეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 0 | 27-11 | 14 |
| 2. შვედეთი | 5 | 2 | 1 | 0 | 2 | 23-17 | 10 |
| 3. აშშ | 5 | 2 | 0 | 1 | 2 | 19-18 | 8 |
| 4. ლატვია | 5 | 1 | 2 | 2 | 0 | 13-14 | 7 |
| 5. შვეიცარია | 5 | 1 | 1 | 2 | 1 | 9-12 | 6 |
| 6. საფრანგეთი | 5 | 0 | 0 | 5 | 0 | 8-27 | 0 |

**F ჯგუფი**

**სლოვაკეთი-ნორვეგია 3:2 (ო)**

2:0, 0:1, 0:1, 1:0

გოლები: 1:0 რუჟიჩკა-2 (ჰანძუში-1, ობსუტი-4), 2:0 შმრეკი-1 (ბარანკა-1, ნადი-2), 2:1 ბასტიანსენი-2 (ასკი-2, ლუნდი-1), 2:2 ლუნდი-1 (იაკობსენი-1), 3:2 ნადი-1 (სეკერა-2).

**კანადა-ფინეთი 3:4 (ბ)**

1:2, 1:1, 1:0, 0:0, 0:1

გოლები: 0:1 პილმანი-2 (ს. კაპანენი-3, იმონენი-3), 0:2 სალმელა-1 (კომაროვი-1, ი. რუუტუ-2), 1:2 სპეცა-6 (სენტ ლუისი-9, შ. უებერი-5), 1:3 ნ. კაპანენი-6 (მიეტინენი-4, ნისკალა-2), 2:3 ჰიტლი-4 (როი-3, შ. უებერი-6), 3:3 ჰიტლი-5 (სენტ ლუისი-10, სპეცა-4).

| | თ | მ | ო-მ | წ | ო-წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კანადა | 5 | 4 | 0 | 0 | 1 | 26-9 | 13 |
| 2. ფინეთი | 5 | 2 | 2 | 0 | 1 | 15-8 | 11 |
| 3. ჩეხეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 0 | 20-11 | 9 |
| 4. ბელარუსი | 5 | 0 | 3 | 2 | 0 | 6-13 | 6 |
| 5. სლოვაკეთი | 5 | 0 | 1 | 2 | 2 | 8-20 | 4 |
| 6. ნორვეგია | 5 | 0 | 0 | 3 | 2 | 7-21 | 2 |

**ბომბარდირები**

| გოლი+პასი | |
|---|---|
| მარტინ სენტ ლუისი (კან) | 14 (4+10) |
| ჯეისონ სპეცა (კან) | 10 (6+4) |
| ში უებერი (კან) | 10 (4+6) |
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 10 (3+7) |
| ლინუს ომარკი (შვედ) | 10 (2+8) |
| **გოლები** | |
| ნიკო კაპანენი (ფინ) | 6 |
| ჯეისონ სპეცა (კან) | 6 |
| სტივ სტემკოსი (კან) | 6 |
| დენი ჰიტლი (კან) | 5 |
| **პასები** | |
| მარტინ სენტ ლუისი (კან) | 10 |
| ლინუს ომარკი (შვედ) | 8 |
| ილია კოვალჩუკი (რუს) | 7 |

**1/4 ფინალი**

| 6 მაისი | |
|---|---|
| რუსეთი-ბელარუსი | 18.15 |
| ფინეთი-აშშ | 22.15 |
| **7 მაისი** | |
| კანადა-ლატვია | 18.15 |
| შვედეთი-ჩეხეთი | 22.15 |

**სტენლის თასი. 1/4 ფინალი**

**აღმოსავლეთი**

**ვაშინგტონი-პიტსბურგი 4:3**

0:1, 2:1, 2:1

გოლები: 0:1 კროსბი-6 (გონჩარი-6, ლეტანგი-4), 1:1 ოვეჩკინი-5 (ვიქ. კოზლოვი-1, ფიოდოროვი-4), 1:2 კროსბი-7 (კუნიტცი-4, გრინი-3), 2:2 შტეკელი-2 (სლოუნი-1, პოტიე-2), 3:2 ოვეჩკინი-6 (გრინი-5, ბექსტრიომი-10), 4:2 ოვეჩკინი-7 (ვიქ. კოზლოვი-2, ფიოდოროვი-5), 4:3 კროსბი-8 (მალკინი-7, სიკორა-1).

სერია: 2:0

## TV პროგრამა

**6 მაისი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ბარსელონა (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
08:15 ლიბერტადორესის თასი.
09:00 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის ჰიტ-ალბუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ბარსელონა.
14:10 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:25 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:25 საფეხბურთო პროგრამა.
18:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
22:15 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ბარსელონა (LIVE).
01:05 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:05 ლიბერტადორესის თასი.
02:50 ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ჩელსი-ბარსელონა.
05:05 ლიბერტადორესის თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. გვადალახარა (მექსიკა)-სან პაულუ (ბრაზილია) (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

08:00 სპორტული დილა.
08:45 სინქრონული ცურვა. რუსეთის ჩემპიონატი.
11:20 ახალი ამბები.
11:30 წყალბურთი.
12:00 წყალში ხტომა. გრანპრი. კანადა.
14:00 სპორტული დღე.
14:45 ბრძოლა წესების გარეშე.
15:45 ცურვა.
17:15 ტაილანდური კრივი.
18:15 ახალი ამბები.
18:45 სპორტული გლობუსი - Trans World Sport. ტელეჟურნალი.
19:10 კალათბურთი. კვირა NBA-ში.
20:00 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. 1/4 ფინალი. ვაშინგტონი-პიტსბურგი. II მატჩი.
22:00 სპორტული საღამო.
22:30 ფიგურული სრიალი.
01:20 ახალი ამბები.
01:50 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. 1/2 ფინალი. სიუდად რეალი (ესპანეთი)-კილი (გერმანია). საპასუხო მატჩი.
03:20 ახალი ამბები.
03:30 რაგბილიგა. ევროპის სუპერლიგა. ვიგანი-სენტ ელენი.
05:30 ახალი ამბები.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
10:45 ავტომოტოსპორტი. ტელეჟურნალი.
11:00 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
11:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. რომი. იტალია.
13:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-იტალია. გერმანია (LIVE).
14:45 ევროგოლი - სპეციალური გამოშვება. ლეო მესი.
15:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. რომი. იტალია (LIVE).
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-თურქეთი. გერმანია (LIVE).
22:05 მულტისპორტი.
22:10 ცხენოსნობა. მრავალჭიდი. ლექსინგტონი. აშშ.
23:10 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
23:15 გოლფი. US PGA-ის ტური.
00:15 გოლფი. ევროპის ტური.
00:45 გოლფ-კლუბი.
00:50 აფროსნობა. რეგატა Volvo Ocean.
01:20 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
01:35 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
02:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. გერმანია-თურქეთი. გერმანია.
03:00 კატერები. მსოფლიოს ჩემპიონატი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. შოტლანდია.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. შოტლანდია.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
13:00 ახალი ამბები.
13:30 სპიდვეი. ჩეხეთის გრანპრი.
14:30 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. შოტლანდია.
15:00 ექსტრემალური სპორტი.
15:15 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (17-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-იტალია. გერმანია.
17:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. X ტური.
18:15 ფეხბურთი. იაპონიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ექსტრემალური სპორტი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:20 ახალი ამბები.
22:00 პეინტბოლი. ტელეჟურნალი.
22:30 ფრენბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ქალები. ფინალი (LIVE).
00:30 სერფინგი. შოტლანდია.
00:45 ახალი ამბები.
01:45 სერფინგი. შოტლანდია.
02:00 ახალი ამბები.
02:45 სერფინგი. შოტლანდია.
03:00 ახალი ამბები.

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი

# ფავორიტები აგებენ



სენსაციურად განვითარდა მოვლენები პლეი ოფის მეოთხედფინალური ეტაპის მეორე დღეს. შარშანდელი ფინალური სერიის მონაწილეებმა საკუთარ მოედანზე წააგეს პირველი მატჩები და ჯერჯერობით დაკარგეს საკუთარი მოედნის უპირატესობა.

წინა წრეში "ჩიკაგომ" დიდი პრობლემები შეუქმნა "ბოსტონ სელტიქსს" და ვარაუდობდნენ, რომ ჩემპიონებს კიდევ უფრო დიდ წინააღმდეგობას "ორლანდო მეჯიქი" გაუწევდა. და მაინც, მიუხედავად იმისა, რომ "სელტიქსმა" "ბულზთან" სერია ორი დღის წინ დაასრულა, სასტარტო შეხვედრაში და მთლიანად სერიაში ფავორიტებად **დოკ რივერსის** შეგირდები ითვლებოდნენ.

პირველი მეოთხედის სასტარტო ორი წუთი გუნდები ერთმანეთს საჩუქრებს უკეთებდნენ - მათ მიერ განხორციელებული შვიდი ტყორცნა მიზანს ასცდა, რის შემდეგაც, **რაშარდ ლუისმა**, როგორც იქნა, გახსნა ანგარიში.

პირველ ტაიმში სტუმრები გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდნენ: ზუსტად ისროდნენ და გუნდური თამაშიც გამოსდიოდათ. თავიდან "ბოსტონი" ასე თუ ისე ახერხებდა ორლანდოელთა შეტევებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ ძალიან მალე, **პოლ პირსმა** და კომპანიამ უბრალოდ თავი ანება საკუთარი ფარის დაცვას და დიდი შესვენებისთვის ის მიიღო, რასაც იმსახურებდა - 38:56.

18-ქულიანი სხვაობა ისეთი ჩამორჩენა არ არის, რომლის გაბათილებაც ჩემპიონმა ვერ შეძლოს. მაგრამ მესამე მეოთხედში "ბოსტონი" არ ჩანდა იმ გუნდად, რომელიც მატჩის გადარჩენას მოახერხებდა. მასპინძელთა რიგებში მხოლოდ **რაჟონ რონდოს** გამოყოფა შეიძლებოდა, რომელიც შეუცდომლად ისროდა საჯარიმოებს.

"ბოსტონმა" მაინც გაილვიძა და გაქცეულ მეტოქეს გამოეკიდა. თამაში წაუვიდა პოლ პირსს და ბოლო მეოთხედის ოთხწუთიან მონაკვეთში სხვაობა 9 ქულამდე შემცირდა, შემდეგ კი **ბრაიან სკალაბრინისა** და **გლენ დევისის** მონდომებით, "ორლანდოს" უპირატესობისგან თითქმის არაფერი დარჩა - 85:89. მაყურებელი დაძაბული ბოლო წუთების საყურებლად მოემზადა, მაგრამ ეს არ იყო "სელტიქსის" დღე. ორმა აცილებულმა ტყორცნამ და ბოლო წუთზე დაკარგულმა ბურთმა, "ბოსტონს" მატჩის გადარჩენის საშუალება მოუსპო. საფინალო სირენამდე 6 წამით ადრე პირსის მიერ ჩაგდებული სამქულიანი უკვე არაფერს წყვეტდა - მატჩი წაგებული იყო.

■ ■ ■

"ბოსტონისა" და "ორლანდოს" მატჩის შემდეგ "ლეიკერსისა" და "ჰიუსტონის" სერიის პირველი შეხვედრა დაიწყო. "რაკეტებმა" ჩათვალეს, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდნენ "მეჯიქს" და თუ ამ უკანასკნელმა შეძლო სტუმრად "სელტიქსის" დამარცხება, ამის გაკეთება ლოს-ანჯელესშიც შესაძლებელი იქნებოდა.

სტუმრებს ყველაფერი კარგად გამოუვიდათ. ერთადერთი, რისი საშუალებაც მათ **კობისა** და მის გუნდს მისცეს, ეს იყო მატჩში პირველად და უკანასკნელად წინ გასვლა - მეორე მეოთხედში "ლეიკერსი" 24:23 დაწინაურდა. ამის შემდეგ, **კრის ლენდრისა** და **რონ არტესტის** აქტიურობის წყალობით, "ჰიუსტონმა" ინიციატივა ხელთ იგდო და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ "ლეიკერსი" მატჩის ბოლომდე მდევრის როლში დარჩენილიყო.

ზოგიერთ მომენტში **იაო მინი, აარონ ბრუქსი** და **ლუის სკოლა** უბრალოდ ამასხარავებდნენ "ლეიკერსის" დაცვას. მიუხედავად ამისა, კალიფორნიელებს დანებება არც უცდიათ. ბოლო მეოთხედის შუაში, ბრაიანტის ტყორცნის შემდეგ ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა - 75:76, მაგრამ მასპინძლებმა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. კობის ტყორცნას "ჰიუსტონის" გაქცევა მოჰყვა - 13:4 და საფინალო სირენამდე ორი წუთით ადრე, "როკეტსის" უპირატესობამ სარეკორდო 10 ქულა შეადგინა. ბრაიანტი ბოლო შტურმის მოწყობას შეეცადა, მაგრამ პარტნიორებისგან მხარდაჭერა აკლდა და თან, "ჰიუსტონიც" საკმაოდ სოლიდურად გამოიყურებოდა.

**აღმოსავლეთი**

| ბოსტონი–ორლანდო | 90:95 |
|---|---|

19:24, 17:30, 26:24, 28:17

**ბ:** პირსი (23), რონდო (14+10 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), გ. დევისი (12), სკალაბრინი (10), პერკინსი (6+16 მოხსნა+3 დაფარება).

**ო:** ლუისი (18+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), პიეტრუსი (17), დ. ჰოვარდი (16+22 მოხსნა+3 დაფარება), თურქოგლუ (15), რედიკი (12), ელსტონი (8+7 პასი).

**დასავლეთი**

| ლეიკერსი–ჰიუსტონი | 92:100 |
|---|---|

18:21, 22:22, 27:27, 25:30

**ლ:** ბრაიანტი (32+8 მოხსნა), პ. გასოლი (14+13 მოხსნა+3 ჩაჭრა), არიზა (10), ბინუმი (10).

**ჰ:** იაო მინი (28+10 მოხსნა), არტესტი (21+7 პასი), ბრუქსი (19), სკოლა (10+8 მოხსნა).

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები

| არსენალი–მანჩესტერ იუნ | 1:3 (0:1) |
|---|---|

**არსენალი:** ალმუნია - სანია, ტურე, ჯურუ, გიბსი (46. ებუე) - სონგი - უოლკოტი (63. ბენდტნერი), ფაბრეგასი, ნასრი - ადებაიორი, ვან პერსი (79. ველა).

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი - ო'ში, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა (65. და სილვა) - ფლეტჩერი, ქერიქი, ანდერსონი (46. გიგზი) - კრისტიანო რონალდო, ჟი-სუ პარკი - რუნი (66. ბერბატოვი).

**გოლები:** 0:1 ჟი-სუნ პარკი (8), 0:2 კრისტიანო რონალდო (11), 0:3 კრისტიანო რონალდო (61), 1:3 ვან პერსი (76-პენ)

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)

**მაყურებელი:** 58 000

სტატისტიკა

| | | |
|---|---|---|
| | **მატჩი დაიწყო: მანჩესტერი** | |
| | **პირველი ჯარიმა: არსენალი** | |
| | **პირველი კუთხური: არსენალი** | |
| | **პირველი გაფრთხილება: არსენალი** | |
| 13(5) | **დარტყმა** | 14(10) |
| 20 | **ჯარიმა** | 10 |
| 7 | **კუთხური** | 6 |
| 3 | **თამაშგარე** | 4 |
| 3 | **გაფრთხილება** | 0 |
| 55% | **ბურთის ფლობა** | 45% |



კრისტიანო რონალდო

რაგბი

# შავები თეთრებში

ახალი ზელანდიის ნაკრებმა გასვლითი ფორმის ახალი დიზაინი წარმოადგინა, რომლითაც ის 2009-10 წლების სეზონში ითამაშებს. ტრადიციულ შავი ფერის ფორმას "ოლ ბლექსი" საშინაო თამაშების დროს გამოიყენებს.

რაგბის საერთაშორისო კავშირის ახალი წესის თანახმად, გუნდებს გასვლით მატჩებში სხვა ფერის მაისურების გამოყენება შეუძლიათ, ამიტომაც ახალი ზელანდიის ნაკრები სტუმრად თეთრ ფორმაში ითამაშებს. "ოლ ბლექსი" "თეთრებში" პირველ შეხვედრას 2009 წლის ნოემბერში, მარსელში საფრანგეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. ახალი მაისურის წონა მხოლოდ 195 გრამია, რაც 35 პროცენტით ნაკლებია გუნდის ძველ ფორმასთან შედარებით.

*"ყველანი აღფრთოვანებულები ვართ თეთრი მაისურის გამო. შავ ფერს შევეჩვიეთ და ის ყველას გვიყვარს, მაგრამ "თეთრებში" თამაში დიდი პატივია ჩვენთვის. მე და ჩემი თანაგუნდელები მოუთმენლად ველით ახალი მაისურებით მოედანზე გასვლას"*, - ამბობს ზელანდიის კაპიტანი **რიჩი მაკოუ**, რომელიც ოკლენდში გამართულ პრეზენტაციას დაესწრო.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



კალათბურთი

## ხარები კრის ბოშს უმიზნებენ

"ჩიკაგო ბულზი" "ტორონტო რეპტორზის" ლიდერის **კრის ბოშის** გადაბირებით არის დაინტერესებული.

როგორც ცნობილია, მომავალი წლის ზაფხულში ბოში თავისუფალი აგენტი გახდება. "ტორონტოს" თავისი ლიდერის შენარჩუნება სურს, მაგრამ თუ კალათბურთელს ახალ კონტრაქტზე ვერ დაითანხმებს, მაშინ "ჩიკაგო" ტრეიდით მის გადაბირებას ეცდება. კრისის სანაცვლოდ "ბულზი" კანადელებს **ტაირუს ტომასს** შესთავაზებს.

## მაკჰეილი მგლებს არ გაწვრთნის

NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა **კევინ მაკჰეილმა** უარი განაცხადა "მინესოტა ტიმბერვულვზთან" სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებაზე. კლუბის ხელმძღვანელობას ლეგენდარული კალათბურთელის მთავარ მწვრთნელად დანიშვნა სურდა.

როგორც იცით, წლევანდელი სეზონის მიმდინარეობისას მაკჰეილი "მგლების" გენერალური მენეჯერის თანამდებობიდან მთავარი მწვრთნელის პოსტზე გადაიყვანეს და ახლა მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სურდათ, მაგრამ "ბოსტონის" ყოფილ კალათბურთელს არაერთხელ უთქვამს, რომ მწვრთნელის პროფესია არ ხიბლავს.

## მაიკლ ჯექსონი კალათბურთის ნაცვლად

ფრანგული გაზეთ "ეკიპის" ცნობით, 2010 წელს ევროლიგის ფინალი ლონდონში არ გაიმართება.

ბრიტანეთის დედაქალაქი მთავარი ევროპული საკლუბო ტურნირის "ოთხთა ფინალის" ორგანიზების უპირველესი კანდიდატი იყო, მაგრამ ორგანიზატორებმა გეგმები შეცვალეს. გაისად მაისში, ლონდონის O2-ის არენაზე ამერიკელი მომღერლის **მაიკლ ჯექსონის** გამოსვლაა დაგეგმილი, რომელიც "ოთხთა ფინალს" ემთხვევა.

## რეალი იცვლება

სავარაუდოდ, მომავალი სეზონისთვის მადრიდის "რეალს" ახალი მწვრთნელი მოამზადებს. "სამეფო კლუბის" ხელმძღვანელობა **ხოან პლასას** გათავისუფლებასა და მის ნაცვლად სერბი **სვეტისლავ პეშიჩის** მიწვევას აპირებს. ამ სეზონში ეს სპეციალისტი ბელგრადის "ცრვენა ზვეზდას" ავარჯიშებდა.

გარდა ამისა, დაგეგმილია მნიშვნელოვანი ცვლილებები კალათბურთელებს შორის. სავარაუდოდ, წლევანდელი შემადგენლობიდან "რეალში" მხოლოდ ხუთი კალათბურთელი დარჩება: **სერხიო ლიულა, ლუის ბალოკი, ფელიპე რეიესი, აქსელ ერველი** და **ბრედ ოლესონი**.

